

ტრიუმფალური გამარჯვების მოლოდინში

A3



ქრისტეს დატირება

A7



გამარჯვების ხიბლი

A8

www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 12 სექტემბერი, 2006 წელი. №200 (1352)

ფასი 50 თეთრი

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

www.24saati.ge

## პენ-კლუბისა და "24 საათის" ინიციატივა

ქართული პენ-კლუბი და გაზეთი "24 საათი" გამოდიან კოდორში, ზემო აფხაზეთში თანამედროვე, მრავალფეროვანი ბიბლიოთეკის დაარსების ინიციატივით. მსურველებს წიგნების მოტანა, შემოწირულობის სახით, შეუძლიათ "24 საათის" რედაქციაში, თანამედროვე ავტორებს და გამომცემლებს კი ვთხოვთ, მოგვაწოდონ საკუთარი გამოცემები.

*მისამართი: თბილისი, ირაკლი გამრეკელის ქ. 51, "24 საათის" რედაქცია.*




ძვირფასო მკითხველებო!

"ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის" (IWPR) კავკასიის პროგრამა იწყებს ყოველკვირეული ინგლისურენოვანი გამოცემის "კავკასიის საინფორმაციო სამსახურის"(CRS) ქართულ ენაზე ბეჭდვას. ყოველი გამოშვება კავკასიის რეგიონების აქტუალური მოვლენებისა და პროცესებისადმი მიძღვნილ სტატიებს მოიცავს.

ჩვენს ინტერნეტ-გვერდზე www.iwpr.net განთავსებულია გამოცემის ინგლისური და რუსული ვერსიები.

"კავკასიის საინფორმაციო სამსახურზე" ხელმოწერა ნებისმიერ ენაზე უფასოა. ხელმოწერის გაფორმებისთვის ან ანულირებისთვის ეწვიეთ ინტერნეტგვერდს:
http://www.iwpr.net/sub-form.html

A5

## ამბები

### ბოიკოტი "მარჯვნიდან"

გუშინ "მემარჯვენეების" ფავორიტმა ბადრი პატარკაციშვილმა მერობის კანდიდატობაზე საბოლოო უარი განაცხადა. "მემარჯვენეებმა" კი არჩევნებში მონაწილობაზე თქვეს უარი.

A3

## ამინდი

| | 12/09 | 13/09 |
|---|---|---|
| თბილისი | 20 | 20 |
| ბათუმი | 20 | 20 |
| სოხუმი | 23 | 23 |
| ქუთაისი | 23 | 24 |
| გორი | 18 | 20 |
| თელავი | 18 | 19 |
| ონი | 15 | 17 |
| ზუგდიდი | 23 | 24 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7450 |
| ევრო | 2.2177 |
| ბირთანეთი სტერლ. | 3.2618 |
| რუბლი | 0.0651 |

| | |
|---|---|
| სამართალი | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| ტენდერი | A 4 |
| პროექტი | A 5 |
| ტენდერი | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| სპორტი | A 8 |

# მმართველი პარტიის თვითმმართველი ფავორიტები

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებზე "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სიის სათავეში თბილისის მერი გიგი უგულავა იქნება.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ, გლდანში "ვარდების რევოლუციის" პარკის გახსნაზე "ნაციონალური მოძრაობის" კანდიდატები ოფიციალურად წარადგინა. 5 ოქტომბრის არჩევნებში, გლდანის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი იქნება, ვაკის - ზაალ სამადაშვილი, საბურთალოს რაიონში - დავით იოსელიანი, სამგორში - თეიმურაზ ქურხული, ისანში - გიორგი ქორქაშვილი, ნაძალადევის რაიონში - ზურაბ კიკალეიშვილი, კრწანისში - დავით მესხიშვილი, ჩუღურეთში კი - კობა სუბელიანი.

პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა "ვარდების რევოლუციის ბაღის" გახსნაზე იმ მიღწევებზე ილაპარაკა, რომელიც აქამდე თბილისში გაკეთებულა. პრეზიდენტმა მოსახლეობას 5 ოქტომბერს არჩევნებში მონაწილეობისკენ მოუწოდა.

**"ჩვენი ყველა ქალაქის, დაბის, სოფლის მცხოვრებმა უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საკუთარი დასახლებული პუნქტის მართვაზე. პოლიტიკური პარტიები აცხადებდნენ, რომ თუ ეს საარჩევნო კანონი დარჩება ძალაში, ისინი არჩევნებს ბოიკოტს გამოუცხადებდნენ. თუმცა ცესკო-სთან რიგი დააყენეს. ბოლოს ყველაფერ ირკვევა - ტყუილს მოკლე ფეხები აქვს. თბილისი ასეთი ლამაზი არასოდეს ყოფილა, როგორიც ახლა არის. ეს მხოლოდ დასაწყისია. ჯერ იმის თხუთმეტი პროცენტია გაკეთებული, რაც უნდა გაკეთდეს. ჩემო ძვირფასებო, თუ გინდათ, რომ გაკეთდეს დანარჩენი პროცენტები, ნუ დარჩებით სახლში 5 ოქტომბერს"**, - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

*24 საათი*

# რამდენს იღებს სახელმწიფო მოპოვებითი მრეწველობიდან და ენერგოგადაზიდვებიდან?

**B**

*ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების მიერ ხშირად კეთდებოდა განცხადებები საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რამაც სტაბილურობის და უსაფრთხოების გარდა, ქვეყნის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს. მიუხედავად ხელისუფლებების თავმომწონე განცხადებებისა, დღემდე ხმამაღლა არავინ საუბრობს იმაზე, თუ რა მოცულობის შემოსავლებს ღებულობს სახელმწიფო ტრანზიტული გადაზიდვებიდან. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ინფორმაცია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელია და გაუმჭვირვალე.*



## თოფაძის გუნდი ბრძოლაში ებმება

გიორგი ასანიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 5 ოქტომბრის არჩევნების წინ "მრეწველები" ოპტიმისტურად არიან განწყობილნი. ისინი იმედოვნებენ, რომ თბილისის საკრებულოში დიდი წარმომადგენლობა ეყოლებათ. პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელის ზურაბ ტყემალაძის პოლიტიკური მადა კიდევ უფრო შორს მიდის. "მრეწველების" საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ მათი ლიდერი გოგი თოფაძე ჯერ ვაკის საარჩევნო ოლქში გაიმარჯვებს და ამის შემდეგ დედაქალაქის მერობისკენაც გაიკაფავს გზას.

თავად გოგი თოფაძეც საკმაოდ თავდაჯერებულია და აცხადებს, რომ ვაკის საარჩევნო ოლქში გამარჯვების დიდი შანსი აქვს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "ლეიბორისტული" ხელთათმანი

*"თეთრი ხელთათმანი" პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მისამართით შალვა ნათელაშვილმა გუშინ, ვახტანგ გორგასლის ძეგლთან გამართულ პარტიის საარჩევნო სიის პრეზენტაციაზე ისროლა. ამ ჟესტით ნათელაშვილი სააკაშვილს არა დუელში, არამედ სატელევიზიო დებატებში იწვევს.*

ნათია მსხილაძე

"დიდი ხნის ნაფიქრი" და მიღებული გადაწყვეტილება შალვა ნათელაშვილმა საზოგადოებას გუშინ გაანდო. "ლეიბორისტთა" ლიდერი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში კენჭს ნაძალადევის რაიონში იყრის.

გარდა იმისა, რომ შალვა ნათელაშვილი მერობისთვის იბრძოლებს, ის მზადაა, რომ დედაქალაქიდან "რაც შეიძლება შორს გაიტანოს სააკაშვილისა და მისი ბანდის უწმინდური კაბინეტები".

გაგრძელება A3 გვერდზე

## ბრძანება - ქვეყნის პირველი პირების იზოლირება ან ლიკვიდაცია

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოძრაობა "ანტისოროსის" ლიდერის მაია ნიკოლეიშვილის აღიარებითი ჩვენების ნაწილი გამოაქვეყნა. მაია ნიკოლეიშვილის განცხადებით, იგი 2006 წლის 4 მაისს პარტია "სამართლიანობის" ცენტრალურ ოფისში შეხვედრაზე იყო მიწვეული, სადაც "ანტისოროსის" სხვა ლიდერებიც დახვდნენ.

**"2006 წლის 4 მაისს პარტია სამართლიანობის ცენტრალურ ოფისში მიწვეული ვიყავი შეხვედრაზე, სადაც დამხვდნენ "ანტისოროსის" ლიდერები. იქ დამხვდნენ პირები, რომელთაგან ზოგს ვიცნობდი და პარტნიორია "ანტისოროსის". ესენი იყვნენ: მაია თოფურია, თემურ ჟორჟოლიანი, რევაზ ქურდია, გურამ პაპუკაშვილი, ირინა სარიშვილი, ელიზბარ ჯაველიძე, კახა ქანთარია. გეგმა, რომელიც იგორ გიორგაძემ წარმოუდგინა მაია თოფურიას, გაგვაცნო მაია თოფურიამ. იგორ გიორგაძის მითითება იყო, რომ უნდა დაწყებულიყო საკმაოდ სერიოზული წინააღმდეგობა, პერმანენტული გამოსვლები, აქციები და ეს ყველაფერი უნდა მისულიყო ესკალაციამდე, მაქსიმალურ დაძაბულობამდე. გამოეწვიათ საზოგადოების მაქსიმალური უკმაყოფილება შემოდგომისთვის. შემოდგომაზე უკმაყოფილების ტალღა გადავიდოდა მასობრივ წინააღმდეგობაში. უნდა მომხდარიყო გასროლის პროვოცირება, შეიქმნებოდა არეულობა. გეგმის მიხედვით უნდა მომხდარიყო პარლამენტის შენობაში შეჭრა, ქვეყნის პირველი პირის, პარლამენტის თავმჯდომარისა და პრემიერ-მინისტრის იზოლირება. იგეგმებოდა ძალოვანი მინისტრების იზოლირება ან ლიკვიდაცია. ამისთვის იგორ გიორგაძისგან მოდიოდა თანხები, რომელიც გადანაწილდებოდა,"** - თავის აღიარებით ჩვენებაში აცხადებს მაია ნიკოლეიშვილი.

გაგრძელება A2 გვერდზე

# ბადრი პატარკაციშვილი მერის პოსტზე უარის თქმის მიზეზებს განმარტავს

დღეს ამოიწურა მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილე, მათ შორის ქალაქ თბილისის მერის პოსტზე კანდიდატურების წარდგენის ვადა.

ამასთან დაკავშირებით აუცილებლად ვთვლი განვაცხადო.

1. მმართველი პარტიის მიერ ლობირებული საარჩევნო სისტემა არათუ პასუხობს დემოკრატიულ სტანდარტებს, არამედ უხეშად არღვევს მას. აღნიშნული სისტემის შესაბამისად, გამარჯვებული აღმოჩნდება არა ის, ვისაც უპირატესობა მიანიჭა მოქალაქეთა უმრავლესობამ, არამედ ის, ვისაც მხარი დაუჭირა შედარებით კონსოლიდირებულმა პოლიტიკურმა ძალამ. აქედან გამომდინარე, თბილისის მცხოვრებთა უმრავლესობამ რომც არ მისცემს ხმა მთავრობის რჩეულს, გამარჯვება მაინც მმართველი პარტიის წარმომადგენელს დარჩება.

2. საქართველოს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არეგულირებს მუნიციპალური ხელისუფლების ქმედებებს, ასევე არადემოკრატიულია. მართვასთან დაკავშირებული ფუნქციების



უმეტესობა მუნიციპალურ ხელისუფლებას უნდა გადაეცეს. აუცილებელია გატარდეს სახელმწიფო მართვის რეფორმა, რომლის შედეგადაც გადახედილი იქნება პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება და შეიქმნება თვითმმართველობის ეფექტური სტრუქტურები.

3. არ შემიძლია დავეთანხმო იმ როლს, რომელიც დღესდღეობით კანონმდებლობამ ზოგადად ქალაქის მერს და კერძოდ, თბილისის მერს მიაკუთვნა. ჩემს ხედვაში ეს პერსონაჟი აერთიანებს ისეთი ეფექტური მენეჯერის და პოლიტიკოსის თვისებებს, რომელსაც შეუძლია წამოაყენოს ქალაქის განვითარების იდეა, გადაიყვანოს და დასახოს ის სამოქმედო გეგმაში, შექმნას გუნდი და გამონახოს სახსრები მისი რეალიზაცია-განხორციელებისათვის. არ დაგიმალავთ, რომ ამის გაკეთება მსურდა ჩემი ქვეყნისა და მშობლიური ქალაქისათვის. წარსულში, ჩემს მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პროექტების შედეგები საფუძვლიანს და გასაგებს ხდის ამგვარ ამბიციებს.

4. უკანასკნელ ხანს, არაერთხელ გამიკრიტიკებია მმართველი პარტია და მათი ლიდერები, საგარეო და შიდა პოლიტიკის, კერძოდ, რუსეთთან ურთიერთობების ესკალაციის, გამოუძიებელი მკვლელობების, ხელისუფლების მონოპოლიის გამო. ჩემი მონაწილეობა მუნიციპალურ წინასაარჩევნო კამპანიაში და შესაძლო გამარჯვება იქნებოდა კონფრონტაციისა და სახელისუფლებო სტრუქტურის გახლეჩვის დასაწყისიც კი, რითაც შეეძლოთ ესარგებლათ საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილ ძალებს. ამასთან დაკავშირებით დაზარალდებოდა ქვეყნის ეროვნული ინტერესები.

ჩამოთვლილი მოსაზრებები არ მაძლევს უფლებას, მივიღო მონაწილეობა მუნიციპალურ არჩევნებში.

მადლობელი ვარ ყველასი, ვინც მირწმუნა და მზად იყო, მხარი დაეჭირა ჩემთვის.

ამჟამინდელ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით გამოთქმული უარი არ ნიშნავს, რომ უარს ვამბობ პოლიტიკურ დისკუსიაზე, არ ნიშნავს რომ აღარ დამაინტერესებს ქვეყნის და საზოგადოების საქმიანობა, მისი ბედი. უკანასკნელი თვეების განმავლობაში შევძელი დამერწმუნებინა მსხვილი საზღვარგარეთელი ინვესტორები, შემოტრიალებულიყვნენ საქართველოსაკენ, თბილისისაკენ და მოვახერხე მიმეღწია შეთანხმებისათვის, თბილისისა და სხვა რეგიონების განვითარებისათვის 1.5 მილიარდი დოლარის ინვესტიციის მოზიდვის თაობაზე. ცხადია, რომ ფულს არ აძლევენ მხოლოდ ბიზნეს-გეგმებში, არამედ კონკრეტულ ადამიანს, კონკრეტულ გუნდს. ამიტომ, წონადი კაპიტალის მოზიდვის შესაძლო პერსპექტივა დამოკიდებული იქნება საკანონმდებლო ბაზაზე, დამოუკიდებელ სასამართლო სისტემასა და ხელისუფლების პროგნოზირებადობაზე. მე კი, როგორც საქართველოს მოქალაქე, შემდგომშიც ვიტოვებ უფლებას და აუცილებლობას, ჩემი ქვეყნის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენებზე რეაგირება მოვახდინო. ხალხს უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია, სრული სურათი და არა მხოლოდ ის, რომელიც ხელისუფლებას აწყობს. ესაა მთავარი საწინდარი საქართველოს ეფექტური განვითარებისათვის.

**ბადრი პატარკაციშვილი**
**11.09.2006**

# მაღალჩინოსანს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინეს

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელს გიგა ჩოგოვაძეს ჯარიმის გადახდა მოუწევს. ჩოგოვაძეს სამართალდარღვევათა ოქმი სახალხო დამცველმა შეუდგინა. როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელმა არ შეასრულა კანონიერი მოთხოვნა და კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, წერილობითი ახსნა-განმარტება არ მიაწოდა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. შესაბამისად, დაარღვია სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის მე-18 მუხლის "ზ" პუნქტის მოთხოვნა.

როგორც გაირკვა, რამდენიმე თვის წინ, სახალხო დამცველის რეგიონული სამმართველოს განცხადებით მიმართეს ქუთაისის ხელოვნების სახელმწიფო სკოლის პედაგოგებმა მანანა სვინტრაძემ და ნატო ტოგონიძემ. განცხადების ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ მათი უფლებები უხეშად შეილახა და დეტალურად მიუთითებდნენ ხელოვნების სკოლაში არსებულ დარღვევებზე და ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის კულტურის საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების მიერ განხორციელებულ უკანონო ქმედებებზე.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტებები და მიმართვა დოკუმენტებთან ერთად შესწავლის მიზნით, მერის მოვალეობის შემსრულებელს გაუგზავნეს. განმეორებითი მიმართვა ქუთაისის მერიის კანცელარიას ჯერ 1 ივნისს, შემდეგ 4 აგვისტოს ჩაბარდა.

**"სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონის 23-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ქუთაისის მერიის აპარატს დადგენილ ვადაში უნდა მოეწოდებინა ინფორმაცია რეაგირების შესახებ. მიუხედავად კანონით დადგენილი ვადის გასვლისა, სახალხო დამცველის აპარატის რეგიონულ სამმართველოს მერიის აპარატიდან არც ერთ მიმართვაზე პასუხი არ მიუღია",** - აცხადებენ ომბუდსმენის აპარატის წევრები და განმარტავენ, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173 -ე მუხლის თანახმად, სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას - ჯარიმის სახით.

*24 საათი*

## მოკლედ

### პარლამენტარის პროგნოზი

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე პენიტენციალურ სისტემაში სიტუაციის უკიდურესად გამწვავებას და არეულობის დაწყებას პროგნოზირებს. ეს განცხადება ელენე თევდრაძემ ბიუროს სხდომაზე გააკეთა. მისი განმარტებით, უკიდურესად მძიმე სიტუაციაა რუსთავის N6 საპყრობილეში, სადაც პატიმრები შიმშილობის დაწყებას გეგმავენ. ამიტომ, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე რუსთვის N6 საპყრობილეში ჩასვლას აპირებს. ელენე თევდორაძის განცხადებით, უკიდურესად მძიმე სიტუაციაა ასევე N5 იზოლატორშიც, სადაც 24 პატიმრისთვის განკუთვნილ ადგილზე 102 პატიმარია მოთავსებული. რუსთავის N1 კოლონიაში კი 800 პატიმრის ადგილზე 2000 პატიმარია, 400-მდე პატიმარი კი მიწაზე წევს. ელენე თევდორაძის განცხადებით, საკნებში არა თუ დასაჯდომი, დასადგომი ადგილიც კი არ არის. თევდორაძემ ბიუროს წევრებს სთხოვა, რომ პარლამენტმა მოიფიქროს სქემა, რომლითაც ეს პრობლემა მოგვარდება. მისი თქმით, რამდენიმე დღის წინ იგი N5 იზოლატორში იმყოფებოდა, სადაც უკიდურესად მძიმე მდგომარეობაა, თუმცა პრობლემის მოსაგვარებლად ვერანაირი გამოსავალი ვერ მოიძებნა. ელენე თევდორაძის განცხადებით, სახელმწიფოს მხრიდან დარღვეულია ყველა უფლება, რომლითაც პატიმრები უნდა სარგებლობდნენ. კერძოდ, საუბარია სატელეფონო ავტომატით სარგებლობის უფლებაზე, ამასთან, რუსთავის N6 საპყრობილეში პატიმრებს არ აქვთ წყალი. **ინტერპრესნიუსი**

### ალექსანდრე ჭუმბურიძე N5 საპყრობილეშია

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, "ნაცმოძრაობის" ცენტრალური ოფისის აფეთქების მცდელობის ფაქტზე დაკავებულ ალექსანდრე ჭუმბურიძეს წინასწარი ორთვიანი პატიმრობა შეეფარდა. ბრძანება მოსამართლე დავით ჯულელმა გამოიტანა. მოსამართლის გადაწყვეტილების თანახმად, ალექსანდრე ჭუმბურიძე გუშინვე N5 საპყრობილეში გადაიყვანეს. გადაწყვეტილების გასაჩივრება 48 საათის განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოშია შესაძლებელი. დაკავებულის ადვოკატის ზაზა შანავას განცხადებით, ალექსანდრე ჭუმბურიძის დაკავებასთან დაკავშირებით ბევრი საეჭვო ფაქტი არსებობს. ადვოკატს ჯერჯერობით არ აქვს გადაწყვეტილი, გაასაჩივრებს თუ არა მართლმსაჯულების გადაწყვეტილებას. შეგახსენებთ, ალექსანდრე ჭუმბურიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრტერორისტული დეპარტამენტის თანამშრომლებმა 8 სექტემბერს, იმ დროს დააკავეს, როდესაც იგი "ნაციონალური მოძრაობის" ცენტრალური ოფისის აფეთქებას აპირებდა. ჭუმბურიძე უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი და პანტელეიმონ გიორგაძის "კომუნისტური პარტიის" წევრი იყო. ალექსანდრე ჭუმბურიძეს, რომელიც უშიშროების სამინისტროში იგორ გიორაძის მინისტრობის პერიოდში სპეცრაზმ "ალფას" წევრი იყო, დაკავებისას 400 გრამი ტროტილი და ასაფეთქებელი სითხე აღმოაჩნდა. აფეთქების მცდელობაში ბრალებული პატიმარი ამჟამად დუმილის უფლებას იყენებს. **ინტერპრესნიუსი**

### სამი ქართველი გუდაუთის სამხედრო ბაზაზეა

ელუბას აფხაზური დაჯგუფების მიერ გალის რაიონის სოფელ ფიჩორში რამდენიმე დღის წინ დაკავებული სამი ქართველი ახალგაზრდა გუდაუთის სამხედრო ბაზაზე იმყოფება. ეს ინფორმაცია დე-ფაქტო უშიშროების მინისტრმა სტანისლავ ლაკობამ დაადასტურა. მან აღნიშნა, რომ დაკავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია. ცნობილი გახდა ისიც, რომ ქართველები გუდაუთის სამხედრო ბაზაზე რუსი ინსტრუქტორების მეთვალყურეობის ქვეშ კარანტინს გადიან. ორი თვის შემდეგ კი, აფხაზეთის ჯარში იძულებით წაყვანილებს, სხვადასხვა სამხედრო ნაწილებში გადაანაწილებენ. გაეროს უმაღლესი კომისარიატი დაკავებული ქართველების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვს.

შეგახსენებთ, გასულ კვირას, ელუბას დაჯგუფება გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებს თავს დაესხა და 21 ახალგაზრდა აფხაზურ ჯარში გაწვევის გამო დააკავა. წინააღმდეგობის გაწევისას აფხაზებმა 12 ახალგაზრდას სცემეს, რის შემდეგაც რამდენიმე მათგანი თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს, სამი კი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. **ინტერპრესნიუსი**

### კიდევ ერთი გარდაცვლილი პატიმარი

იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში პატიმარი, 46 წლის ედიშერ ედიშერაშვილი გარდაიცვალა, რომელიც კუჭის მალიგნიზირებული წყლულითა და კახექსიით იყო დაავადებული. პატიმრის გარდაცვალების მიზეზი სიმსივნური ინტოქსიკაციის ფონზე განვითარებული გულ-სისხლძარღვთა მწვავე უკმარისობა გახდა. ედიშერ ედიშერაშვილი 2001 წელს დააპატიმრეს და 6 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯეს. მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ედიშერაშვილს 2006 წლის 29 ივლისიდან მკურნალობდნენ. **24 საათი**

### ადვოკატები სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელების წინააღმდეგ

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულებაში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, დღეს სასტუმრო "ვარაზში" ადვოკატები მალხაზ ლაბაძე, ზურაბ როსტიაშვილი, რამაზ გაბლია, ირმა ჭკადუა, ემზარ საბალაძე და სახალხო დამცველის წარმომადგენლები ერთობლივ პრესკონფერენციას გამართავენ. როგორც ცნობილია, ადვოკატები სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულების ხელმძღვანელობას პატიმრების ცემაში ადანაშაულებენ. როგორც თბილისის N1 საპყრობილეში მყოფი პატიმრის თამაზ შავიშოვის ადვოკატმა მალხაზ ლაბაძემ განაცხადა, 7 სექტემბერს ღამით, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N1 დაწესებულების ხელმძღვანელობა ამავე საპყრობილის რამდენიმე საკანში შეიჭრა და 30-მდე პატიმარს სცემა. მისი თქმით, საპყრობილის ხელმძღვანელმა პირებმა პატიმრებს საკნებში არსებული მობილური ტელეფონებისა და "შტირების" (ლითონის ბასრი საგნების) ჩაბარება მოსთხოვეს. პატიმრების ინფორმაციით, მათ აღნიშნული აკრძალული ნითები არ გააჩნდათ, რასაც ციხის ადმინისტრაციის აღშფოთება მოჰყვა.

"საკანში მყოფი პატიმრები საპყრობილის დერეფნებში გამოჰყავდათ და ფიზიკურად უსწორდებოდნენ. დაკავებულების ცემის ფაქტი მაშინ გახმაურდა, როცა პატიმრები დამცველებმა მოინახულეს. 30 ნაცემი პატიმრისგან ძალადობის კვალი თამაზ შავიშოვს, ოთარ ბაბაევს, მიხეილ კერესელიძეს და გურამ ვაშაკიძეს ეტყობოდა," - განაცხადა ლაბაძემ. **ინტერპრესნიუსი**

# ბრძანება - ქვეყნის პირველი პირების იზოლირება ან ლიკვიდაცია

პირველი გვერდიდან

შინაგან საქმეთა სამინისტრომ კიდევ ერთი მტკიცებულება გამოქვეყნა - უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის და მისი მეუღლის დის შვილის, მაია თოფურიას სატელეფონო საუბრის ჩანაწერი. ჩანაწერის თანახმად, იგორ გიორგაძე თოფურიას საპროტესტო აქციის მსვლელობის, გადმორიცხული თანხისა და საბანკო ანგარიშის თაობაზე ესაუბრება. იგორ გიორგაძის ინტერესის საგანია ერთ-ერთი მიტინგის მონაწილეთა რაოდენობა. მაია თოფურიას პასუხით მომიტინგეთა რაოდენობა 10 ათასს აღწევს.

გუშინწინ შინაგან საქმეთა სამინისტრომ იგორ გიორგაძისა და მაია თოფურიას საუბრის კიდევ ერთი ჩანაწერი გამოაქვეყნა.

იგორ გიორგაძე: - სად ხართ ახლა?

მაია თოფურია: - "დედა ენის" ძეგლთან, პარლამენტისკენ გვაქვს მსვლელობა. 3500 ადამიანია. ერთ წრეს დავარტყამთ და დავიშლებით.

იგორ გიორგაძე: - ანგარიში მინდა პარტიის, ევროპიდან არის ხალხი, იქაც უნდათ, დაგვეხმარონ. გუშინ გახსენით ის, რაც გამოვაგზავნე?

მაია თოფურია: - როდის, გუშინ? გუშინ არ ყოფილა არაფერი.

იგორ გიორგაძე: - იყო, იყო. ძალიან სერიოზულად გაქვთ მოსაფიქრებელი რა და როგორ. ძალიან, ძალიან ბევრი ჩავარდნა გქონდათ... აბა, შენ იცი, არ დააყოვნო.

მაია თოფურია: - არა, არა, ახლავე ვიზამ.

საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრის იგორ გიორგაძის და მისი მეუღლის დის შვილის მაია თოფურიას სატელეფონო საუბარში ადვოკატი "უკანონობას ვერ ხედავს".

**"ჩანაწერებში არ არის საუბარი სახელმწიფო გადატრიალებასა და რაიმე სხვა დანაშაულზე. ის, რომ პარტია "სამართლიანობა", რომლის ერთ-ერთი ლიდერიც მაია თოფურიაა, იგორ გიორგაძის პარტიაა, თავისთავად გულისხმობს იმას, რომ გიორგაძე თოფურიას პარტიის საორგანიზაციო გეგმებზე გაესაუბრებოდა. ამ დროს ფინანსურ დახმარებაზე საუბარიც ბუნებრივია,"** - განაცხადა ადვოკატმა გელა ნიკოლეიშვილმა.



*მაია ნიკოლეიშვილის აღიარებითი ჩვენება.*

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ახალი მტკიცებულებების გამოქვეყნებას პოლიტიკური მოძრაობა "იმედის" ლიდერი ირინა სარიშვილიც გამოეხმაურა. იგი საერთაშორისო ორგანიზაციებს, საელჩოებს, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიას საგანგებო მიმართვას უგზავნის და დახმარებას ითხოვს.

**"საქართველოში ფაშისტური პოლიტიკის ახალი ეტაპი დაიწყო, პოლიტიკურმა რეპრესიებმა მასობრივი სახე მიიღო. იმის მიუხედავად, რომ არ არსებობს მტკიცებულებები, პატიმრობაში რჩება 12 ადამიანი, თავისუფლებაში დარჩენილ პირებზე კი დაუფარავი თვალთვალი ხორციელდება,"** - აცხადებს ირინა სარიშვილი.

ირინა სარიშვილის განცხადებით, მათ დახმარებაზე უარს აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაციების "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა" და "პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარეები.

**"ანა დოლიძეს და ნანა კაკაბაძეს უფლება არ აქვთ, არ დაინტერესდნენ დაკავებული ადამიანების მდგომარეობით, თუმცა მათ შიშმა ყველაფერი გადაავიწყა",** - განაცხადა ირინა სარიშვილმა.

მისივე თქმით, შსს-ს მიერ გავრცელებული ჩანაწერი - იგორ გიორგაძის და მაია თოფურიას სატელეფონო საუბარი, კრიმინალურ ელემენტებს არ შეიცავს. სარიშვილის განცხადებით, მსგავსი საუბარი გიორგაძესთან თავადაც არაერთხელ ჰქონია.

შეგახსენებთ, რომ შს სამინისტრომ სამშობლოს ღალატის ბრალდებით 13 პირი დაპატიმრა. მათ ბრალი წაუყენეს სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით. შსს-ს ინფორმაციით, ბრალდებული არიან იგორ გიორგაძის პარტია "სამართლიანობის" და მისი სატელიტი ორგანიზაციების ლიდერები: თემურ ჟორჟოლიანი, გურამ პაპუკაშვილი, მაია თოფურია, ვახტან ტალახაძე, კახა ქანთარია, გიორგი მეტრეველი, რევაზ ბულია, იაკობ კვინიკაძე, ზაზა დავითაია, ვარლამ გალდავა, რამაზ სამნიძე, გიორგი ახობაძე და "ანტისოროსის" ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი.

კახა ქანთარიას დამატებით ბრალი ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაში წაუყენეს. 12 დაკავებულს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. მაია ნიკოლეიშვილმა კი სამართალდამცველებს აღიარებითი ჩვენება მისცა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე - 10 ათასი ლარის გირაოს გადახდის სანაცვლოდ, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

*24 საათი*

## უცხოეთი

# ტერორისტული შეთქმულების სენსაციური დეტალები

11 სექტემბრის ტერაქტიდან ხუთი წლის შემდეგ ბრიტანული პრესა ტერორისტული შეთქმულების სენსაციურ დეტალებს აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, უსამა ბინ ლადენის თანამზრახველები ანალოგიური შეტევის განხორციელებას ლონდონზედაც აპირებდნენ.

გაზეთ Daily Telegraph-ის ინფორმაციით, 11 სექტემბრის ტერორისტული აქტის შემდეგ ტერორისტების თავდასხმის ობიექტი საერთაშორისო აეროპორტი "ჰიტროუ" უნდა გამხდარიყო.

გაზეთის ინფორმაციით, ამ საქმისთვის საუდის არაბეთში საგანგებოდ შეარჩიეს ოთხი შაჰიდი, რომლებსაც სამგზავრო თვითმფრინავი უნდა გაეტაცებინათ და ტერაქტი მოეწყოთ. მსოფლიო სავაჭრო ცენტრის ბედს, სავარაუდოდ, ბრიტანეთის ყველაზე მაღალი შენობა, Canary Wharf-ი გაიზიარებდა.

ტერორისტული შეთქმულების დეტალები მას შემდეგ გამჟღავნდა, რაც აშშ-ის მთავრობამ სამართალდამცველებს პაკისტანელი ჰალიდ შეიხ მოჰამედისა და იემენელი რამზი ბენ ალ-შიბას დაკითხვისას მიღებული მასალის ნაწილის გამოქვეყნების ნება დართო. ჰალიდ შეიხ მოჰამედი და რამზი ბენ ალ-შიბა ამჟამად აშშ-ის ციხეში იმყოფებიან.

ამერიკული წყაროს მონაცემებით, მოხალისეების ძებნაში შიბას ვინმე ვალიდ ბენ ატაში ეხმარებოდა, რომელიც ჰალადის სახელითაა ცნობილი და, სავარაუდოდ, ბინ ლადენის პირადი მცველი იყო.

Daily Telegraph-ი წერს, რომ მსოფლიო სავაჭრო ცენტრის აფეთქებიდან 5 წლის თავზე 75-მა ამერიკელმა მეცნიერმა სენსაციური განცხადება გააკეთა. ისინი ამტკიცებენ, რომ 11 სექტემბრის ტერაქტის შესახებ სიმართლე გასაიდუმლოებულია. მათი მტკიცებით, ნიუ-იორკში შენობები ამერიკელებმა ააფეთქეს.

მეცნიერთა ჯგუფის ლიდერი, იუტის უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკოსი სტივენ ჯონსი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ცათამბჯენების დასანგრევად ასაფეთქებელი ნივთიერება იყო გამოყენებული. მისი თქმით, ორ თვითმფრინავში არსებულ სათბობის მარაგს კონსტრუქციის დარღვევა არ შეეძლო გამოეწვია. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ორივე ცათამბჯენის სტრატეგიულ წერტილებში დამონტაჟებული იყო ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომელიც მას შემდეგ აამოქმედეს, რაც თვითმფრინავები შენობებს შეეჯახა.

"თვითმფრინავები მხოლოდ ყურადღების გადატანისთვის გახდა საჭირო", - აცხადებს მინესოტის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ჯეიმს ფეტცერი.

მეცნიერთა ჯგუფი, რომელთაც გამომწვევი სახელი ("მეცნიერები 9/11-ის შესახებ სიმართლის დასადგენად") დაირქვეს, მიიჩნევს, რომ ნეოკონსერვატორებმა მოსალოდნელი ტერაქტის შესახებ წინასწარ იცოდნენ და ცენტრალურ სადაზვერვო სამართველოსთან მოლაპარაკებული იყვნენ, რათა ცათამბჯენების აფეთქების შემთხვევაში, ახლო აღმოსავლეთში ომის დასაწყებად ფართო მასობრივი მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

"არ გვჯერა, რომ თვითმფრინავების გამტაცებლებმა და კიდევ ავღანეთში ჩასაფრებულმა რამდენიმე ადამიანმა ასეთი მასშტაბური ტერაქტი განახორციელეს. მეცნიერულ კვლევას არ შევწყვეტთ და საქმეს აუცილებლად მივიყვანთ ბოლომდე", - აცხადებს ჯონსი.

აღსანიშნავია, რომ შეთქმულების ეს თეორია პირველი არ არის. ბევრი ასეთი მოსაზრება მცდარი აღმოჩნდა და უარყვეს, მაგრამ აშშ-ის საინფორმაციო საშუალებები ასეთ განცხადებებს ხშირად სერიოზულად უდგებიან. ოჰაიოს უნივერსიტეტში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ამერიკული საზოგადოების მესამედზე მეტს სჯერა, რომ აშშ-ის მთავრობას 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტში "ხელი აქვს გასვრილი", მათ ან თავად მოახდინეს უბედურების პროვოცირება, ან მის ჩასახშობად არაფერი გააკეთეს.

11 სექტემბრის საგამოძიებო ჯგუფის ყოფილი უფროსის ჰამილტონის განცხადებით, მეცნიერთა ჯგუფის განცხადებებს ის არ გაუკვირვებია.

"ადამიანთა უმრავლესობა, ვისთანაც ამ საკითხზე საუბარი მქონია, თვლის, რომ ტერაქტში ამერიკის ხელისუფლება ურევია, თუმცა მათ ამ ვარაუდს არანაირი საფუძველი არ გააჩნია, ცენტრალური სადაზვერვო სამსახური 11 სექტემბრის ტერაქტს ვერ დაგეგმავდა," - აცხადებს ჰამილტონი.

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

გთავაზობთ
ფასდაკლებას საერთაშორისო საუბრებზე

10 % - დან 30 % - მდე

აირჩიეთ ორი ნომერი და დაარეგისტრირეთ "საქართველოს ტელეკომში"
ერთი ნომერი - ადგილობრივი, საიდანაც რეკავთ (ქ.თბილისის ტელეფონი)
მეორე ნომერი - საზღვარგარეთ, ვისთანაც ისურვებდით ფასდაკლებით საუბარს (ქალაქის ან მობილური ტელეფონი)

რეგისტრაციისათვის:
დარეკეთ ტელეფონზე - 442020 (დარეგისტრირება უფასოა)
ან
მობრძანდით "საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო და ანგარიშსწორების ცენტრებში.

რაც მთავარია!!! ფასდაკლებით სარგებლობა შესაძლებელია

მხოლოდ 8-10 -ით

www.telecom.ge

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

# თოფაძის გუნდი ბრძოლაში ებმება

პირველი გვერდიდან

**"კარგი იქნება, თუ თბილისის ახლადარჩეული საკრებული არ დაემსგავსება პარლამენტს, სადაც ყველა საკითხს ერთპარტიული უმრავლესობა წყვეტს. თუ ოპოზიციური პარტიები მრავლად იქნებიან საკრებულოში, ეს ძალიან წაადგება დედაქალაქს. ამით საშუალება მოგვეცემა, ვიბრძოლოთ იმისთვის, რომ ქალაქის მერი ჩვენი რიგებიდან იყოს არჩეული",** - მიიჩნევს "მრეწველების" ლიდერი.

გუშინ პარტიის ოფისში გამართულ საარჩევნო სიების პრეზენტაციაზე დედაქალაქის მერობის პრეტენდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თითქმის 30 წელი თბილისში სტაგნაცია იყო და არაფერი კეთდებოდა. **"ახალა თითქოს რაღაც მოძრაობა იგრძნობა, მაგრამ ეს აშკარად არასაკმარისია. თბილისს გაცილებით მეტი ყურადღება სჭირდება. დარწმუნებული ვარ, რომ ქალაქის სათავეში კარგი გუნდით მოვალთ და თბილისისთვის ბევრი კარგის გაკეთებას მოვახერხებთ",** - ხალხის ნდობის მანდატის მიღებას მოუთმენლად ელოდება თოფაძე.

მისი თქმით, 5 ოქტომბრის არჩევნებში წარმატების მიღწევის შემთხვევაში, "მრეწველების" მთავარი პრიორიტეტი თბილისელების დასაქმება იქნება. თოფაძის განცხადებით, ქალაქის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა 15-18 საწარმოს ასამოქმედებლად, რითაც, თავის მხრივ, უმუშევრობის პრობლემა მნიშვნელოვნად შემსუბუქდება.

"მრეწველების" წინასაარჩევნო დაპირებებში, მოსახლეობის დასაქმების გარდა, ფიგურირებს აგრეთვე მიწისძვრით დაზარალებულთა დაკმაყოფილება, ადგილობრივ მმართველობაში პროფესიონალი და პატიოსანი კადრების მოყვანა, მუნიციპალური ბინათმშენებლობის აღდგენა, მოსახლეობისთვის სასმელი წყლის უწყვეტად მიწოდება და ა.შ.

"24 საათის" კითხვაზე, თუ რატომ ვერ მოახერხა ოპოზიციამ ერთიანი საარჩევნო ბლოკის შექმნა, გოგი თოფაძე პასუხობს: **"დიდი მცდელობა გვქონდა, რომ ოპოზიცია გაერთიანებულიყო. მაშინ არჩევნებში გაცილებით მეტი შანსები გვექნებოდა. ამ მიზნით, თითქმის ყველა ოპოზიციურ პარტიასთან გავმართეთ კონსულტაციები. მაგრამ გაირკვა, რომ ზოგიერთები ცალკე აპირებდნენ არჩევნებში მონაწილეობას. ამ შემთხვევაში კი, ოპოზიციის პოტენციალი ძალიან იფანტება. გარდა ამისა, ოპოზიციურ ძალებს შორის არსებობს იდეოლოგიური სხვაობა, აგრეთვე პიროვნული ამბიციები, რის გამოც ერთიანი კანდიდატურის დასახელება და არჩევნებში ერთიანი გუნდით გამოსვლა ვერ მოხერხდა".**



გუშინდელ პრეზენტაციაზე მასმედიას იმ გუნდის შემადგენლობაც გააცნეს, რომელიც 5 ოქტომბრის არჩევნებში "მრეწველების" სახელით "იასპარეზებს". საარჩევნო ოლქების მიხედვით, ეს გუნდი ასე გამოიყურება: **ვაკე** - გოგი თოფაძე, ლეილა გაფრიდაშვილი, გიორგი კამკამაძე, გიორგი ტყემალაძე, **ნაძალადევი** - ვიკა კობახიძე, იმედო გულვერდაშვილი, რომან რურუა, **ისანი** - ლევან ცაბაძე, მიშა გრიგორიანი, ლაცოშვილი, **მთაწმინდა** - ნიკა ივანიშვილი, ალექსანდრე კურცხალია, გია მირცხულავა, ვატო ქერქაძე, **ჩუღურეთი** - მანუჩარ მაჩაიძე, მანანა გაბუნია, რევაზ რურუა, **საბურთალო** - დავით მაისოშვილი, სოსო ჩხეიძე, თამაზ მალაზონია, მარინა ნანიტაშვილი, ზურაბ კერესელიძე, სულხან მუმლაძე, **კრწანისი** - დიტო ჩიკვაიძე, ეთერ ორაგველიძე, მადონა თურმანიძე, **სამგორი** - მაია ცაბოშვილი, გურამ კუპატაძე, ჯემალ ბეჟანიშვილი, **გლდანი** - მამუკა ვეფხვაძე, თინათინ ჟღენტი, დავით შეთეკაური, **დიდუბე** - მზია ხეთაგური, ნიკოლოზ ღუდუშაური.

ზურაბ ტყემალაძის თქმით, **"მრეწველების" საარჩევნო სია 90 პროცენტით ახალი სახეებით არის დაკომპლექტებული და ეს ახალგაზრდა ადამიანები სხვადასხვა სფეროებში წარჩინებული პიროვნებები არიან".**

# "ლეიბორისტული" ხელთათმანი



პირველი გვერდიდან

**"მე პირდაპირ ტელედებატებში ვიწვევ საქართველოს სამარცხვინო პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს და ამის ნიშნად ვესვრი თეთრ ხელთათმანს. თუ თავი აქვს, თუ კურდღელი და თუ მშიშარა არ არის, გამოვიდეს და მე მას დავუსაბუთებ, რომ მისი ყოფნა პრეზიდენტის პოსტზე არის წარმოუდგენელი სახის დანაშაული ერისა და კაცობრიობის წინაშე,"** - აცხადებს ნათელაშვილი.

"ლეიბორისტული პარტიის" კანდიდატები საარჩევნო უბნებზე ასე გადანაწილდება: გლდანში კენჭს იყრის საკრებულოს "ლეიბორისტული" ფრაქციის თავმჯდომარე გიორგი გუგავა, სამგორში - პარტიის გენერალური მდივანი სოსო შატბერაშვილი, ჩუღურეთში - პარტიის აღმასრულებელი მდივანი პაატა ჯიბლაძე, დიდუბეში - გია ბერძენიშვილი, ვაკეში - პროფესორი ნესტან კირთაძე და უროლოგი თამაზ შიოშვილი. პარტიის ლიდერი ჯონდი ბაღათურია კი ქალაქის მერს გიგი უგულავას მთაწმინდის საარჩევნო ოლქში დაუპირისპირდება, ხოლო ისანში რატი მაისურაძე და ჩიორა წიკლაური იქნებიან წარდგენილნი.

როგორც შალვა ნათელაშვილმა პრეზენტაციაზე განაცხადა, იგი პატივს სცემს ზოგიერთი პარტიის გადაწყვეტილებას არჩევნების ბოიკოტთან დაკავშირებით, მაგრამ ამის მიუხედავად, არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ პარტიებთან ითანამშრომლებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე "ლეიბორისტების" მთავარი ლოზუნგი - "ქართველებო, გადავარჩინოთ ქვეყანა სააკაშვილისაგან" იქნება. ლეიბორისტთა ლიდერის თქმით, პარტიამ რეგიონების ძირითადი ნაწილი მოიცვა, ზოგიერთ ოლქში კი, სიები არჩევნების ადრე დანიშვნის გამო ვერ წარადგინეს.

# ბოიკოტი "მარჯვნიდან"

*გუშინ "მემარჯვენეების" ფავორიტმა ბადრი პატარკაციშვილმა მერობის კანდიდატობაზე საბოლოო უარი განაცხადა. "მემარჯვენეებმა" კი არჩევნებში მონაწილეობაზე თქვეს უარი. რაც ყველაზე საინტერესოა, "მემარჯვენეები" თვითმმართველობის საარჩევნო მარათონიდან ავტომატურად ვადამდელი საპარალმენტო არჩევნების კამპანიაზე გადაერთვნენ.*

ვერიკო თევზაძე

დავით გამყრელიძის განმარტებით, პატარკაციშვილის უარი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობაზე განპირობებულია ცაიტნოტით, ასევე ცუდი საარჩვნო კოდექსის და, ზოგადად, ქვეყანაში არსებული არასახარბიელო ვითარების გამო: **"ბადრი პატარკაციშვილმა გადაწყვიტა, რომ დღეს, როდესაც პრაქტიკულად, არის ცაიტნოტი, როდესაც არის სრულიად არაორდინალური სიტუაცია შექმნილი არჩევნებთან დაკავშირებით და, ზოგადად, ქვეყანაში, როდესაც კანონმდებლობა თავიდან ბოლომდე მორგებულია ხელისუფლების ინტერესებზე, და პოლიტიკურ თაღლითობასთან გვაქვს საქმე, არ მიიღოს მონაწილეობა არჩვნებში".**

"მემარჯვენეების" ლიდერი, რომელმაც გუშინ ოფიციალურად გამოუცხადა ბოიკოტი ადგილობრივ არჩევნებს, წუხს იმის გამო, რომ ბიოკოტის იდეის გარშემო ოპოზიცია ვერ გაერთიანდა. გამყრელიძე წარმატებებს უსურვებს არჩევნებში მონაწილე ოპოზიციურ ძალებს, თუმცა წინასწარ არის დარწმუნებული, რომ 5 ოქტომბრის არჩევნები ხელისუფლების სრული გამარჯვებით დასრულდება: **"შედეგი უკვე ცნობილია. ეს არის ის სცენარი, რომელიც უნდა დასრულდეს ხელისუფლების სრული გამარჯვებით. ოპოზიციას ამ შემთხვევაში მხოლოდ და მხოლოდ მეორეხარისხოვანი როლის შესრულება აქვს დაკისრებული."**

დავით გამყრელიძის აზრით, დღევანდელ ვითარებაში გამოსავალი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და კოსტიტუციური რეფორმაა. **"ჩვენ დღეიდანვე დავიწყებთ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების კამპანიას. საჭროა, საქართველოს მოსახლეობამ გაიგოს, თუ როგორ შეიძლება რეალურად შეიცვალოს ის მდგომარეობა ქვეყანაში, რომელიც ჩამოაყალიბა სააკაშვილმა და მისმა რეჟიმმა,"-** აღნიშნა გამყრელიძემ.

"მემარჯვენეები" უახლოეს მომავალში რაიონებში გასვლას და აქტიური წინასარჩევნო კამპანიის ჩატარებას აპირებენ.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების და კონსტიტუციური რეფორმის იდეის გარდა, გუშინ დავით გამყრელიძემ ხაზგასმით აღნიშნა თავისი სურვილის შესახებ: **"გამოვთქვამ სურვილს, რომ ისეთი საზოგადო მოღვაწე, როგორიც ბადრი პატარკაციშვილია, უფრო აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რა თქმა უნდა, - ოპოზიციის მხარეს. ეს დააბალანსებს იმ სიტუაციას, რომელიც ქვეყანაში არის შექმნილი და გააძლიერებს ოპოზიციას."**

გამყრელიძის განმარტებით, "მემარჯვენენებს" პატარკაციშვილთან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თაობაზე მოლაპარაკებები არ გაუმართავთ.

გუშინვე "მემარჯვენეებში", შეიძლება ითქვას, "თემის" და "პიროვნების" პრობლემა წარმოიშვა. პარტიის გადაწყვტილებას ბოიკოტის თაობაზე დაუპირისპირდა მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი კოკა გუნცაძე. გუნცაძის შეფასებით, ბოიკოტი არის მცდარი გადაწყვეტილება, ამ ჭეშმარიტებაში მან თანაპარტიელების დარწმუნება ვერ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ "რესპუბლიკელმა" ლევან ბერძენიშვილმა გუნცაძის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა და მას ახალგაზრა პოლიტიკოსების "ოქროს ფონდის" წარმომადგენელი უწოდა, გუნცაძე ჯერჯერობით პარტიის დატოვებას არ აპირებს. როგორც "24 საათს" "მემარჯვენეების" პრესსამსახურში განუცხადეს, კოკა გუნცაძეს ამგვარი გადაწყვეტილება არ მიუღია.

# "თავისუფლების" ბოიკოტი

*"პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლება" თავისი კურსის ერთგული რჩება და არ აპირებს მონაწილეობა მიიღოს თვითმმართველობის არჩევნებში, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა "ნაციონალური მოძრაობის" მიერ დაგეგმილი სამარცხვინო ფარსი," - ეს განცხადება გუშინ მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერმა კოკო გამსახურდიამ საკუთარ ოფისში გააკეთა.*

თამარ დვალი

მას შედეგ, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნის თარილი გახდა ცნობილი, პოლიტიკური მოძრაობა - "თავისუფლების" ლიდერი კოკო გამსახურდია არჩევნების ბოიკოტზე ალაპარაკდა. ამის მიზეზად იგი ხელისუფლების მიერ პირობების შეუსრულებლობასა და "დრაკონული კანონების" მიღებას ასახელებს. მისი აზრით, 5 ოქტომბერს არჩევნების დანიშვნით ხელისუფლებამ პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა ნორმალური საარჩევნო კამპანიის ჩატარება. გამსახურდია ასევე მიესალმება ყველა იმ ოპოზიციურ ძალას, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის მიღებას არ აპირებს.

**"პირველ რიგში მივესალმები "ახალ მემარჯვენეებს", რომლებმაც "ნაციონალების" მიერ დაგეგმილ სამარცხვინო ფარსში მონაწილეობის მიღებაზე უარი თქვეს. ადგილობრივი თვითმმართველების არჩევნების დრაკონული კანონი და მისი დანიშვნის წინაისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ხელისუფლებას მიუხედავად ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების სრული კონტროლისა, აქვს პანიკური შიში ჯანსაღი კონკურენციის და თანაბარ პირობებში არჩევნებში მონაწილეობისა,"** - აცხადებს კოკო გამსახურდია.

პოლიტიკური მოძრაობა "თავისუფლების" ლიდერი მიიჩნევს, რომ არც ერთ ოპოზიციურ ძალას არ აქვს შანსი გაიმარჯვოს ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში. აქედან გამომდინარე, მისთვის უცნობია ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის ლიდერის არჩევნებში მონაწილეობის მიზეზები. **"როდესაც თქვენ იცით, რომ ჩადიხართ შეცდომას, როდესაც თქვენ იცით, რომ თამაშობთ სხვის თამაშს და მაინც მიდიხართ ამაზე, მაშინ სხვა მოსაზრებას აქვს ადგილი. ეს ჯერ ჩვენთვის უცნობია და ალბათ, მალე გახდება ცნობილი",** - ამბობს გამსახურდია.

რაც შეეხება ოპოზიციის არაერთსულოვნებას, ამის მიზეზად "თავისუფლების" ლიდერი ოპოზიციური პარტიების სხვადასხვა ტრადიციებს, წარსულსა და პრინციპებს მიიჩნევს.

# აკაკი ბობოხიძე კანონს არღვევს

მაია მეცხვარიშვილი
ქუთაისიდან

ორიოდე დღის წინ "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ქუთაისის ორგანიზაციის ოფისში ერთმანეთის მიყოლებით დაიბარეს მერიის საქალაქო სამსახურების, საავადმყოფოების, საგანმანათლებლო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები და მათგან მმართველი პარტიის მხარდამჭერთა "მობილიზაცია" მოითხოვეს. ხელმძღვანელებს დაურიგდათ სპეციალური ბლანკები; უნდა შედგეს მინიმუმ თოთხმეტკაციანი სია, რომლებიც ვალდებულნი იქნებიან, ხმა მისცენ "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას". ბლანკებში უნდა მიეთითოს, თითოეული პოტენციური მხარდამჭერის გვარი, სახელი, ტელეფონი, პირადობის მოწმობის ნომერი, მისამართი, სამუშაო ადგილი და საარჩევნო უბანი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც პიროვნების იდენტიფიკაციისთვის საჭირო ინფორმაციას შეიცავს. "ნაციონალების" ამ "აქციას" ხმამაღლა გამპროტესტებლები ჯერ არ გამოჩენია, თუმცა "პროტესტანტების" ძიებას უკვე შეუდგნენ "ნაციონალების" ოპონენტი "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები". მათვე გახსნეს საარჩევნო სიების პრეზენტაციების სეზონი.

ქუთაისელი "რესპუბლიკელები" და "კონსერვატორები" სათავო ოფისების მაგალითს იზიარებენ და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ერთიანი სიით გამოდიან. ოღონდ, თბილისისგან განსხვავებით, სადაც სიას "კონსერვატორი" კობა დავითაშვილი უდგას სათავეში, ქუთაისში სიის სათავეში "რესპუბლიკელი" ვიკა ნაკაშიძე დგას და მას მოსდევს "კონსერვატორი" ტარიელ დათიაშვილი.

გაცილებით უფრო "საინტერესოდ" გამოიყურება "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საარჩევნო სია, რომლის სათავეშიც, როგორც წინასწარ იყო ცნობილი, ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსი აკაკი ბობოხიძე დგას. ბობოხიძის შემთხვევაში გაოცებას მხოლოდ ის ფაქტი იწვევს, რომ იგი ელემენტარულ "უხერხულობასაც" კი არ გრძნობს, ისე არღვევს საარჩევნო კანონს. აღნიშნული კანონის მოთხოვნის მიუხედავად, აკაკი ბობოხიძე არჩევნებამდე არ აპირებს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის უფროსის სავარძელთან გამოთხოვებას და ამას ქვეყანაში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციით ხსნის.

**"ჩვენთვის ცნობილია, რომ არჩევნებამდე შეიძლება ჩვენმა მტრებმა კიდევ უფრო გაამწვავონ სიტუაცია და ასეთ შემთხვევაში, მე გამოვემშვიდობები საარჩევნო კამპანიას და ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას გავაგრძელებ,"** - აცხადებს აკაკი ბობოხიძე.

"ნაციონალების" სიაში არ გვხვდება იმერეთის ვიცე-გუბერნატორი გია თევდორაძე, რომელიც ქუთაისის მერობის კანდიდატად სახელდებოდა, თუმცა ქალაქის მომავალი ხელმძღვანელისთვის გადამწყვეტი არა საკრებულოს წევრობა, არამედ წარმომადგენლობითი ორგანოს მხარდაჭერა იქნება. უკვე ცნობილია, რომ საარჩევნო მარათონში ჩაბმაზე საბოლოოდ თქვა უარი ქუთაისის მერის მოვალეობის ამჟამინდელმა შემსრულებელმა გიგა ჩოგოვაძემ. არჩევნების შემდეგ ჩოგოვაძემ, შესაძლოა, პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილის პოსტზე გადაინაცვლოს.

# ტრიუმფალური გამარჯვების მოლოდინში

**მონტენეგრო ევროპულ მომავალს აძლევს ხმას**

თეა მაისურაძე

მონტენეგროში ჩატარებული არჩევნების წინასწარი მონაცემებით მმართველი კოალიცია "ევროპული მონტენეგრო - მილო ჯუკანოვიჩი" ლიდერობს.

დემოკრატიული გარდაქმნის ცენტრის დამკვირვებელთა მონაცემებით, პრემიერ-მინისტრ მილო ჯუკანოვიჩის კოალიციამ მონტენეგროს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში - სკუპჩინაში - შესაძლოა 81-დან 41 სადეპუტატო მანდატი მოიპოვოს.

მილო ჯუკანოვიჩი აცხადებს, რომ მისმა პარტიამ ტრიუმფალური გამარჯვება მოიპოვა. მისივე თქმით, ჩატარებული არჩევნები არის ნათელი დადასტურება იმისა, რომ მონტენეგრო არის პოლიტიკურად სტაბილური ქვეყანა.

წინასაარჩევნოდ ჯუკანოვიჩი აცხადებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში მისი მიზანი მონტენეგროს ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება და ასევე ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა იქნებოდა. ჯუკანოვიჩი მიიჩნევს, რომ საჭიროა რეფორმების გატარება, იმისათვის რომ მონტენეგრო თავისი განვითარების დონით ევროკავშირის სტანდარტებს მიუახლოვდეს, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, უცხოელ ინვესტორთა ინტერესების გათვალისწინება და მონტენეგროში კაპიტალდაბანდებებისათვის ხელის შეწყობა.

პროსერბული ორიენტაციის პარტიები არჩევნებამდე აცხადებდნენ, რომ მათი გამარჯვების შემთხვევაში ისინი კიდევ ერთ რეფერენდუმს ჩაატარებდნენ სერბიასთან ურთიერთობების აღდგენის საკითხზე. ჯუკანოვიჩის მოწინააღმდეგეები მას კორუფციულ ქმედებებში და ნეპოტიზმში ადანაშაულებენ.

მონტენეგროში ჩატარებული არჩევნების ოფიციალური შედეგები უახლოეს დღეებში უნდა გამოცხადდეს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგად, არჩევნებამდე გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი სწორედ ჯუკანოვიჩს ჰქონდა. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ მონტენეგროს დამოუკიდებლობამ, მისმა გაწევრიანებამ გაეროში და ევროკავშირთან მჭიდრო ურთიერთობების პერსპექტივამ განაპირობა ჯუკანოვიჩის ხელახალი არჩევა.

იმ შემთხვევაში, თუ ჯუკანოვიჩის გამარჯვება არჩევნების საბოლოო შედეგებით დადასტურდება, ეს იქნება ბალკანურ პოლიტიკაში მნიშვნელოვანი მოვლენა, ვინაიდან ქვეყნის სათავეში კვლავ დარჩება მმართველი, რომელიც უკვე 15 წელია, რაც მონტენეგროს ხელმძღვანელობს. იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, ჯუკანოვიჩი ხან მონტენეგროს პრეზიდენტის და ხანაც პრემიერ-მინიტრის პოსტს ითავსებდა და ხელმძღვანელობდა ქვეყანას, რომლის მოსახლეობაც საშუალოდ 650 000 შეადგენს.

გამარჯვებაში დარწმუნებული მილო ჯუკანოვიჩი ხალხს უამრავ პოზიტიურ ცვლილებებს ჰპირდება: **"მომავალში ჩვენ განახლებული ენერგიით შევუდგებით დიდი წარმატებისათვის ახალი ნაბიჯების გადადგმას, ვიბრძოლებთ იმისათვის, რომ მონტენეგრო იყოს უფრო დემოკრატიული, ეკონომიკურად უფრო განვითარებული, შევქმნით ახალ სამუშაო ადგილებს და გავზრდით ხელფასებს,"** - აცხადებს მონტენეგროს ლიდერი. მისივე თქმით, მონტენეგრომ წარმატებით უნდა გაიაროს ტრანსფორმაციის პროცესი და გახდეს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყანა.

არჩევნების შედეგებმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია კვლავ დიდ გავლენას ახდენს ჩერნოგორიის მოსახლეობაზე, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა 32 პროცენტი თავს სერბებად და არა მონტენეგროელებად მიიჩნევს, ხოლო ადგილობრივი ბოსნიელები და ალბანელები კი არჩევნებში თავისი კანდიდატურების წამოყენების სურვილს აცხადებენ, თუმცა მთავარმა სერბულმა პარტიამ, რომელიც მონტენეგროს დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებოდა, არჩევნების შედეგების მიხედვით ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესაძლებლობა დაკარგა.

შეგახსენებთ, რომ იუგოსლავიის ყოფილმა რესპუბლიკამ 2006 წლის 21 მაისს ჩატარებულ რეფერენდუმზე სერბიისაგან გამოყოფას დაუჭირა მხარი. დღეისათვის მონტენეგროს დამოუკიდებლობა აღიარეს მისმა ბალკანელმა მეზობლებმა (ალბანეთი, ბოსნია-ჰერცუგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, საბერძნეთი და რუმინეთი), ევროპის ქვეყნებმა, ასევე საერთაშორისო პოლიტიკის მთავარმა აქტორებმა აშშ-მ და ჩინეთმა.

# საარჩევნო მარათონმა სტარტი კახეთშიც აიღო

*გურჯაანის რაიონში თვითმმართველობის არჩევნებში სახელისუფლებო ბლოკს კონკურენციას კახეთში სკანდალებით განთქმული ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი გაუწევს. თელავში კი ოპოზიციას დაუპირისპირდებიან თელავის გამგებლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილი და მისი ყოფილი თანამშრომლები.*

გუშინ, ზუსტად 18 საათზე კახეთში მოქმედმა საარჩევნო კომისიებმაც დაასრულეს თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღების მსურველთა რეგისტრაცია. ამ დროის მონაცემებით, თელავის მეჩვიდმეტე საოლქო საარჩევნო კომისიაში სარეგისტრაციო განცხადება ლეიბორისტულმა პარტიამ, ნაციონალურმა მოძრაობამ, აგრეთვე რესპუბლიკელების და კონსერვატორების საარჩევნო ბლოკმა "ხიდაშელი-დავითაშვილი-ბერძენიშვილმა" გაიარა.

სახელისუფლებო ბლოკის სიების პირველი ხუთეული თელავში ასე გამოიყურება: პირველი ამ რაიონში თელავის გამგებლის მოვალეობის ყოფილი შემსრულებელი გოჩა მამაცაშვილია, რომელმაც მმართველ ორგანოში მუშაობის უფლებამოსილება თავად შეიწყვიტა. მეორე თელავის უნივერსიტეტის რექტორი გია გოცირიძეა, სიით მესამე და მეოთხე ადგილები თელავის რაიონის გამგებლის პირველმა მოადგილემ გია პაპუნაშვილმა და თელავის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ხელმძღვანელმა იმედა კევლიშვილმა გაინაწილეს. რაც შეეხება ოპოზიციას, თელავში ლეიბორისტებმა 14-კაციანი, კოსერვატორრესპუბლიკელებმა 19-კაციანი სია წარადგინეს. "მრეწველებმა" კი საარჩევნო კამპანიაზე კახეთში, როგორც "24 საათი" გუშინდელ ნომერში წერდა, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

გურჯაანში სახელისუფლებო ბლოკს და ოპოზიციას სერიოზულ კონკურენციას კახეთის რეგიონულ გაზეთ "იმედის" მთავარი რედაქტორი გელა მთივლიშვილი გაუწევს, როემლმაც საქართველოში სახელი სკანდალებით და ხამურით გაითქვა. გელა მთივლიშვილმა გურჯაანის მე-12 საოლქო საარჩევნო კომისიაში საინიციატივო ჯგუფის წარდგენით გაიარა რეგისტრაცია. იგი მშობლიურ სოფელ ჭანდარში მაჟორიტარული წესით იყრის კენჭს.

*24 საათი*

# ემზარ კვიციანის მორიგი მიმართვა

ემზარ კვციანი კოდორის ხეობაში პარტიზანული ომის დაწყებას აპირებს. განცხადებას, აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, კვიციანი ტელეკომპანია "იმედისთვის" დატოვებულ ვიდეოგზავნილიში აკეთებს, რომელიც პროგრამა "დროების" 10 სექტემბრის გამოშვებაში გადაიცა.

ემზარ კვიციანი აცხადებს, რომ იგი კოდორის ხეობაში იმყოფება და საქართველოს ხელისუფლებას ხეობიდან შეიარაღებული ძალების გაყვანსკენ მოუწოდებს.

თქვენ არ მოსულხართ მშვიდობისთვის, თქვენ გამოგვიცხადეთ ომი და ჩვენც მზად ვართ ომისთვის" - აცხადებს კვიციანი.

მისი თქმით, ამ ბრძოლაში იგი მარტო არ იქნება, მას დახმარებას ჩრდილო კავკასიელი მეომრები გაუწევენ.

კვიცნიანი თავის მიმართვაში ასევე მოუწოდებს ხელისუფლებას, გაანთავისუფლოს კოდორის ოპერაციის დროს დაკავებული მეომრები და "წინ საქართველოს" ლიდერი ირაკლი ბათიაშვილი, რომლის უდანაშაულობის დამადასტურებელი სხვა სატელეფონო საუბრები ჩანაწერებიც უნდა არსებობდეს, სადაც ბათიაშვილი აჯანყების კატეგორიული წინააღმდეგია.

სატელევიზიო ჩანაწერში ემზარ კვიციანი პირადად მიმართავს თავის დას, ნორა კვიციანს, რომელსაც უახლოეს მომავალში განთავსიუფლებას ჰპირდება.

"შენ ერთადერთი გმირი ქალი ხარ საქართველოში და იცოდე, რომ სულ მალე გაგათავისუფლებ. მეცოდები, რადგან გგონია, რომ გაქცეული ვარ, მაგრამ იცოდე, რომ მე აქ ვარ კოდორის ხეობაში," - აცხადებს ემზარ კვიციანი.

აღნიშნული ვიდეოჩანაწერი რიგით მეორე გზავნილია, რომელიც კვიციანმა საქართველოს ხელისუფლებას გაუგზავნა. პირველი მიმართვა ტელეკომპანია "იმედმა" კოდორში სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ გაავრცელა.

სპეციალისტების განცხადებით, ფირი 16/9 ფორმატშია გადაღებული და დამონტაჟებულია პორტატულ კომპიუტერში, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ ჩანაწერი შესაძლოა სტუდიაშიც გაკეთებულიყო.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ემზარ კვიციანმა კოდორის ხეობა ივლისის ბოლოს დატოვა და რუსეთში გაიქცა.

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებულის ემზარ კვიციანის მუქარა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელს აღელვების საფუძველს არ აძლევს.

"ემზარ კვიციანის მუქარები ერთხელ უკვე მოვისმინეთ. ახლა უკვე თქვენთვის მომინდვია მისი მოსმენა", - განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა. პრემიერის თქმით, სხვა მხრივ კოდორში სიმშვიდეა, მნიშვნელოვანი აღმშენებლობითი პროცესი მიდის და საინვესტიციო პროგრამები ხორციელდება. უახლოეს პერიოდში ზემო აფხაზეთში აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლება განთავსდება.

პრემიერ-მინისტრი არ აკონკრეტებს, თუ სად იმყოფება დღეს ემზარ კვიცინი და იცის თუ არა მთავრობამ მისი ადგილსამყოფელის შესახებ.

ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, ემზარ კვიციანმა კოდორის ხეობა ივლისის ბოლოს დატოვა და რუსეთში გაიქცა.

*ინტერპრესნიუსი*

# ქალები ადგილობრივ თვითმმართველობაში

2006 წლის 9 - 10 სექტემბერს, თბლისში გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტის "გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში" ფარგლებში ჩატარდა ტრეინინგი, რომელშიც მონაწილეობდნენ ამჟამინდელი საკრებულოების წევრი ქალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

გარდა იმ უნარ-ჩვევებისა, რომელიც საჭიროა ქალი კანდიდატებისათვის საარჩევნო კამპანიის დაგეგმვისა და ჩატარებისათვის, ტრენინგზე განხილულ იქნა გენდერულ პრობლემატიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები: ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კანონი და საარჩევნო კოდექსი. ტრეინინგის შემდეგ, სამუშაო შეხვედრის დროს მონაწილეებმა განაცხადეს, რომ ისინი აპირებენ მონაწილეობის მიღებას მომავალ ადგილობრივ არჩევნებში, როგორც დამოუკიდებელი მაჟირიტარი კანდიდატები, მაგრამ ქალი კანდიდატები ვარაუდობენ, რომ არჩევნებში გამარჯვება ძნელი იქნება ახალი საარჩევნო კანონმდებლობის და არჩევნებამდე დარჩენილი მოკლე პერიოდის გამო.

# მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს აუქციონს

მცხეთის რაიონის დილმის ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ შემდეგ არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე:

.0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721432303); 0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721432304); 0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721435181); 0.13 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434015); 0.18 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434205); 0.27 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434208); 0.19 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434255); 0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721435175); 0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434203); 0.17 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434184); 0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434183); 0.78 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721435161); 0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434027); 0.15 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434242)

საწყისი გასაყიდი ფასია:

**0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721432303)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 144 000(ასორმოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 9828.80(ცხრა ათას რვაას ოცდა რვა) ლარი 80 თეთრის ოდენობით

**0.32 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721432304)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 144 000(ასორმოცდაოთხი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 9828.80(ცხრა ათას რვაას ოცდა რვა) ლარი 80 თეთრის ოდენობით.

**0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721435181)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 229 500 (ორას ოცდა ცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 15664.65 (თხუთმეტი ათას ექვსას სამოცდა ოთხი) ლარი 65 თეთრის ოდენობით.

**0.13 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434015)** 1მ2 -85 (ოთხმოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 110 500 (ას ათი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 3992.95 (სამი ათას ცხრაას ოთხმოცდა თორმეტი)ლარი 95 თეთრის ოდენობით.

**0.18 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434205)** 1მ2 -65 (სამოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 117 000 (ას ჩვიდმეტი ათასი)
აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5528.70 (ხუთი ათას ხუთას ოცდა რვა)ლარი 70 თეთრის ოდენობით.

**0.27 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434208)** 1მ2 -65 (სამოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 175 500 (ას სამოცდა თხუთმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 8293.05 (რვა ათას ორას ოთხმოცდა ცამეტი) ლარი 05 თეთრის ოდენობით.

**0.19 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434255)** 1მ2 -65 (სამოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 123 500 (ას ოცდა სამი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5835.85 (ხუთი ათას რვაას ოცდა თხუთმეტი) ლარი 85 თეთრის ოდენობით.

**0.51 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721435175)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 229 500 (ორას ოცდა ცხრა ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 15664.65 (თხუთმეტი ათას ექვსას სამოცდა ოთხი) ლარი 65 თეთრის ოდენობით.

**0.22 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434203)** 1მ2 -65 (სამოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 143 000 ას ორმოცდა სამი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 6757.3 (ექვსი ათას შვიდას ორმოცდა ჩვიდმეტი) ლარი 30 თეთრის ოდენობით.

**0.17 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434184)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 76 500 (სამოცდა თექვსმეტი ათას ხუთასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 5221.55 (ხუთი ათას ორას ოცდა ერთი) ლარის 55 თეთრის ოდენობით.

**0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721434183)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 54 000 (ორმოცდა თოთხმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 3685.8 (სამი ათას ექვსას ოთხმოცდა ხუთი) ლარი 80 თეთრის ოდენობით.

**0.78 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N721435161)** 1მ2 -45 (ორმოცდახუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 351 000 (სამასორმოცდა თერთმეტი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

აღნიშნულ თანხაში გათვალისწინებულია “სასოფლო-სამეურნეო მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო ახალი მიწის ათვისების ღირებულების გადასახადი" 23957.70 (ოცდა სამი ათას ცხრაას ორმოცდა ჩვიდმეტი) ლარი 70 თეთრის ოდენობით.

**0.12 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434027)** 1მ2 -85 (ოთხმოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 102 000 (ას ორი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში

**0.15 ჰა (მიწის სარეგისტრაციო N 721434242)** 1მ2 -85 (ოთხმოცდა ხუთი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში, სულ 127 000 (ას ოცდა შვიდი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.

აუქციონის "ბე" შეადგენს გასაყიდი ფასის 10 %-ს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკა"-ში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი..

"ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. N 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი N236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ.მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ.N73. ტელ 8(27-32) 27-27: 893 45-14-44

მცხეთის რაიონის გამგეობა.

"არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია"

# ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია

**1.** ქალაქ თბილისის მერიის ადმინისტრაცია აცხადებს ღია ტენდერს ჟურნალების ბეჭდვის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

**2.** შესყიდვის ობიექტია 205.000 ცალი ჟურნალის (სრული ფერი, 92 გვერდი, შიდა 88 გვერდი - 90 გრ. გარე 4 გვერდი (ყდა) - 170 გრ.) ბეჭდვა. მომსახურების გაწევის სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 დღისა.

**3.** სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 12 სექტემბრის 10.00 საათიდან იმავე წლის 2 ოქტომბრის 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

**4.** სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300034040

**5.** პრეტენდენტებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 3 ოქტომბრის 10:00 საათიდან 14:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქალაქ თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ოთახი N014, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია.

**6.** საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

**6.1** იურიდიული პირებისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

**6.2** ფიზიკური პირებისათვის:
ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.

**შენიშვნა:** პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ დედნის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

**7.** ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი (გარანტირება, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ზე).

**8.** დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: ეკა ბასილაშვილი და ნინო დოლიძე, ტელ: (995-32) 98-82-14, (995-32) 93-37-90, ან მისამართზე: ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2, ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაცია, ოთახი N014.

**სატენდერო კომისია**

## განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

შპს “თბილქალაქგანათლება” აცხადებს აუქციონის ჩამოწერილი, ამორტიზირებული სპეცავტომანქანების დემონტაჟის შედეგად წარმოშობილი ჯართის რეალიზაციის (გაყიდვის) მიზნით და იწვევს აუქციონზე მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

- ერთი ტონა ჯართის საწყისი ფასი განსაზღვრულია 200 ლარის ოდენობით (სულ დაახლოებით 7 ტონამდე ჯართია)

აუქციონზე მონაწილეობის მსურველი ვალდებულია წინასწარ გადაიხადოს “ბე” ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით., შემდეგ ანგარიშზე: საქართველოს ბანკი, ბ/კ 220101502, ანგ.№ 013467736, ს/კ 208141474.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 12 ოქტომბერს 12 საათზე შპს “თბილქალაქგანათლების” შენობაში, მის:ქ. თბილისი, თვალჭღელიძის პირველი შესახვევი №7, III სართული. განაცხადი მიირება 2006 წლის 11 ოქტომბრის 16 საათზე.

დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაცია შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ოთარ შანიზე, ტელ.877 416 908

**შპს “თბილქალაქგანათება”**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

დუშეთის რაიონის გამგეობა (რეკვიზიტები:1800, ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, ს/ნომერი 229273844, მომსახურე ბანკი - სახალხო ბანკის დუშეთის ფილიალი, ს/ნომერი220101403, ა/ა №33030020) აცხადებს ტენდერს ქ. დუშეთში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების შასასყიდად და გიწვევთ მასში მონაწილეობის მისაღებად.

სამუშაოს შესრულების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 დღე.

ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო კონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სატენდერო წინადადებების წარდგენის ვადაა 2006 წლის 10 ოქტომბრის 10 საათიდან 18 საათამდე. შემდეგ მისამართზე: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

I. იურიდიული პირებისთვის:

1. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ყადაღის არ არსებობის შესახებ.

2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე.

3. ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ასეთი ტიპის მოწოდებების ჩამონათვალი შესრულებული სამუშაოს, მოცულობისა და შემსყიდველის (საკონტაქტო რეკვიზიტებით) მითითებებით.

4. სუბ-კონტრაქტორების გამოყენების შემთხვევაში მათი ჩამონათვალი (რეკვიზიტების მითითებით).

II. ფიზიკური პირებისთვის დამატებით:

1. მისი ქმედუნარიანობის შესახებ ცნობა.

სატენდერო დოკუმენტაციების მიღება შესაძლებელია 2006 წლის 19 სექტემბრის 18 საათამდე სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, რომელიც შეადგენს 200 (ორას) ლარს.

სატენდერო წინადადება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, არ მიირება ალტერნატიული წინადადებები.

სატენდერო კომისიის მიერ სატენდერო კონვერტების გახსნა მოხდება 2006 წლის 10 ოქტომბერს 18 საათზე. მის: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ. №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

ტენდერში გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეიძლიათ მიიღონ შემდეგი პირისგან: ლია როინიშვილი. ტელ: 8 (99) 58 27 81. ქ. დუშეთი, რუსთაველის №27, დუშეთის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისიის თავ-რე: /ლ. როინიშვილი/

ჩვენს მიერ, გაზეთ "24 საათში" მიმდინარე წლის 8 სექტემბრის N198-ში გამოქვეყნებულ განცხადებაში (შპს "საქარტველოს ფოსტა" აცხადებს ღია აუქციონს თბილისში ბოგდან ხმენლიცკის 48-ა-ში მდებარე 8 800 კვ.მ მიწის ნაკვეთის რეალიზების მიზნით) შევიტანეთ შემდეგი სახის ცვლილებები:

1. მე-5 მუხლში - "აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების" შემდეგ დაემატოს - "და შესაბამისი დოკუმენტაციის მიღება" დანარჩენი როგორც ტექსტშია;

2. ცალკე მუხლად დაემატოს: აუქციონის "ბიჯი" განისაზღვროს 10000 აშშ დოლარით;

3. მე-8 მუხლში ამოღებულ იქნას სიტყვები - "საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება" დანარჩენი როგორც ტექსტშია;

4. ამოღებულ იქნას "ბ" პუნქტი და 12 მუხლი.

**საქართველოს ფოსტა**

# ს ა მ ე დ ი ც ი ნ ო დაწესებულებების რეაბილიტაცია, აუცილებელი აღჭურვილობით უზრუნველყოფა და ჯანდაცვის განვითარების ხელშეწყობა კახეთის რეგიონში

**ტენდერი ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო საგნების მიწოდებაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის კახეთის რეგიონში - საქართველო**

■ **მითითება პუბლიკაციაზე**
გაზეთი "24 საათი"

■ **პროცედურა**
ღია ტენდერი

■ **პროგრამა**
ევროკავშირი, Tacis

■ **შემკვეთი**
MERLIN-საქართველო, 0179, თბილისი, თარხნიშვილის ქუჩა, N 21, 1 სართული, ბ. 1.
საკონტაქტო პირი: ირაკლი ჭითანავა, ტელ: 899 24 27 48, logistics.merlin.georgia@gmail.com

**კონტრაქტის დეტალები**

■ **კონტრაქტის აღწერილობა**
კახეთის რეგიონში პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისათვის 6 თვის განმავლობაში ერთჯერადი მოხმარების სამედიცინო საგნების მიწოდება.

■ **ლოტების ნომრები და დასახელება**
ერთი ლოტი შემდეგი საგნებით:
■ არასტერილური ერთჯერადი ხელთათმანი (10,700 წყვილი); სტერილური ერთჯერადი ხელთათმანი (3,500 წყვილი); ერთჯერადი შპრიცები და ნემსები - 1მლ (ინსულინის შპრიცი - 350 ცალი), 2 მლ (1,750 ცალი), 5 მლ (7,100 ცალი), 10 მლ (700 ცალი), 20 მლ (700 ცალი); შპადელი (14,300 ცალი); ელასტიური ბადე 1.6 ხ 400 სმ (2000 ცალი), 2.1 ხ 400 სმ (2000 ცალი); ელასტიური ბინტი (1,750); ჭრილობის სტერილური საფენი (4,300 ცალი); სტერილური ბინტი (4,300 ცალი); ბაქტერიციდული ლეიკოპლასტირი (3,600 ცალი); ლეიკოპლასტირი (3,600 ცალი); სპირტიანი ტამპონები (10,700 ცალი); სამედიცინო ბამბა (50 გრამიანი 4000 პაკეტი); ორსულობის ტესტი (9,600 ცალი); შარდის ანალიზის ტესტ-ჩხირები (17,900 ცალი)

**მონაწილეობის პირობები**

■ **სატენდერო წინადადებების ვადა**
სატენდერო წინადადებები (ფასები) ძალაში უნდა დარჩეს მათი წარდგენის ბოლო ვადიდან 45 დღის განმავლობაში.

■ **შესრულების ვადა**
6 თვე.

■ **შერჩევისა და კონტრაქტის შეთავაზების კრიტერიუმი**
სატენდერო დოკუმენტში მითითებული კრიტერიუმები.

**ტენდერში მონაწილეობა**

■ **როგორ მივიღოთ სატენდერო დოკუმენტების პაკეტი**
სატენდერო დოკუმენტების პაკეტი ხელმისაწდომია ორშაბათიდან 12/09/2006 MERLIN-საქართველოს თბილისის ოფისში - 0179, თბილისი, თარხნიშვილის ქუჩა, N 21, 1 სართული, ბ. 1. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას იმ სტანდარტული ფორმის გამოყენებით, რომელიც ჩართულია დოკუმენტთა პაკეტში. სატენდერო წინადადების ფორმა და შევსების წესი მკაცრად უნდა იქნას დაცული.

■ **სატენდერო წინადადებების წარდგენის ბოლო ვადა**
02/10/2006 ორშაბათი, 12:00 სთ, MERLIN-საქართველოს თბილისის ოფისის მისამართზე: 0179, თბილისი, თარხნიშვილის ქუჩა, N 21, 1 სართული, ბ. 1.
ვადის გასვლის შემდეგ მიღებული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

■ **პროცედურის ენა**
სატენდერო მიმოწერისა და კონრტაქტისათვის გამოიყენება ქართული ენა.

# ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინებით, შპს "წყალგაყვანილობისა და თბომეურნეობის ტრესტის" მიმართ კრედიტორთა მოთხოვნების შესამოწმებელი კრება გაიმართება 2006 წლის 19 სექტემბერს 11.00 საათზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მესამე სართულის სხდომათა დარბაზში. მის.: ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N 5.

# ბესლანის საკითხზე კამათი არ დასრულებულა

*არ წყდება დავა იმის თაობაზე, თუ ვინაა დამნაშავე ბესლანის ტერაქტის დროს ადამიანების დაღუპვაში. დაღუპულთა ნათესავები კი ტრაგედიის მორიგ წლისთავს აღნიშნავენ.*

ალან ცხურბაევი,
ვლადიკავკაზი

ადამიანების ნაკადი ბესლანის N1 სკოლისაკენ მიემართება ტრაგედიის მსხვერპლთა მოსაგონებლად, რომელმაც ორი წლის წინ მთელი მსოფლიო შეძრა. სკოლის კედლებთან ხალხი სანთლებს ანთებს, ყვავილებსა და წყლით სავსე ბოთლებს აწყობს – იმ საშინელი ტერაქტის დროს „ბოევიკები" მძევლებს წყლის დალევის საშუალებას არ აძლევდნენ.

მაშინ „ბოევიკებმა" მძევლები სკოლის სპორტულ დარბაზში შეამწყვდიეს და მათი უმრავლესობა სწორედ იქ დაიხოცა. ახლა კედლები დაღუპულთა ფოტოსურათებითაა მოფენილი. აქ ნახავთ ბავშვებისა და მასწავლებლების, ასევე სპეცრაზმის წევრების ფოტოებს, რომლებიც მძევლების გადარჩენის მცდელობისას ამაოდ დაიღუპნენ.

2004 წელს მომხდარი ამ საზარელი ინციდენტის დროს სულ 332 სამოქალაქო პირი დაიღუპა, მათ შორის 186 ბავშვი.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ბესლანის დედების" ხელმძღვანელი სუსანა დუდიევა თავისი 13 წლის შვილის – ზაურის სურათთან დგას. მას დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად მოსული უამრავი ადამიანი უსამძიმრებს. სუსანას მსგავსად შავებში ჩაცმული სხვა დედებიც თავიანთი დაღუპული შვილების სურათებთან დგანან.

ზუსტად ორი წლის წინ, 3 სექტემბრის 13:05 საათზე სკოლის შენობა აფეთქებამ შეაზანზარა. ახლა კი სწორედ ამ მომენტში სკოლის ეზოდან ჰაერში 332 თეთრ ბუშტს უშვებენ, სწორედ იმდენს, რამდენი ადამიანიც დაიღუპა ტრაგედიის დროს. მთელ ჩრდილოეთ ოსეთში ერთი წუთით სიჩუმე ისადგურებს.

ამ სისხლიანი ტერაქტის შემდეგ ორი წელი გავიდა. ორი წელია არ წყდება დავა თვით ინციდენტისა და მისი გამოძიების თაობაზეც.

„ორი წელია გვატყუებენ... და უკვე აღარავისი გვჯერა – არც პუტინის და არც ჩვენი პროკურატურის", – ამბობს რიტა სიდაკოვა, რომელსაც 9 წლის გოგონა დაეღუპა.

მორიგ წლისთავამდე ცოტა ხნით ადრე ბესლანის სკოლაში მომხდარის ახალი ვერსია გავრცელდა. რუსეთის პარლამენტში ბესლანის ტრაგედიის გამოსაძიებლად შექმნილი კომისიის წევრმა იური საველიევმა ყოფილი მძევლებისა და თვითმხილველების ჩვენებებსა და სასამართლო ტექნიკური ექსპერტიზის შედეგებზე დაყრდნობით 700-გვერდიანი მოხსენება გამოაქვეყნა.

საველიევის დასკვნები ეწინააღმდეგება მოვლენების ოფიციალურ ვერსიას, რომლის თანახმადაც „ბოევიკებმა" სკოლის დარბაზში აფეთქება ან თვითონ მოაწყვეს ან რაღაც შემთხვევით აუფეთქდათ, რის შემდეგაც სპეცრაზმმა შენობის შტურმი დაიწყო. საველიევი კი ამტკიცებს, რომ პირველი ორი აფეთქება მეზობელი სახლის სახურავიდან გასროლილმა აალებადმა ჭურვმა და ხელყუმბარამ გამოიწვია. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამას ხანძარი და ინტენსიური სროლა მოჰყვა, რაც 106-დან 110-მდე მძევლის სიკვდილით დასრულდა, ხოლო ხანძრის ჩაქრობის ბრძანება მხოლოდ ორი საათის გასვლის შემდეგ გაიცა.

საიტის „პრავდა ბესლანა" მთავარი რედაქტორის მარინა ლიტვინოვიჩის თქმით, 2 სექტემბერს, ბესლანში სამგლოვიარო ღონისძიებების მიმდინარეობისას, ქალაქის აეროპორტში მილიცია საველიევის წიგნად გამოცემული მოხსენების ეგზემპლარებს აპატიმრებდა. ლიტვინოვიჩმა IWPR-ს განუცხადა, რომ მილიციამ 300-მდე წიგნი, რომლებიც ტერაქტის დროს დაღუპულთა ნათესავებს შორის უფასოდ უნდა გავრცელებულიყო, მხოლოდ ბესლანის მცხოვრებთა პროტესტის შემდეგ დააბრუნა. ბესლანში საველიევის მოხსენება დადებითად აღიქვეს.

„ბესლანში ხალხმა სიმართლე დიდი ხანია იცის... ეს მოხსენება რუსეთის სხვა მოქალაქეებისათვისაა ღირებული. მათაც უნდა იცოდნენ, თუ რა მოხდა აქ", – ამბობს ბესლანის მცხოვრები ბესარიონ ასეევი.

ანალოგიურ დასკვნებამდე მივიდა ჩრდილოეთ ოსეთის პარლამენტის საგამოძიებო კომისიაც, რომელსაც სტანისლავ ქესაევი ხელმძღვანელობდა.

„დამოუკიდებლად ერთსა და იმავე დასკვნამდე ორი ადამიანი შემთხვევით ვერაფრით მივიდოდა. საველიევმა იცის საქმე. მისი ნდობა შეიძლება", – განუცხადა IWPR-ს ელბრუს თედთოვმა, რომელსაც 11 წლის შვილი დაეღუპა.

„წიგნი კოლოსალური შრომის ნაყოფია", – ამბობს კომიტეტ „ბესლანის ხმის" თავმჯდომარე ელა ქესაევა.

„ბოლო ორი წლის განმავლობაში ფედერალური პარლამენტის კომისიაში არავის გაუწევია ისეთი სერიოზული სამუშაო, როგორც საველიევს. მოხსენებაში იმდენად დიდი მოცულობის ტექნიკური ინფორმაციაა მოყვანილი, რომ ჩვენთვის სამაგიდო წიგნად უნდა იქცეს. ძირითადი დასკვნები ჩვენთვის უკვე დიდი ხანია ცნობილია. იმაში, რომ სკოლას ცეცხლი პირველად სამხედროებმა გაუხსნეს, ჩვენთვის ახალი არაფერია, მაგრამ ახლა ეს მეცნიერულადაცაა დასაბუთებული", – დასძენს ქესაევა.

კომიტეტი „ბესლანის ხმა" ნურფაში კულაევის ტერორიზმსა და მკვლელობაში დამნაშავედ ცნობის წინააღმდეგ გამოვიდა. კულაევს, რომელიც მძევლების აყვანაში მონაწილე ერთადერთ გადარჩენილ „ბოევიკადაა" ცნობილი, მაისში სამუდამო პატიმრობა მიესაჯა.

თვით განაჩენს კომიტეტი არ აპროტესტებს, თუმცა მიუთითებს, რომ სასამართლომ ვერ შეძლო სათანადო ყურადღება მიექცია მძევლებისა და თვითმხილველების ჩვენებებისათვის პირველი ორი აფეთქებისა და სპეცრაზმის მოქმედების თაობაზე. „ბესლანის ხმა" მიიჩნევს, რომ კულაევის პროცესზე წარმოდგენილი ჩვენებები რუსეთის უშიშროების სამინისტროს მაღალი რანგის მოხელეების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღსაძვრელად საკმარისი საფუძველი იყო.

„პრეტენზიები პუტინთანაც გვაქვს, რადგან ტყუილები მანაც თქვა. არავის შებრალებას ვაპირებთ. მასაც უნდა ვკითხოთ, შეეძლო თუ არა თავიდან აეცილებინა ბესლანის სასაკლაო. რატომ ცდილობს პუტინი ყველა დაარწმუნოს, რომ ტერორისტული აქტების თავიდან აცილება შეუძლებელია?" – ამბობს იგი.

კომიტეტის აპელაციას ამჟამად რუსეთის უზენაესი სასამართლო განიხილავს. ქესაევას განცხადებით, თუ კომიტეტს უარით გამოისტუმრებენ, საქმე საერთაშორისო სასამართლოს გადაეცემა.

ამასობაში კი ბესლანში ჯერაც ვერ გადაუწყვეტიათ, რა ბედი უნდა ეწიოს N1 სკოლის ნანგრევებს, განსაკუთრებით კი სპორტულ დარბაზს. ადამიანები, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს, ვერ ეგუებიან აზრს, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება დაანგრიონ.

„აქ რომ მოვდივარ, რაღაცნაირად უფრო ვმშვიდდები", – ამბობს სკოლაში დაღუპული ოთხი წლის გოგონას დედა ანეტა გადიევა.

არსებობს წინადადება, რომ დარბაზის ადგილას მართლმადიდებლური სამლოცველო აშენდეს, თუმცა ეს აზრი ყველას როდი მოსწონს.

„სამლოცველოს საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ ხომ შეიძლება ის სკოლის ეზოში აშენდეს ან სადმე სხვაგან, ოღონდ არა იმ დარბაზის ადგილას, სადაც ჩემი შვილი დაიღუპა. ამის დავიწყება არ შეიძლება", – ამბობს სუსანა დუდიევა.

„ჩვენი აზრით, სანამ გამოძიება დამთავრდება და ყველა დამნაშავე დასახელდება, სკოლა ამ სახით უნდა შენარჩუნდეს", – თქვა ანეტა გადიევამ.

„ხელისუფლებას არ სურს, რომ დარბაზი ჩადენილ დანაშაულს მოაგონებდეს. ამიტომაც უნდათ სამლოცველოს აშენება, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ. დარბაზი უშიშროების ძალების საწინააღმდეგო ყველაზე დიდი სამხილია", – დასძინა მან.

თუმცა ბესლანში მომუშავე ფსიქოლოგ ოლეგ ქისიევს მიაჩნია, რომ დანგრეული შენობა მხოლოდ გაუბედურებული ადამიანების ტანჯვის გახანგრძლივებას უწყობს ხელს.

„ყველა, ვინც კი ამ სკოლაში საყვარელი ადამიანი დაკარგა, სკოლასთან ყოველი მოსვლისას ტრავმას ხელმეორედ იღებს. ეს კი აღრმავებს ტანჯვას და ხელს უშლის მათ ფსიქიკურ გამოჯანმრთელებას", – თქვა ქისიევმა.

www.iwpr.net



ბესლანის ტრაგედიის შემდეგ ორი წელი გავიდა



# ვერტმფრენისათვის გახსნილ ცეცხლს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის აგრესიული განცხადებები მოჰყვა

*მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის ძალებმა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კუთვნილი ვერტმფრენი კინაღამ ჩამოაგდეს, მხარეები ისევ ურთიერთობათა გარკვევას შეუდგნენ. ირინა ქელეხსაევა, ცხინვალი; ნანა ყურაშვილი, თბილისი.*

ირინა ქელეხსაევა,
ცხინვალი,
ნანა ყურაშვილი,
თბილისი

საქართველოსა და სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას შორის ისედაც დაძაბული ურთიერთობები კიდევ უფრო დაიძაბა. ამის მიზეზი ქართულ ვერტმფრენზე თავდასხმა და აგრეთვე ქართული მხარის განცხადებები გახდა, რომელთა თანახმადაც ვერტმფრენის ბორტზე საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი იმყოფებოდა.

ეს ინციდენტი 3 სექტემბერს მოხდა, როდესაც მი-8 ვერტმფრენს სამხრეთ ოსეთის ტერიტორიიდან ცეცხლი გაუხსნეს. შედეგად ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორისაც დაიძაბა. ამ უკანასკნელს საქართველო სეპარატისტების მხარდაჭერაში ადანაშაულებს.

საქართველოს ოფიციალური პირების განცხადებით, ვერტმფრენმა ავარიული დაშვება განახორციელა, თუმცა არავინ დაშავებულა.

სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ შეტევა მათმა ძალებმა განახორციელეს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ვერტმფრენმა რესპუბლიკის საჰაერო სივრცე დაარღვია და პირველმა გახსნა ცეცხლი. ხაზი გაუსვეს იმასაც, რომ ოსეთის მხრიდან ცეცხლის იმიტომ არ გაუხსნია, რომ, რომ წინასწარ ჰქონდათ ცნობა იმის შესახებ, თითქოსდა ვერტმფრენში საქართველოს თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა.

„მიწიდან ვერტმფრენს საპასუხო ცეცხლი გაუხსნეს", – განაცხადა სამხრეთ ოსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი ბარანკევიჩმა. ინციდენტიდან ცოტა ხნის შემდეგ სამხრეთ ოსეთის მთავრობის პრესსამსახურმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ „ვერტმფრენის ეკიპაჟი დაშვების ან მარშრუტის შეცვლის მოთხოვნაზე არ რეაგირებდა. ამიტომ ოსეთის მხარემ შესაბამისი ზომები მიიღო".

განცხადებაში აგრეთვე ნათქვამი იყო, რომ საქართველოს საფრენმა აპარატებმა სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცე ბოლო ხუთი თვის განმავლობაში 240-ჯერ დაარღვიეს.

სამხრეთ ოსეთში განლაგებული რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდლის მოადგილემ ვლადიმერ ივანოვმა აგრეთვე განაცხადა, რომ საქართველოს სამხედრო საფრენი აპარატების გადაფრენა ამ ტერიტორიაზე ბოლო დროს „სისტემატური და შეუნიღბავად პროვოკაციული გახდა".

ქართულმა მხარემ, რომელიც სამხრეთ ოსეთს საკუთარი საჰაერო სივრცის მქონე დამოუკიდებელ ერთეულად არ აღიარებს, ვერტმფრენიდან ცეცხლის გახსნის თაობაზე ბრალდება უარყო, ოქრუაშვილმა კი განაცხადა, რომ „ქართულ თვითმფრინავებს შეუძლიათ იფრინონ იქ, სადაც მოესურვებათ".

მხარეებს ტონის შერბილება არც მომდევნო რამდენიმე დღის განმავლობაში უცდიათ.

იტყობინებიან, რომ სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითიმ შეაქო ისინი, ვინც ვერტმფრენს ესროლა. თუმცა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა მიხეილ მინძაევმა „მტკნარი დეზინფორმაცია" უწოდა საქართველოს საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებულ ცნობებს იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთში საქართველოს საფრენი აპარატის ჩამოგდებისათვის ჯილდოდ 50 ათასი აშშ დოლარია დაწესებული, ხოლო ოქრუაშვილის მოკვლისათვის – 500 ათასი დოლარი.

თბილისში საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გივი თარგამაძემ განაცხადა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ გაჭიანურებული ტერიტორიული დავის მოსაგვარებლად ზომები უფრო სწრაფად უნდა მიიღოს.

„წინააღმდეგ შემთხვევაში, თბილისმა შეიძლება გამოიყენოს ძალა, რათა თვითგამოცხადებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა კვლავ თავის კონტროლს დაუქვემდებაროს", – განაცხადა თარგამაძემ, რომელიც ოქრუაშვილთან და პრეზიდენტ სააკაშვილთან დაახლოებული პირია.

მისი განცხადება შეიძლება ჩაითვალოს პირველ შემთხვევად, როდესაც საქართველოს მაღალი რანგის წარმომადგენელმა საჯაროდ და არაორაზროვნად მიუთითა, რომ სამხედრო ძალის გზით სამხრეთ ოსეთის დაბრუნება მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი ვარიანტია.

სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ საკუთარი ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა, ხოლო საქართველო რესპუბლიკის საზღვრებთან ჯარების მობილიზებაში დაადანაშაულა. მინძაევის თქმით, საქართველო განუხრელად აძლიერებს თავის სამხედრო პოტენციალს „სამხრეთ ოსეთის დედაქალაქის – ცხინვალის ხელში ჩასაგდებად".

„ქართულ მხარეს ჭადრაკს ვეთამაშებით. ვიღებთ საპასუხო ზომებს, რომლებმაც მათ გეგმები უნდა შეაცვლევინოს", – დასძინა მან.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან ანონიმურმა წყარომ განაცხადა, რომ არავითარი საომარი მზადება არ მიმდინარეობს.

ცხინვალსა და თბილისში აგრესიული გამონათქვამების გარდა, ინციდენტმა რუსულ-ქართული ურთიერთობების კიდევ უფრო დაძაბვაც გამოიწვია.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ინციდენტში დამნაშავე საქართველოა, რადგან კონფლიქტის ზონაზე სწორედ მისმა ვერტმფრენმა გადაიფრინა. საქართველოს მხარის ქმედება „პროვოკაციული იყო და აშკარად კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის ჩაშლას ისახავდა მიზნად. ეს იმაზე მიუთითებს, რომ თბილისი პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების გამოყენებისათვის ნიადაგს ამზადებს", – ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთის პოზიციას „სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული ხელისუფლების ღია მხარდაჭერის კიდევ ერთი დემონსტრაცია" უწოდა.

„სამშვიდობო ოპერაცია რუსეთის მეთაურობით კონფლიქტის ზონაში მშვიდობის დამყარების საქმეს არ ემსახურება. რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიზანი სამხრეთ ოსეთში სერიოზული დესტაბილიზაციისა და სამხედრო მოქმედებების გამოწვევაა", – განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში მერაბ ანთაძემ.

საქართველოს მხარემ მხარდაჭერისათვის საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა საერთაშორისო ორგანიზაციებს ამ ინციდენტის „ტერორისტულ აქტად" აღიარებისკენ მოუწოდა.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ კი საერთაშორისო თანამეგობრობას „შესაბამისი რეაგირებისაკენ" მოუწოდა და განაცხადა, რომ საქართველო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გზიდან არ გადაუხვევს.

ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი უფრო კატეგორიული იყო. „საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ უნდა დაამტკიცოს, რომ ქვეყნის უშიშროების სამსახური ნაყოფიერად მუშაობს", – განაცხადა პარლამენტის წევრმა კონსერვატიული პარტიიდან ზვიად ძიძიგურმა.

„სეპარატისტებმა უნდა გადმოგვცენ დამნაშავეები, რომლებმაც ეს ჩაიდინეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალურმა ხელისუფლებამ ეს ხალხი თვითონ უნდა დააპატიმროს", – დასძინა მან.

ჯერჯერობით, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან რეაგირება მოახდინა მხოლოდ ეუთო-მ, რომელსაც კონფლიქტის ზონაში სამხედო დამკვირვებლები ჰყავს. საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა განაცხადა, რომ არსებობს შეთანხმება, რომელიც კონფლიქტის ზონაში ფრენას კრძალავს. თუმცა საფრენი აპარატისათვის ცეცხლის გახსნაც საერთაშორისო ნორმების დარღვევაა.

ზოგიერთი თბილისელი პოლიტიკოსი ამ განცხადებამ ძალიან გააღიზიანა. მათი აზრით, ამგვარი მიუკერძოებლობა უადგილოა. „მიმაჩნია, რომ ეუთო-ს შეფასება სრულიად შეუსაბამო იყო", – განაცხადა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კოტე გაბაშვილმა.

საქმეში ჩარევა აშშ-საც მოუხდა, როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა 28 აგვისტოს მომხდარი კიდევ ერთი ინციდენტის თაობაზე გააკეთა განცხადება. მინისტრის თქმით, სამხრეთ ოსეთის ძალებმა სცადეს ჩამოეგდოთ ვერტმფრენი, რომლითაც მგზავრობდა პრეზიდენტი სააკაშვილი და აშშ-ის დელეგაცია სენატორ ჯონ მაკკეინის ხელმძღვანელობით.

აშშ-ის საელჩომ თბილისში განაცხადა, რომ გამოძიების ფედერალურმა სამსახურმა აღნიშნული შემთხვევა გამოიძია, მაგრამ ამ ვერსიის დამადასტურებელი სამხილი ვერ აღმოაჩინა.

თუმცა, როგორც ირკვევა, რაღაც თავდასხმა ნამდვილად მოხდა. „როგორც ჩანს, გასროლილი რაკეტის სამიზნე იყო სხვა ვერტმფრენი, რომელიც თბილისიდან დასავლეთ საქართველოში მყოფი სენატის დელეგაციის ვერტმფრენებისაკენ მიემართებოდა", – ნათქვამია საელჩოს განცხადებაში.

მინძაევმა IWPR-ს განუცხადა, რომ ბრძანება სამხრეთ ოსეთის საჰაერო სივრცეში შემოჭრილი საფრენი აპარატების ჩამოგდების შესახებ მხოლოდ 3 სექტემბრის ინციდენტის შემდეგ გაიცა.

„ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ ზის ამ ვერტმფრენებში. ჩვენ ჩვენს საზღვრებს ვიცავთ", – გამომწვევად დასძინა მან.

www.iwpr.net

institute for war & peace reporting

ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური (CRS) გთავაზობთ უნიკალურ შესაძლებლობას გაეცნოთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებს ადგილობრივ მიმომხილველთა თვალსაზრისით.
სამსახური ფუნქციონირებს IWPR-ის კავკასიის პროექტის ფარგლებში. პროექტის მიზანია მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მხარდაჭერა და მსოფლიო საზოგადოებისთვის რეგიონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.
ომისა და გაშუქების ინსტიტუტის კავკასიის საინფორმაციო სამსახური მუშაობს დიდი ბრიტანეთის მთავრობის, ევროკავშირისა და ფინეთის მთავრობის მხარდაჭერით.
კავკასიის საინფორმაციო სამსახურის ქართულენოვანი გამოშვების გამოსაწერად მიმართეთ: geocrs@iwpr.ge

## შპს "საქართველოს რკინიგზა"

### მის ბალანსზე რიცხული 6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალის რეალიზების მიზნით განმეორებით აცხადებს აუქციონს

ინფორმაცია სარეალიზაციო ქონების შესახებ:

6 ერთეული 2 ტე10მ ტიპის თბომავალი N 2035 გამოშვების წელი- 1984; N2036 გამოშვების წელი-1984; N2316 გამოშვების წელი-1985; N2461 გამოშვების წელი-1985; N2975 გამოშვების წელი-1987; N0835 გამოშვების წელი-1983;

სარეალიზაციო ქონება მდებარეობს ქ. ხაშურში, შპს "საქართველოს რკინიგზის" ფილიალ "ხაშურის სალოკომოტივო დეპოს" ტერიტორიაზე.

ქონების საწყისი სარეალიზაციო ფასი შეადგენს 1900000 (ერთი მილიონ ცხრაასიათასი) ლარს, (დღგ-ს გარეშე). "ბე"-ს თანხა განისაზღვრება 95000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარით. ბიჯი შეადგენს 10000 (ათი ათასი) ლარს.

მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს 100 (ასი) ლარს.

თბომავლების გატანას შპს "საქართველოს რკინიგზის" ტერიტორიიდან უზრუნველყოფს მყიდველი, საკუთარი ხარჯებით.

აუქციონში მონაწილეობა შეუძლია ყველა რეზიდენტ ან არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად სააუქციონო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

განაცხადი, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, სარეალიზებო ქონების დასახელებას, საწყის ფასს და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა მონაცემებს.

"ბე"-ს თანხის და "მონაწილის ბილეთის" ღირებულების გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითრები.

პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის სახელით.

იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ნოტარიულად დამოწმებულ ასლს.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს "მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი ღებულობს მონაწილის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია სარეალიზაციო ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის შემოთავაზება.

"ბე"-ს, "მონაწილის ბილეთის" და სარეალიზებო ქონების გამოსასყიდი თანხის გადახდა უნდა მოხდეს შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე შემდეგ რეკვიზიტებზე: ბანკი რესპუბლიკა ცენტრ. ფილიალი ა/ა N3407003205 ბანკის კოდი N220101757 საიდენტიფიკაცო კოდი N202886010.

აუქციონი ჩატარდება 2006 წლის 27 სექტემბერს 12 საათზე შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციულ შენობაში.

აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადები მიიღება აუქციონის ჩატარების თარიღამდე ბოლო ორი კვირის განმავლობაში, ყოველდღე, (შაბათ კვირის გარდა) 12 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზა" მე-4 სართული, ტელ: .56-33-48.

აუქციონის შედეგები მტკიცდება აუქციონის ჩატარებიდან 10 დღის განმავლობაში. აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 20 კალენდარული დღის განმავლობაში "გამარჯვებული" ვალდებულია გამყიდველთან გააფორმოს ხელშეკრულება, (რომელიც უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით), ქონების მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს და სრულად გადაიხადოს ქონების გამოსასყიდი თანხა

საბოლოო გამოსასყიდი თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში "მყიდველს" "ბე" არ დაუბრუნდება და არ მიეცემა მესაკუთრის უფლება.

გამარჯვებულს "ბე"-ს სახით გადახდილი თანხა ჩაეთვლება სარეალიზაციო ქონების მთლიან ღირებულებაში.

აუქციონის შედეგებზე ხელმოწერის უარის მთქმელ პირს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი "ბე" არ დაუბრუნდება.

"მონაწილეს" "ბე"-ს დაუკავებლად უფლება აქვს, მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში განაცხადოს წერილობითი უარი აუქციონში მონაწილეობაზე.

საკუთრების უფლების სანოტარო დამოწმების და აუცილებელი საბუთების გაფორმების ხარჯებს იხდის მყიდველი.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შეგიძლიათ შპს "საქართველოს რკინიგზაში"

ქ. თბილისი თამარ მეფის გამზირი N15, მე-4 სართული, ტელ: .56-33-48.

## განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს თბილისის საქალაქო სასამართლოსათვის ლიფტის შეძენასა და მონტაჟის შესყიდვაზე.**

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს უფლება აქვთ საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების წარმოდგენამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

**თბილისის საქალაქო სასამრთლო მდებარე დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-6 კილომეტრი.**

**შესყიდვის ობიექტი: ლიფტი**

**ტექნიკური მახასიათებლები:**

1. **აჩქარება - 1 მ/წ2**
2. **კაბინის გაჩერების სიზუსტე არაუმეტეს 3-4 მმ;**
3. **კაბინა აღჭურვილი უნდა იყოს ელექტრონული სასწორით, ელექტრონული გასაღები კაბინის გაწმენდისათვის.**
4. **ლიფტის ყველა მაკომპლექტებელი ნაწილი დამზადებული უნდა იქნეს ლიფტის მწარმოებლის მიერ.**
5. **ლიფტი უნდა იყოს სამანქანო მოწყობილების გარეშე.**

და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს:

1. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება (დალუქულ მდგომარეობაში) უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე 2006 წლის 4 ოქტომბრიდან 5 ოქტომბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

2. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

2.1 იურიდიული პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება.

ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

- შემოთავაზებული ლიფტები ამჟამად უნდა იყვნენ გაყიდვაში და წარმოებაში, ასევე შეტანილი უნდა იყვნენ მწარმოებლის კატალოგში და გააჩნდეს ხარისხის სერთიფიკატი.
- კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ოფიციალური დასტური მწარმოებლისაგან ტექნიკურ სპეციფიკაციებში მოთხოვნილი საგარანტიო ვადასთან დაკავშირებით.
- ყველა საექსპლუატაციო ბუკლეტები უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- მომწოდებელმა უნდა მიუთითოს ლიფტების მწარმოებლის მიერ სერთიფიცირებული ადგილობრივი წარმომადგენელი.
- ტენდერში მონაწილე ფირმას საქართველოში ბოლო 5 დღის განმავლობაში დამონტაჟებული უნდა ქონდეს მინიმუმ 20 ლიფტი.

2.2 ფიზიკური პირისათვის:

ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია, ასევე არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა შესაბამისი სასამართლოდან და საგადასახადო სამსახურიდან);

ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (ცნობა საჯარო რეესტრიდან);

ცნონა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე დავალიანება არ ერიცხება;

ინფორმაცია ანალოგიური სამუშაოების შესრულების (გამოცდილება) შესახებ;

ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ორგანიზაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას, რეგისტრაციის ადგილს, საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლო დადგენილება).

n შემოთავაზებული ლიფტები ამჟამად უნდა იყვნენ გაყიდვაში და წარმოებაში, ასევე შეტანილი უნდა იყვნენ მწარმოებლის კატალოგში და გააჩნდეს ხარისხის სერთიფიკატი.

- კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ ოფიციალური დასტური მწარმოებლისაგან ტექნიკურ სპეციფიკაციებში მოთხოვნილი საგარანტიო ვადასთან დაკავშირებით.
- ყველა საექსპლუატაციო ბუკლეტები უნდა იყოს ქართულ ენაზე.
- მომწოდებელმა უნდა მიუთითოს ლიფტების მწარმოებლის მიერ სერთიფიცირებული ადგილობრივი წარმომადგენელი.
- ტენდერში მონაწილე ფირმას საქართველოში ბოლო 5 დღის განმავლობაში დამონტაჟებული უნდა ქონდეს მინიმუმ 20 ლიფტი.

იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია დეპარტამენტის სატენდერო კომისიის მიერ შეიძლება გადამოწმებულ იქნეს ინდივიდუალურად.

2. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

3. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებისათვის (ქართულ ენაზე) იწარმოებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 3 ოქტომბრის ჩათვლით;

4. სატენდერო მოსაკრებლის გადახდა 200 (ორასი) ლარის ოდენობით შესაძლებელია ქვემოთ მითითებულ ანგარიშზე:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ერთიანი ანგარიში N200122900; საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი N 300033133;

5. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ მისამართზე: საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი).

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ლია მინდიაშვილი, ტატიანა კაპანაძე, მისამართზე ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 (საერთო სასამართლოების დეპარტამენტი)

ტელ: 92 11 89

## განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "თბილწყალკანალი", იურიდიული მისამართით: თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33 აცხადებს ღია ტენდერს **ქ. თბილისში ძოწენიძის და თიანეთის ქუჩების და ვაზისუბნის IV მ/რ, II კვ. N3 კორპუსთან წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოების შესასყიდად.**

2. შესყიდვის ობიექტებია:

**ლოტი N1:**

**ძოწენიძის ქუჩის წყალსადენ-კანალიზაციის ქსელების რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს წყალსადენ-კანალიზაციის მაგისტრალური ქსელის და განშტოებების შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

**ლოტი N2**

**გლდანის რაიონში თიანეთის ქუჩის წყალსადენის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს წყალსადენის მაგისტრალური ქსელის და განშტოებების შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

**ლოტი N3**

**ისნის რაიონში ვაზისუბნის IV მ/რ, II კვ. N3 კორპუსთან კანალიზაციის ქსელის რეკონსტრუქციის სამუშაოები**

პროექტი ითვალისწინებს კანალიზაციის ქსელის და განშტოებების შეცვლას (ძველი, ამორტიზირებული მილების დემონტაჟს, ახლის ჩაწყობას და არსებულ სისტემაზე მიერთებას). ახალი ქსელი სრულდაბა პოლიეთილენის მილებით,.

3. სამუშაოების დასრულების სასურველი ვადაა: **ერთი თვე.**

4. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც გააჩნია ანალოგიური სახისა (წყალსადენის მოქმედი ქსელების სარეკონსტრუქციო სამუშაოები) და მოცულობის სამუშაოების შესრულების, გამოცდილება.

5. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის **2 ოქტომბრის** 17.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, ოთახი N28.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

6. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

მიმღები:
შპს "თბილწყალკანალი";
ს/კოდი: 203826002;

ა/ა: N900467730;
ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი;
კოდი: 2200101502.

7. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2006 წლის **3 ოქტომბრის** 10:00 საათიდან 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0179, მ. კოსტავას I შესახვევი N33, მე-2-ე სართული, **ოთახი N28.**

8. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

8.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ლიკვიდაციის ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

დ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

8.2 ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

ბ) უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოს შესრულების შესახებ დამკვეთისა და ღირებულების მითითებით.

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ზემოთხსენებულ მისამართზე შემდეგი პირებისაგან:

ა) სატენდერო პროცედურასთან დაკავშირებით:

**ქეთევან კაციტაძე,**
ტელ: **99 67 82;**
ელ. ფოსტა: **kkatsitadze@Tbilisiwater.com**

**სატენდერო კომისია**

## სატენდერო განცხადება

**დანართი 1**

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქეუწყებო დაწესებულება - ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს კასეტების *(DVcam 184 - 900 (ცხრაასი) ცალი; DVcam 40 - 300 (სამასი) ცალი; BTcam 90 - 500 ცალი; BTcam 30 - 400 (ოთხასი) ცალი და VHS 184 - 300 (სამასი) ცალი)* შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობისათვის ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადების დღიდან, 30 სამუშაო დღის ვადაში:

3. პრეტენდენტებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 02 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 17.00 საათამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

4. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

*სახაზინო კოდი: 300924040 - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი (კასეტების შესყიდვაზე) - შემსყიდველი: აჭარის ა.რ. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტი დანიშნულება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის ცენტრალური შემოსულობები".*

5. პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადებები (ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) ქართულ ენაზე (დალუქული და ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი კონვერტის მეშვეობით) უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 02 ოქტომბრიდან 03 ოქტომბრამდე, ქ. ბათუმი, მ. აბაშიძის გამზირი N41, მე-3 სართულზე მე-20 კაბინეტში, 11.00 საათიდან 17.00 საათამდე.

6. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებლად პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტები:

*ა) იურიდიული პირების მიერ:*

- რეკვიზიტები;
- რეგისტრაციის შესახებ დადგენილება/ბრძანება
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა სასამართლოდან რომ არ მიმდინარეობს მის მიმართ გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
- ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება მისი ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია.
- ცნობა საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებას ყადაღა არ ადევს.

*ბ) ფიზიკური პირების მიერ:*

- ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან, მისი ქმედუნარიანობის შესახებ (უნდა იყოს ქმედუნარიანი);
- ცნობა სასამართლოდან, რომ მისი მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

*გ) როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირების მიერ:*

- ინფორმაცია მსგავსი კონტრაქტების შესრულებისა და გამოცდილების შესახებ;
- ცნობა საგადასახადო ორგანოებიდან, რომ არ გააჩნია დავალიანება ბიუჯეტის წინაშე.

6.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხება აგრეთვე სუბ-კონტრაქტორებს, თუ ისინი ჩართულნი იქნებიან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

7. გამოყენებულ იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, საბანკო გარანტიის სახით, ხელშეკრულების ღირებულების 2 %-ის ოდენობით.

8. საკონტაქტო პირები: მინურ ტუნაძე - ტელ/ფაქსი (888222) 74377, მობ: (855) 251-999; ზეინაბ ბეჟანეიშვილი - ტელ: (888222) 74382.

**სატენდერო კომისია**

# საიდუმლოებებით მოცული ქანდაკება



ხშირად მიწა, რომელზეც ჩვენ დავდივართ, საოცარ სიურპრიზებს ინახავს. მათი აღმოჩენა კი ისევე, როგორც ჩვენ, არქეოლოგებსაც აოცებთ. სულ ახლახანს მათ ისევ გაუღიმათ ბედმა. იაპონიაში აღმოაჩინეს უძველესი ქანდაკება, რომელიც უდავოდ დიდ კულტურულ და ისტორიულ ღირებულებას წარმოადგენს. მაგრამ თუ ვისი გამოსახულებაა იგი, ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

საიდუმლოებებით მოცული მცირე ზომის ქანდაკება აღმოჩენილი იქნა იაპონიის ქალაქ უმიში და წარმოადგენს უჩვეულო და ამოუცნობი არსების თავს, რომელიც იღიმის. ვინ არის - ეს ამოცანაა. არქეოლოგები იმედოვნებენ, რომ მათ დაეხმარებათ ის ფაქტი, რომ იგი მურომაჩის ეპოქაში (1336-1537 წწ.) არის შექმნილი. სპეციალისტები ჯერ კიდევ ვერ მივიდნენ ერთ დასკვნამდე, რისი თქმა უნდოდა მხატვარს ამ გამოსახულებით, თუმცა არაერთი ვარაუდია: რომ იგი დრაკონს, უხსნებელს, დემონს და სხვა რომელიმე ცხოველს წარმოადგენს. ყველა შემთხვევაში აღიარებენ, რომ გამოსახულება საშინელებაა, თუმცა იგი კეთილი არსების შთაბეჭდილებას ტოვებს. ისინი ფიქრობენ აგრეთვე, რომ ეს არსება - არის იაპონიის მითებიდან, რომლებიც ხშირად გვხვდება ზღაპრებში, ან უბრალოდ უცხოპლანეტელია. არის ვერსია, რომ ეს არის ცხოველი, რომელიც ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი. უკვე რამდენიმე დღეა ამ ქანდაკებაზე ფიქრი მოსვენებას არ აძლევს როგორც იაპონიის მოსახლეობას, ისე არქეოლოგებს.

# ქრისტეს დატირება



სურათი, რომელიც XVI საუკუნეში ათენის მუზეუმის სენაკში იქნა ნაპოვნი და რომელზეც გამოსახულია "ქრისტეს დატირება", ცნობილი მხატვრის ელ გრეკოს შესრულებულია. ამ დასკვნამდე მივიდა საბერძნეთის ქალაქ იანინის უნივერსიტეტის ხელოვნების მკვლევარი ნანო ხაციდაკი. 60 წლის წინ ეს უკვე აღიარა ერთ-ერთმა მოყვარულმა. მაგრამ ვინაიდან იგი მხოლოდ მოყვარული იყო, მისი არგუმენტები მივიწყებული იქნა.

1938 წელს ბერძენმა კოლექციონერმა ემილიო ველიმეციმ შესძლო სურათზე ელ გრეკოს ხელმოწერის გაშიფვრა და ცნობილი გახდა, რომ მისი ნამდვილი სახელი და გვარია - დომენიკო ტეოტოკოპულო. ცოტა მოგვიანებით კი, რესტავრაციის შემდეგ ხელმოწერა საღებავით იქნა დამალული. ამიტომ ხელოვნების მკვლევარებს უჭირდათ აღიარება, რომ ნამუშევარი ელ გრეკოს ეკუთვნოდა. იანინის უნივერსიტეტის პროფესორმა შეძლო ძველი სურათის პოვნა, რომელზეც ელ გრეკოს ხელმოწერა კარგად არის დაფიქსირებული. ნანო ხაციდაკის აქვს ეჭვები, რომ "დატირების" გაყიდვამ მხატვარს დიდი თანხა მოუტანა, რის შემდეგაც მან შეძლო სამშობლოს, კრიტოსის დატოვება და ევროპაში გამგზავრება. იგი თვლის, რომ დომენიკო ტეოტოკოპულომ 1560 და 1565 წლებში დატოვა კრიტოსი და გაემგზავრა ვენეციაში, შემდეგ რომში, ხოლო 1577 წელს იგი ესპანეთში დაბინავდა, სადაც უკვე ელ გრეკოს ფსევდონიმით დაიწყო მუშაობა. ხაციდაკი აგრეთვე თვლის, რომ ეს ნამუშევარი მხატვრის შემოქმედებაში ერთ-ერთი ყველაზე ძველი და მნიშვნელოვანია.

# ფოტოკოლაჟი



ერთმა ბრიტანელმა მხატვარმა გადაუღო სურათები ყველა იმ საჭმელს, რაც მან 2005 წლის განმავლობაში შეჭამა. ეს იდეა კრის ჟილეტს ლოს ანჯელესში მოუვიდა, მაშინ, როცა იგი მობილური ტელეფონით იღებდა სურათებს მეუღლესთან გასაგზავნად. მთელი წლის განმავლობაში ბრიტანელი სისტემატიურად უღებდა სურათებს საკუთარი ფოტოაპარატით თავის სადილს, საუზმეს და ვახშამს, აგრეთვე ყველაფერ იმას, რასაც მთელი დღის განმავლობაში იღებდა. წლის ბოლოს მას 2550 ფოტო შეუგროვდა. ამ ფაქტით გახდა ცნობილი, რომ კრისი მთელი დღის განმავლობაში 6-7-ჯერ ჭამდა. ამ სურათებით კი მან ფოტოკოლაჟი გააკეთა და საკუთარი შემოქმედება თავის სამხატვრო გალერეაში ბრედფორდში გამოფინა.

# ლიტერატურული პრემია



მწერალი სტივენ კინგი და ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი ლიტერატურული პრემიის Quills Awards-ის ლაურეატთა სიაში მოხვდნენ. ეს ამერიკული ჯილდო ანალოგია ბრიტანული პრემიის "ბუკერის". ჯილდოს მფლობელები დასახელებულნი იქნებიან 2006 წლის 10 ოქტომბერს.

კინგი ნომინიაცია "ფანტასტიკა და საშინელებათა" კატეგორიაში მოხვდა რომანით Cell, რომელიც 2006 წელს გამოვიდა, ხოლო ალბერტ გორის წიგნი The Inconvenient Truth ნომინაცია "ისტორია და პოლიტიკაზეა" წარდგენილია. ამ ჯილდოზე პრეტენდენტთა რიცხვში აღმოჩნდნენ ინგლისელი რომანისტი დევიდ მიჩელი და ედგარ დოქტორუ.

პრემია Quills 2005 წელს დაარსა კომპანია Reed Business Information-მა და ნომინაციის 19 კატეგორიას შეიცავს. პრეტედენტთა რიცხვს ახარისხებენ გამომცემლები, წიგნის მაღაზიების წარმომადგენლები და ბიბლიოთეკარები. აღსანიშნავია, რომ პირველი წლის ლაურეატები იყვნენ: მწერალი ჯოან როულინგი, ჰარი პოტერის ავტორი და მუსიკოსი ბობ დილანი, რომელმაც პრემია მემუარების წიგნისთვის მიიღო.

# ერმიტაჟიდან მოპარული ხატი

პეტერბურგში კერძო კოლექციონერმა სამართალდამცავ ორგანოებს გადასცა კიდევ ერთი ნივთი, რომელიც ერმიტაჟიდან მოპარულ ექსპონატებს შორის ითვლებოდა ნომრით 95. მე-19 საუკუნის ხატი 1891 წელს ხეზე არის დახატული და კარგ მდგომარეობაშია შემონახული. ხატზე ცნობილი ავტორების ნიშნებია ამოტვიფრული. იგი უკვე ოცდამეშვიდე დაბრუნებული ექსპონატია ერმიტაჟიდან მოპარულ ნივთებს შორის.

სამართალდამცავი ორგანოებისათვის კიდევ ერთი ექსპონატის - მარტორქის ფიგურების დაბრუნების შესახებ გახდა ცნობილი. მოპარულ ექსპონატებს შორის იგი 166-ე ნომრით იყო აღნიშნული.

როგორც ლენინგრადისა და პეტერბურგის წარმომადგენლობითმა ორგანოებმა აღნიშნეს, მოპარულ მარტორქის ფიგურებს არ გააჩნდა არანაირი მხატვრული ღირებულება. იგი ყალბი იყო, როგორც ეს თავის დროზე ერმიტაჟში გაგზავნილ ექსპერტიზაზე დამტკიცდა და მას მერე ეს ნივთი ერმიტაჟში ინახებოდა.


ცელულოიდის ენები

N.B. ეს პლასტიკური ოპერაცია არ გეგონოთ!



თუ თქვენ გაინტერესებთ ან გჭირდებათ უცხო ენები და გიყვართ კარგი ევროპული კინო

ისარგებლეთ ამ ახალი,
ევროპაში უკვე აპრობირებული
ენების შესწავლის მეთოდით

ცელულოიდის კინოფირებიდან მოლაპარაკე კინოგმირების დახმარებით ისწავლეთ
იტალიური, ესპანური, ფრანგული და რუსული ენები

ხალისიანად! ეფექტურად! საფუძვლიანად!
თქვენს ასაკს და ამ ენების ცოდნის დონეს მნიშვნელობა არა აქვს!

დაგვიკავშირდით!
ტელ. 893 199 321



სწავლა იწყება 11 სექტემბერს!
მსურველებმა იჩქარეთ!

მოინახულეთ ჩვენი ვებ-გვერდი
www.celluloidis-enebi.info

P.S. ეს გამოვნების და ცოდნის ჰორიზონტის გაფართოების ოპერაციაა!

ცელულოიდის ენები


### საპროექტო სამუშაოების შესრულების შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წ 09 სექტემბერს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ***„საპროექტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ"*** შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

***ლოტი N2-ში შესასრულებელი საპროექტო სამუშაოს დასახელება განისაზღვროს შემდეგნაირად - ახალქალაქი სატვირთო - კარწახი - თურქეთის საზღვრის ახალი ხაზის პროექტირება.***

2. საკვალიფიკაციო მონაცემებში, როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისათვის დაემატოს შესაბამისად ***„ე" და „დ" პუნქტები - მთაგორიან რეგიონებში სარკინიგზო მაგისტრალის დაპროექტების გამოცდილება.***

3. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული საპროექტო სამუშაოების *შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

### ხის მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006 წ 31 აგვისტოს გამოქვეყნებულ სატენდერო განცხადებაში ხის მასალის *შესყიდვის შესახებ* შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

***ლოტი 2-ში შესასყიდი მასალის რაოდენობას გამოაკლდეს 70 მ3 და განისაზღვროს 930 მ3 -ით***

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოქვეყნებული ხის მასალის *შესყიდვის შესახებ* სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

### შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ გამოქვეყნებული სატენდერო განცხადების ცვლილება

1. შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ 2006წ 31 აგვისტოს გამოცხადებულ ***საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ*** სატენდერო განცხადებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

***ლოტ N3-ში დამატებული იქნას:***
***დიზელის ზეთი - 1920 კგ.***

2. შპს "საქართველოს რკნიგზის" მიერ გამოცხადებული საცხებ-საპოხი მასალის შესყიდვის შესახებ სატენდერო განცხადების დანარჩენი დებულებები რჩება უცვლელი.

**სატენდერო კომისია**

**56-ე საჯარო სკოლაში იხსნება ქართული კლასები.**
**მისამართი: ფალიაშვილი N34**
**ტელ: 23-58-12**
**22-35-85**

მეუღლე ბუბა ყავრიშვილი, შვილები კახა, თინიკო, შვილიშვილი გიგა, სიძე ავთანდილ ტაბუცაძე, ძმები შალვა, რევაზი, ძმიშვილები რუსუდანი, ნუნუ, ზურაბი, ნოდარი დევდარიანები, დისშვილი ნინო აფაქიძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გრიგოლ (გუგული) დევდარიანი**

**პანაშვიდი: 12, 13 სექტემბერს 17 საათზე**
**მისამართი ქ. თბილისი, მოსაშვილის ქ. N1,**
**I სარდარბაზო, III სართული**
**გამოსვენება ვაკის სამების ეკლესიიდან**
**ხუთშაბათს, 14 სექტემბერს 15 საათზე**




**"დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით**

გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:
- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)
- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ
მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39



**სიახლე**
**გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"**

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:
ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.
გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:
ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.
მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

**გამაჯანსაღებელი ცენტრი**

**ნაუტილუსი**



**გთავაზობთ:**
- აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

**მისამართი:** ი.ჭავჭავაძის 78
**ტელ:** 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## დავით კოვზირიძის სვეტი

# შეცდომების გასწორება

საღოლ, მაგარი გუნდი გყოლიათ" - მეუბნებოდა [illegible] ლი მეორე უკრაინელი კიევის ოლიმპიური სტადიონიდან გამოსვლისას. სადღაც მსიამოვნებდა დამსახურებული კომპლიმენტები, მაგრამ ეს არ იყო მთლად სასიამოვნო გრძნობა. იმის მეასედიც კი, რაც დემეს გოლის შემდეგ დამეუფლა. გიჟებივით ვღრიალებდით მე, ჩემი მეგობრები, დანარჩენი ქართველები, დაახლოებით ასი კაცი და სამწუხაროდ, ზუსტად ერთ წუთში ჩვენი ხმა აღარავის ესმოდა.

თუმცა ეს იყო კიევში გატარებული ყველაზე დიდებული და ამაყი წუთი. საერთოდ, სულ სხვა გრძნობაა, როცა სხვაგან დგახარ შენი ნაკრების გვერდით, როცა ეთრევი საწინააღმდეგოდ წამოსულ გამაყრუებელ გუგუნს, როცა განსაკუთრებული ჟიგრით მღერი შენს ჰიმნს და აფრიალებ დროშას, როცა ელოდები წყნარ პაუზას, რომ რაღაცნაირად გააგებინო შენიანებს - თქვენ მარტო არ ხართ...

უკრაინის დედაქალაქში პირველად გახლდით და ძალიან მომეწონა მისი ცენტრი, ხრეშატიკი თავისი შენობებით, ულამაზესი არქიტექტურით, უზარმაზარი სივრცით, გემრიელი საჭმლით და გემრიელი გოგოებით - ორი დღის განმავლობაში იმდენი ლამაზი და მოღიმარი კიეველი გოგო ვნახე, მეგონა, კაი სქელ მოდების ჟურნალს ვათვალიერებდი.

თუმცა ევროპასთან დისტანცია ჯერ კიდევ თვალშისაცემია, უკრაინაში ჯერაც ჩარჩენილია კომუნისტური ფესვები. თუნდაც ლენინის ძეგლი, ან კიდევ წარმოდგენა, რომელიც თამაშამდე გაიმართა სტადიონზე. ეს იყო მასობრივი საპირველმაისო პარადის ასლი, ოღონდ საბჭოთა დროშები შეცვლილია უკრაინულით და აღარაა ლოზუნგი: [illegible] ჟლაგა კოჟუ!

უკრაინასთან თამაშზე ძალიან ბევრი აზრი მოვისმინე ტელევიზიით, გაზეთებით, ახლობლებისგან, ქუჩაში. ყველა ამბობს, რომ საქართველოს ნაკრებს ასეთი სწორი ფეხბურთი არასდროს უთამაშია. მეც მაგ აზრის ვარ - ჩვენი გუნდი იწყებს დაცვაში სწორად დგომას, მოძრაობას, ტემპის კონტროლს, ბურთის გადატანას, გახსნას, დაზღვევას, მომენტების შექმნას, ბოლო წამამდე ბრძოლას.

ადრე ესეც არ იყო. ადრე არაფერი არ იყო. ფეხბურთის მსგავს რაღაცას თამაშობდა თერთმეტი კაცი და არა ერთი გუნდი. აქედან გამომდინარე, სწორედ ახლა იწყება ის ძალიან გრძელი პროცესი, რომელმაც თერთმეტი ფეხბურთელი ჯერ ერთ მთლიან სისტემად უნდა აქციოს და შემდეგ ამ სინქრონულ გაერთიანებას თანმიმდევრული [illegible] ბი აკეთებინოს.

ყოველივე ეს საფრანგეთში, [illegible] 25 წლის წინ დაიწყო და შედეგიც ცოტა ხნის წინ გამოჩნდა. ამიტომაც ვამბობ, რომ ესაა უგრძესი პროცესი, რომელიც მინიმალურად უნდა შეიცავდეს შეცდომებს და უაზრო აჩქარებას. ზუსტად ამ წლებში აეწყო გამარჯვებების მწარმოებელი ფრანგული მანქანა, რომელმაც [illegible] მოგვიგო ჩვენც და მსოფლიო ჩემპიონატზეც. და აი მაშინ, როცა რომელიღაც პატარა კუნძულზე [illegible] დინ ზიდანი, ამ მანქანის მძღოლი [illegible] ბევრს გვეგონა, რომ უზიდანობა [illegible] რამ ფაქტს ვერ გავექცევით: ზაფხულში ამ ნაკრების სამი თამაში ვნახე ცოცხლად და აშკარაა - თბილისში ფრანგები გაცილებით ძლიერები, ლაღები იყვნენ, ვიდრე მიუნხენსა და ბერლინში.

კიდევ ერთი ნიშანი იმისა, რომ საქართველოს ეროვნული გუნდი მკვდარი წერტილიდან მოწყდა - უნდა გენახათ, რა ხდებოდა ჩვენს გასახდელში კიევური თამაშის შემდეგ. ბიჭები დაჭრილი ლომებივით ბრდღვინავდნენ იქაურობას, მათ თვალებსა და საქციელში არნახული სიბრაზე იგრძნობოდა და ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ძიგეძვა, კიდევ ერთ ტაიმს ირბენდნენ გაუჩერებლად, ოღონდ ხაგებულები არ ყოფილიყვნენ. საქართველოს ნაკრებს თავმოყვარეობა აქვს! თავმოყვარეობა კი იმას აქვს, ვინც რაღაცას წარმოადგენს, იბრძვის, სწავლობს, ცდილობს. ადრე? ადრე კაი ჯოკერი თვითმფრინავში, კაი ლადაობა და უდარდელი ხვრინვა. ასე ვინელებდით თავისმომჭრელ ქვეშაფსიობებს.

ფრანგებთან დაშვებული შეცდომები სამ დღეში მაქსიმალურად გამოსწორდა. უკრაინული ხარვეზების გამოსასწორებლად კიდევ ერთი თვეა და, რასაკვირველია, ტოპმიოლერს არაფერი გამორჩენია. ეჭვი არ მეპარება, შეცდომები მსოფლიოს მესამე და პირველ გუნდებთანაც (7 და 11 ოქტომბერს) იქნება და ეს ბუნებრივია. მეტიც, ეს კარგია! რადგან რაც უფრო მეტი შეცდომა მოგვივა დღეს, მით ნაკლებს დავუშვებთ ხვალ.

ყოველივე ამას იმიტომ არ ვწერ, რომ გერმანიასთან, ან, მით უმეტეს, იტალიასთან მარცხისთვის ვემზადები. ნურას უკაცრავად! ჩვენი მოთხოვნა იმ გრძელ გზაზე, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე, ერთადერთი უნდა იყოს - გამარჯვება!

ამით დავამთავროთ საქართველოს ნაკრებზე ზედიზედ რამდენიმე სვეტის განმავლობაში გაგრძელებული ლაპარაკი. სიტყვას გაძლევთ, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, იტალიამდე ამ თემაზე კრინტსაც აღარ დავძრავ. თანაც, ევროპაში სეზონი გახურდა და ბევრი საინტერესო ხდება. არა მარტო ფეხბურთში.

*მომავალ სამშაბათამდე*

# ასათიანი ტოპმიოლერს ენდობა

საქართველოს ნაკრების მცველი მალხაზ ასათიანი ერთ-ერთი საუკეთესო იყო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის სამივე მატჩში. ამის მიუხედავად, ფრანგებთან და უკრაინელებთან გაშვებული ექვსი გოლი ცენტრალურ მცველს აქტივში ნამდვილად ვერ ჩაეწერება. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ კიევური მატჩის შემდეგ ასათიანი კარგ გუნებაზე არ იყო.

"ამ თამაშის კომენტირება, თანაც ცხელ გულზე, ძნელი საქმეა. დავწინაურდით კიდეც, მაგრამ საპასუხო გოლი უცბადვე გავუშვით. უკრაინელებმა სამივე გოლი სტანდარტული მდგომარეობიდან გაგვიტანეს. ეს საქართველოს ნაკრების სუსტი წერტილია. ჩემი აზრით, შევჩენკომ პირველი გოლის გატანისას თამაშის წესი დაარღვია, მაგრამ მსაჯს ყურადღება არ მიუქცევია. შევჩენკო მსოფლიო დონის ვარსკვლავია და ამიტომ მსაჯის ლიბერალობაში უცნაური არაფერია... ვფიქრობ, ღირსეულად ვითამაშეთ და უკრაინის ნაკრებზე ნაკლებად არ ვიმსახურებდით გამარჯვებას. სამწუხაროდ, ჩვენ ნაკლებად გაგვიმართლა.

**- შენი აზრით, რა არ ეყო საქართველოს ნაკრებს დადებითი შედეგის მისაღწევად?**

- ვფიქრობ, უბრალოდ, არ გაგვიმართლა. დემეტრაძის გოლის შემდეგ როტანს ანგარიში მაშინვე რომ არ გაეთანაბრებინა, ალბათ გამარჯვებას ხელიდან არ გავუშვებდით. ყოველ შემთხვევაში, ქულას მაინც მოვიპოვებდით.



*ასათიანი უკრაინელებთან საუკეთესო იყო.*

**- საქართველოს ნაკრების მიერ გაშვებული გოლები ტყუპებივით ჰგავდა ერთმანეთს...**

- ყველაფერი ჩვენი ბავშვური შეცდომების ბრალია. უნდა აღინიშნოს "მეორე სართულზე" ბლოხინის შეგირდების ბრწყინვალე თამაში. როტანს მეორე ტაიმის დასაწყისშიც შეეძლო გატანა. რას ვიზამთ, საკუთარ შეცდომებზე მოგვიწევს სწავლა და სწორი დასკვნების გამოტანა.

**- დაცვის ხაზში არსებული პრობლემების მიუხედავად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ნაკრები მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშის ხარისხს...**

- გეთანხმებით. განსაკუთრებით საგრძნობია პროგრესი გუნდურ მოქმედებებში. თვით მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონების, ფრანგების ფონზეც კი არცთუ ურიგოდ გამოვიყურებოდით. სამწუხაროდ, დებიუტში გაშვებულმა გოლებმა გადაწყვიტეს მატჩის ბედი. უკრაინელებს კი აშკარად გაუმართლათ.

**- რამდენად ძნელია შევჩენკოს წინააღმდეგ პერსონალურად თამაში?**

- იოლი ნამდვილად არ არის. პრინციპში, მან ვერაფრით განგვაცვიფრა, თუმცა თავისი საქმე კი გააკეთა - გოლი გაიტანა. ფორვარდისთვის ეს ყველაზე მთავარია. უკრაინის ნაკრებისთვის შევჩენკო საკვანძო ფიგურაა. სწორედ მის გარშემო არის გუნდის თამაში აგებული. ნახევარმცველები პირველ რიგში სწორედ "შევას" ეძებენ პასის გადასაწოდებლად.

**- რა გითხრათ ტოპმიოლერმა მატჩის შემდეგ?**

- ძალზე განწბილებული იყო, თუმცა ვერაფრის თქმა ვერ მოასწრო - პრესკონფერენციაზე წავიდა. საწყენია, რომ ზედიზედ მეორე მატჩში ვერ მოვახერხეთ გამარჯვება.

**- რას გრძნობდი ფრანგებთან გატანილი ავტოგოლის შემდეგ?**

- ვცდილობდი, რაც შეიძლება სწრაფად დამევიწყებინა ეს ეპიზოდი. ამ გოლზე პასუხისმგებლობას მთლიანად საკუთარ თავზე ვიღებ. რა თქმა უნდა, შეცდომა დავუშვი, მაგრამ ცხოვრება ხომ ამით არ მთავრდება? საწყენია, რომ ასე მოხდა. მით უმეტეს, ჭანტურია ბურთის მოსაგერიებლად მზად იყო, მაგრამ მისი ყვირილი ვერ გავიგონე...

**- უკრაინასთან მატჩში სერიოზული შეცდომა არ დაგიშვიათ...**

- ორმაგი პასუხისმგებლობით ვითამაშე - ძალიან მინდოდა, რომ ფრანგებთან დაშვებული შეცდომის გამო საკუთარი თავის რეაბილიტაცია მომეხდინა. ერთადერთი, რაც არ გამომივიდა, დადებითი შედეგის მიღწევაა.

**- რა შეიცვალა საქართველოს ნაკრებში კლაუს ტოპმიოლერის მოსვლის შემდეგ? შეძლო თუ არა მან გუნდში რკინისებური გერმანული დისციპლინის დამყარება?**

- ვფიქრობ, სწორედ ამ პროცესში ვართ. მისი მოსვლით გუნდის შიგნით საგრძნობლად გაუმჯობესდა ატმოსფერო, გაცილებით უფრო ორგანიზებულები ვართ. ძალიან სწრაფად გამონახა ფეხბურთელებთან საერთო ენა. ტოპმიოლერი უდიდესი ავტორიტეტის მქონე სპეციალისტია, აქვს საკუთარი ხედვა. არც გასაკვირია - ტოპმიოლერს უმაღლესი კლასის გუნდებში უმუშავია და სერიოზული შედეგებისთვის მიუღწევია.

# გამარჯვების ხიბლი

ვასილ უდუმაშვილი

ყველას კარგად გვახსოვს, რა დიდი აჟიოტაჟი ატყდა საქართველო-საფრანგეთის მატჩის წინ. თბილისში დიდი ფეხბურთის სტუმრობა ერთბაშად ყველას განსჯის საგნად იქცა. ქართველ პოლიტიკოსთა მთელი სპექტრი ფეხბურთზე იყო გადართული, ქვეყნის პრეზიდენტი კი განახლებულ სტადიონზე თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მივიდა. ამ ფონზე ქართველი კალათბურთელები აშკარად დაჩაგრულად გამოიყურებოდნენ. ლუქსემბურგი-საქართველოს მატჩს სამთავრობო ლოჟიდან ერთი-ორი კინკილა ჩინოსანი ადევნებდა თვალს, ავსტრია-საქართველოს შეხვედრა კი დიდ ეკრანზე საერთოდ არ გადაუციათ. არადა, ფეხბურთელებთან შედარებით კალათბურთელთა მიღწევები ნამდვილად აშკარაა. ბოლოს და ბოლოს, სამი მატჩიდან ჩვენმა ბიჭებმა სამივე მოიგეს და აი, პოლიტიკოსთა დამოკიდებულებაც შეიცვალა. საქართველო-ისლანდიის შეხვედრას პრეზიდენტიც დაესწრო. კალათბურთელები მოედანზე აგროვებდნენ ქულებს, პრეზიდენტი და მისი გუნდი კი - მოედნის მიღმა. მატჩის შემდეგ ქვეყნის პირველმა პირმა მოთამაშეები გასახდელშიც მოინახულა. გუშინ საქართველოს ნაკრების მწვრთნელს ღია ვარჯიშის შემდეგ პრესკონფერენცია ჰქონდა დაგეგმილი. სპორტის სასახლეში



*დღეს ჰერბერტის საფიქრალი ფინეთია.*

მისულებმა შევიტყვეთ, რომ ცოტა ხანში კალათბურთელებთან შესახვედრად ქალაქის მერი გიგი უგულავაც მივიდოდა. მოკლედ, გამარჯვებას სერიოზული ხიბლი ახლავს, მით უმეტეს, არჩევნების წინ...

სპორტის სასახლეში მოსულმა გიგი უგულავამ ცოტა ხანს ვარჯიშს უყურა, შემდეგ კი კალათბურთელებს გაესაუბრა და დაპირებებიც მისცა. მოკლედ, თუ ჩვენმა ბიჭებმა ფინეთში მოიგეს, თბილისის მერია გუნდს საპრიზო თანხის სახით 40 ათას ლარს გადასცემს. თანხა, რა თქმა უნდა, არც ისე დიდია, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდში 12 კალათბურთელი და მწვრთნელებიც არიან, მაგრამ ყურადღება მაინც სასიამოვნოა. გარდა ამისა, მერი კალათბურთელებს შეჰპირდა, რომ მომავალ წელს, როდესაც ჩვენს გუნდს განმეორებით მატჩები ელის, სპორტის სასახლე უკვე განახლებული იქნება. "ისეთ დარბაზში ითამაშებთ, რომ ყველასთვის თითით საჩვენებელი იყოს. თამაშის პირობებიც გექნებათ და ვარჯიშისაც. სამწუხაროდ, კალათბურთი ოდნავ დაიჩაგრა ფეხბურთის ფონზე, მაგრამ ასე აღარ იქნება. თუ თბილისში ახლა მხოლოდ საფეხბურთო მოედნები შენდება, კალათბურთსაც აუცილებლად მიექცევა ყურადღება," - უთხრა მერმა კალათბურთელებს.

აქვე ფაჩულია დაინტერესდა, იქნება თუ არა ფინეთ-საქართველოს მატჩის ტრანსლაცია დიდ ეკრანზე. "შევეცდებით, აუცილებლად მოვაწყოთ ეს რეპორტაჟი რესპუბლიკის მოედანზე", - იყო უგულავას პასუხი.

მერმა კალათბურთელებს წარმატებები უსურვა და დაემშვიდობა. გორდონ ჰერბერტმა კი საწვრთნელი პროცესი განაგრძო. ცოტა ხანში შეპირებული პრესკონფერენციაც დაიწყო.

**გორდონ ჰერბერტი:** "სამმა გამართულმა მატჩმა დაგვანახა გუნდის დადებითი და უარყოფითი მხარეები. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას. ფინეთს საკმაოდ ძლიერი გუნდი ჰყავს, თუმცა გამარჯვების იმედი მაინც მაქვს. მთავარია მეტოქეს სამქულიანების ტყორცნის საშუალება არ მივცეთ. ფინელთა მთავარი კოზირი სწორედ ესაა. ისლანდიასთან მატჩში ჩვენს ბიჭებს სროლები არ წაუვიდათ, მაგრამ ეს არ მაშფოთებს. გუნდში კარგი სნაიპერები გვყავს და ფინეთში სულ სხვაგვარად იქნება საქმე".

**ზაზა ფაჩულია:** "ფინეთის ნაკრებს კარგად ვიცნობთ. ამ გუნდთან უკვე გვაქვს ნათამაშები. გამარჯვება ძნელი იქნება. თუ გახსოვთ, ფინელებთან გამართული ორივე შეხვედრა საკმაოდ დახურული იყო. ვფიქრობ, ჯგუფში ჩვენ და ფინეთი ვართ საუკეთესო გუნდები. სწორედ ჩვენს დაპირისპირებაში გადაწყდება გამარჯვებულის ბედი. ამჟამად ფინელებს ერთი უპირატესობა აქვთ - საკუთარი კედლები".

**ვახტანგ ნაცვლიშვილი:** "თავიდანვე ვიცოდით, რომ ჩვენი მთავარი მეტოქე ფინეთი იქნებოდა. ჩვენს მხარეს ფსიქოლოგიური უპირატესობაა. ავსტრიასთან წაგებული მატჩის შემობრუნება შევძელით. ფინეთში ანალოგიური შეცდომების დაშვება არ შეიძლება".

**ნიკა ცქიტიშვილი:** "ვეთანხმები ბიჭებს. ცხადია, ფინეთი მთავარი მეტოქეა და თუ შემდეგ ეტაპზე გასვლა გვინდა, სწორედ ამ გუნდს უნდა მოვუგოთ".

# ბიჭი, წითელპერანგა...

## მიხაელს "ფერარიდან" არ უშვებენ

გიგა გურასაშვილი

*მას შემდეგ, რაც "ფერარის" გულმა და სულმა მიხაელ შუმახერმა "იტალიის დიდი პრიზი" მოიგო, თქვა, სეზონი დამთავრდება და ჩემი კარიერაც დასრულდებაო. მაგრამ მიხაელი სკუდერიაში იმდენად უყვართ, რომ გასაშვებად არ ემეტებათ და გუნდში დარჩენას სთხოვენ, ოღონდ არა მრბოლის რანგში, არამედ გარკვეულ სამუშაოზე - შუმის წითელი ფერი უხდებაო.*

"შუმახერის მარანელოსთან (ფერარელთა შტაბბინა) თანამშრომლობა გაგრძელდება, თუმცა სხვა ფორმით, რაც ძალზე მახარებს", - ამაყად აცხადებს "ფერარის" პრეზიდენტი ლუკა დი მონტეძემოლო.

სკუდერიელთა თავკაცს კვერს უკრავს "ფერარის" გენერალური დირექტორი და ფორმულა 1-ში იტალიური საჯინიბოს მმართველი დირექტორი ჟან ტოდტი: "მიხაელი არ გვტოვებს. ის გუნდში დარჩება. თუ რა ვალდებულებებს მივუჩენთ, ამას სეზონის ბოლოს გავამჟღავნებთ".



*მონტეძემოლო შუმახერს გუნდში ტოვებს.*

მიხაელ შუმახერი, რომელიც 1996 წლიდან "ფერარიშია", იტალიურ საჯინიბოს შვიდიდან ხუთჯერ მოუტანა საჩემპიონო ტიტული (მანამდე, 1994-1995 წლებში, "ბენეტონის" საჯინიბოსთან ერთად გახდა ჩემპიონი.-რედ.). კარიერაში მოგებული 90 ("იტალიის დიდი პრიზის" ჩათვლით.) "დიდი პრიზიდან" 71 სკუდერიის სახელით მოიპოვა. იტალიური გუნდის რიგებში 58-ჯერ აიღო სტარტი პოულიდან. 2006 წლის "იტალიის დიდი პრიზის" ჩათვლით, 177-ჯერ მიუჯდა "ფერარის" საჭეს.

ახლა პირად საჩემპიონო დავაში ისეთი ვითარებაა, სავსებით შესაძლებელია გერმანელი მერვედ დაეუფლოს მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს. ჩემპიონატის ლიდერს, ესპანელ ფერნანდო ალონსოსა და შუმახერს შორის სხვაობა ორი ქულაა.

"მონცას" ტრასაზე, 43-ე წრეზე, როცა ესპანელის "რენო" რბოლას გამოეთიშა, ესპანელის იტალიელმა ბოსმა ფლავიო ბრიატორემ იტალიის სახელმწიფო ტელეკომპანია RAI-სთან განაცხადა: ჩემპიონატის ბედი მრგვალ მაგიდასთან გადაწყდაო.

"რაც კვირას მოხდა, არ მაღელვებს. უცნაური ის არის, რაც რბოლამდე მოხდა. ყველაფერი უკვე გადაწყვეტილია. მივხვდით, საითაც მიდის საქმე. მათ გადაწყვიტეს, მსოფლიო ჩემპიონატი შუმახერს მისცენ და ასეც იქნება".

ბუნებრივია, "რენოს" ბოსის სიტყვები უყურადღებოდ არ დარჩენიათ და კომენტარისთვის ლუკა დი მონტეძემოლოსაც მიმართეს.

"არიან ადამიანები, რომლებიც დროთა განმავლობაში "ფერარიზე" საუბრობენ. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და ხშირად ხელიდან უშვებენ ჩუმად ყოფნის შესაძლებლობას. საჭიროა ხანდახან ღირსება აჩვენო. ასე რომ, არაფრის თქმას არ ვაპირებ".

ბრიატორეს ნათქვამმა ისეთი აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ამით საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მამებიც დაინტერესდნენ - "რენოს" ხელმძღვანელის განცხადებას შევისწავლითო. მას შემდეგ, რაც ფია ბრიატორეს სიტყვებით დაინტერესდა, ფრანგული საჯინიბოს იტალიელმა თავკაცმა განაცხადა, იტალიურმა ტელეკომპანიამ ჩემი სიტყვები კონტექსტიდან ამოაგდოო.

"კომენტარები, რომელსაც მე მაწერენ, კონტექსტიდანაა ამოგდებული. სრულად ვენდობი მათ, ვინც მართავს ჩვენს სპორტს და იმედით ველი შემდგომ ორთაბრძოლებს და ჩვენს გამარჯვებას მსოფლიო ჩემპიონატზე".

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა
"ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

რთველის დაწყებიდან პირველივე დღეებში კომპანიებმა 2700 ტონა ყურძენი ჩაიბარეს

საქართველოში საბანკო სექტორის აქტივები ერთ თვეში 45,5 მლნ ლარით გაიზარდა

ბანკი "რესპუბლიკა" სტუდენტურ VISA ელექტრონს გამოუშვებს

B2

საბანკო კაპიტალი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც იზრდება

"იაფი" ქვირფასი ლითონი

B3

ბენზინის ფასი დაიწევს

დაუსრულებელი აკრძალვების ქრონიკა

B4

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3207 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9819 |
| 1 | არაბული დირხამი | AED | 0,4748 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7439 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8141 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1344 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2973 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3042 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2181 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4181 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3354 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,1875 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1500 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2675 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1898 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2460 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3983 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5705 |
| 1 | ლატვიური ლატი | LVL | 3,1823 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4738 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3097 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2690 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5571 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5859 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0652 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1106 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4442 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5155 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4197 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,4759 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8059 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,0305 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1386 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4430 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2373 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4029 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0784 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2193 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2242 |




# რამდენს იღებს სახელმწიფო მოპოვებითი მრეწველობიდან და ენერგოგადაზიდვებიდან?

მარიამ ჭაჭვაძე

*ყოფილი და დღევანდელი ხელისუფლების მიერ ხშირად კეთდებოდა განცხადებები საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, რამაც სტაბილურობის და უსაფრთხოების გარდა, ქვეყნის თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა უნდა უზრუნველყოს.*
*მიუხედავად ხელისუფლებების თავმომწონე განცხადებებისა, დღემდე ხმამაღლა არავინ საუბრობს იმაზე, თუ რა მოცულობის შემოსავლებს ღებულობს სახელმწიფო ტრანზიტული გადაზიდვებიდან. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის ინფორმაცია საზოგადოების დიდი ნაწილისთვის ხელმიუწვდომელია და გაუმჭვირვალე.*

**საქართველოს გავლით გადაზიდული ტვირთების დიდი ნაწილი ენერგოგადაზიდვებზე მოდის. აქ, ძირითადად, იგულისხმება როგორც სარკინიგზო, ისე მილსადენები, თუმცა პირველით გატარებული ენერგორესურსების რაოდენობა ცალსახად სჭარბობს მეორეს.**



B2

# "თიბისი ბანკისა" და ESM-ის პროექტი

## ოთხი სტუდენტის სწავლა ოთხმა ბიზნესჯგუფმა დააფინანსა

ნინო ნატროშვილი

*თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების ESM-ში სწავლებას ბიზნესკომპანიები აფინანსებენ. ეს იდეა "აგროტექნიკს" ჯგუფის ხელმძღვანელს ფადი ასლის ეკუთვნის. ამ პროექტში "თიბისი ბანკი", სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" და "ბანკი რესპუბლიკაც" მონაწილეობენ.*

აღნიშნული პროგრამა 2006 წლის თებერვალში დაიწყო. ანკეტების საფუძველზე მიღებულმა ათმა ნიჭიერმა და ხელმოკლე სტუდენტმა ESM-თბილისის ბაზაზე 25 კვირის განმავლობაში უფასოდ გაიარა სპეციალური სერტიფიცირებული მოსამზადებელი კურსები. საუკეთესო კონკურსანტების შერჩევის კრიტერიუმები ფინანსური შესაძლებლობების შეზღუდულობა, მაღალი აკადემიური მონაცემები და კარიერული მოტივაცია იყო. პროექტის დასრულების შემდეგ ოთხი კონკურსანტი გამოიკვეთა (ჩაჩიბაია გიორგი, სვანაძე ნათია, ღვინიაშვილი ნათია, ჩოგოვაძე თენგიზი), რომლებსაც პროექტის პარტნიორები მომდევნო სამი წლის განმავლობაში ESM-თბილისში სწავლებას დაუფინანსებენ.

"თიბისი ბანკის" პრეზიდენტის, ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებით, ეს პირველი პრეცედენტი არ არის, როდესაც აღნიშნული ბანკი ნიჭიერი სტუდენტების სწავლას აფინანსებს. მისი თქმით, ამ უმაღლეს სასწავლებელთან ერთად დაწყებული პროექტი წარმატებული იქნება და ამ სტუდენტებს სწავლის დასრულების შემდეგ სამუშაო ადგილების მიღება გარანტირებული ექნებათ.

სწავლის კურსის საფასური 5 400 დოლარია. მომდევნო კურსზე ფასი 20 პროცენტით იზრდება. ეს სტუდენტები სასწავლო კურსს, ESM-ის პარალელურად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც გადიან.




# "ფორდის" ზარალი იზრდება

მერაბ ლორთქიფანიძე

*ამერიკულმა კომპანია "ფორდ მოტორმა" წლის პირველი ნახევარი 1,31 მილიარდდოლარიანი ზარალით დაასრულა. შარშანდელი წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელი 2,16 მილიარდი დოლარი მოგება იყო. შესაბამისად, შარშანდელი 89,68 მილიარდი დოლარიდან 83,02 მილიარდ დოლარამდე შემცირდა ავტომობილების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, რაც დაახლოებით 8-პროცენტიანი კლებაა.*

- **თანაშემწე მთავარი აღმასრულებლისთვის**
- **რა ბედი ელის იაგუარს?**




B3

## ბანკი რესპუბლიკა სტუდენტურ VISA ელექტრონს გამოუშვებს

სს ბანკი "რესპუბლიკა" სტუდენტურ პლასტიკურ ბარათებს გამოუშვებს. სს ბანკი "რესპუბლიკის" გენერალური დირექტორის, გიგა კაციას ცნობით, სტუდენტური სესხები VISA ელექტრონის პლასტიკური ბარათებით გაიცემა. ამჟამად მოქმედებს ბანკი "რესპუბლიკის" რამდენიმე სახეობის VISA, MASTECARD,AMEICAN EXPRESS, GEORGIAN CARD. დღეს მსხვილ საგადამხდელო სისტემებად გვევლინება VISA International-ი, რომელსაც მსოფლიო ბაზრის 60% უკავია, Eurpay MasterCard Interational-ი, რომელსაც ბაზრის 30% უკავია. დღევანდელი მონაცემებით საქართველოში პლასტიკური ბარათის 300 000-ზე მეტი მომხმარებელია. **GBC**

## საქართველოში საბანკო სექტორის აქტივები ერთ თვეში 45,5 მლნ ლარით გაიზარდა

საქართველოს ბაზარზე მოქმედი კომერციული ბანკებიდან, ფინანსური მაჩვენებლებით, წამყვან პოზიციებს "თიბისი ბანკი", "საქართველოს ბანკი", "გაერთიანებული ქართული ბანკი" (გქბ) და "პროკრედიტბანკი" იკავებს. "2006 წლის აგვისტოს მდგომარეობით მთლიანი კაპიტალის მოცულობით პირველ ადგილზეა სს "თიბისი ბანკი", აქტივების მოცულობა 820 238 166 ლარს შეადგენს," - აცნობეს GBC-ს საქართველოს ეროვნული ბანკიდან (სებ). სებ-ის ინფორმაციით, "თიბისი ბანკის" მთლიანი აქტივებიდან 30 632 689 ლარი ნაღდი ფულადი სახსრებია. საანგარიშო პერიოდში "თიბისი ბანკის" გაუნაწილებელმა მოგებამ 83 365 249 ლარი შეადგინა. მეორე პოზიციაზეა სს "საქართველოს ბანკი", რომლის მთლიანი კაპიტალი 756 168 225 ლარს შეადგენს, საიდანაც ნაღდი ფულადი სახსრების მოცულობაა 42 636 577 ლარი, ხოლო გაუნაწილებელი მოგება 44 479 943 ლარია. ნაღდი ფულადი სახსრებისა (24 525 494 ლარი) და გაუნაწილებელი მოგების მაჩვენებლით (9 635 237ლარი) მესამე პოზიციაზეა და გაერთიანებულ ქართულ ბანკს უსწრებს სს "პროკრედიტბანკი". თუმცა მისი მთლიანი აქტივები 412 449 057 ლარს არ აღემატება. გქბ-ის აქტივები კი 463 910 328 ლარს შეადგენს. აქედან ნაღდი ფულის მოცულობაა 11 396 171 ლარი, ხოლო გაუნაწილებელი მოგება - 7 339 278 ლარი. სებ-ის ცნობით საანგარიშო პერიოდში მთლიანად საბანკო სექტორის აქტივები, 2006 წლის ივლისის მაჩვენებელთან შედარებით, 45 მლნ 457 ათასი ლარით გაიზარდა და 3 395 453 343 ლარი შეადგინა. 2006 წლის აგვისტოს მონაცემებით, ნაღდი ფულადი სახსრების მოცულობამ შეადგინა 196 982 397ლარი, რაც 13 მლნ 640 ათასი ლარით აღემატება 2006 წლის ივლისის მაჩვენებელს. საანგარიშო პერიოდში გაუნაწილებელი მოგება განისაზღვრა 180 965 168 ლარით, რაც 7 მლნ 676 ათასი ლარით აღემატება ივლისის მაჩვენებელს. **GBC**

## რთველის დაწყებიდან პირველივე დღეებში კომპანიებმა 2700 ტონა ყურძენი ჩაიბარეს

რთველის დაწყებიდან პირველივე დღეებში კომპანიებმა 2700 ტონა ყურძენი ჩაიბარეს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გახსნილ ცხელ ხაზზე უპასუხეს, კახეთში ფერმერებიდან თუ საკუთარი ვენახებიდან ღვინის ქარხნებმა უკვე 2 700 ტონა ყურძენი ჩაიბარეს. მათ შორის, შპს "ალავერდმა" 500 ტ, შპს "ხარებამ" 300 ტ, შპს "კოტეხმა" - 150 ტ, შპს "სენაკურმა"- 62 ტ, შპს "ალავერდმა"- 21 ტ. "რთველი აქტიურ ფაზაში შედის, გვაქვს წინასწარი ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რა რაოდენობის ყურძნის შესყიდვას გეგმავენ ცალკეეული კომპანიები," - განაცხადეს ცხელ ხაზზე. აღსანიშნავია, რომ ცნობილი კომპანიებიდან "თელიანი ველი" 2200 ტონას, "ჯი-სი-ესი" - 300 ტ, ხოლო "შუმი" კი - 200 ტ ხილს ჩაიბარებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ალდაგი ფიზიკურ პირებს ახალ პროდუქტს სთავაზობს

სადაზღვევო კომპანია "ალდაგი" ფიზიკურ პირებს ახალ სადაზღვევო პროდუქტებს სთავაზობს. "ოქტომბრიდან საცალო ბაზარზე ავტომობილების დაზღვევის ახალ პროდუქტს შემოვიტანთ. "ალდაგის" სტანდარტული პროდუქტების ძირითადი მომხმარებლები კორპორატიული კლიენტები არიან. არსებული პროდუქტი მაქსიმალურად მოვარგეთ ფიზიკურ პირს და შევქმენით ახალი სპეცპროდუქტი," - განუცხადა GBC-ს "ალდაგის" ხელმძღვანელმა გიორგი თხელიძემ. მისი ინფორმაციით, კლიენტს საშუალება ეძლევა, თავად შეადგინოს სადაზღვევო პოლისი და შეუთანხმოს კომპანიას თავისი პირობები. თხელიძის ინფორმაციით, 2006 წლის პირველ ნახევარში მოზიდული სადაზღვევო პრემიიდან ყველაზე მეტი ავტომობილების და ქონების დაზღვევაზე მოდის. **GBC**

## ალდაგში ჯანმრთელობის ინდივიდუალურად დაზღვევის საშუალება ეძლევათ

კომპანია "ალდაგს" საცალო ბაზარზე დაზღვევის ახალი პროდუქტი შემოაქვს. "ჯანმრთელობის დაზღვევის პროდუქტი განკუთვნილი იყო მხოლოდ კორპორატიულ კლიენტებზე, ორგანიზაციების თანამშრომლებზე. ოქტომბრიდან შესაძლებელია იურიდიული პირის მსგავსად ჯანმრთელობა დაიზღვიოს ნებისმიერმა ფიზიკურმა პირმა", - განუცხადა GBC-ის "ალდაგის" ხელმღვანელმა გიორგი თხელიძემ. მისი ინფორმაციით, 2006 წლის პირველს ნახევარში სამედიცინო დაზღვევის პრემიამ 1 130 000 ლარი შეადგინა, ხოლო ანაზღაურებული ზარალის მოცულობამ -720 600 ლარი. უბედური შემთხვევებისგან და ავადმყოფობებისგან დაზღვევისთვის მოზიდული სახსრები 587. 000 ლარია და ანაზღაურებულია 134 200 ლარის ზარალი. გიორგი თხელიძის ინფორმაციით, კომპანიამ წელს ორი ახალი პროდუქტი, ტურისტების და აგარაკების დაზღვევა დანერგა. "საქართველოს ბაზარზე მოქმედი 16 სადაზღვევო კომპანია აღნიშნული სახის პროდუქტს მხოლოდ ადგილობრივ მოქალაქეებს სთავაზობს. ახალი პროდუქტის შემოსვლამდე სამოგზაურო დაზღვევით სარგებლობდნენ მხოლოდ საქართველოდან სხვადასხვა ქვეყანაში გამგზავრებული ტურისტები," - განმარტავს კომპანიის მენეჯერი ზაზა ბაიაძე. კომპანიის ცნობით, ახალი სადაზღვევო პროდუქტის დებიუტი წარმატებული აღმოჩნდა, რადგან ბაზარზე მისი მოთხოვნილება გაჩნდა. აგარაკების დაზღვევით წავკისში წყნეთსა და საგურამოში ბევრი დაინტერესდა. "ძვირადღირებულ აგარაკებზე მისი მფლობელები წლის განმავლობაში მხოლოდ სამ თვეს ატარებენ. დაზღვევით შენობა დაცული იქნება წლის თორმეტივე თვის განმავლობაში," - აღნიშნა ბაიაძემ. **GBC**

# რამდენს იღებს სახელმწიფო მოპოვებითი მრეწველობიდან და ენერგოგადაზიდვებიდან?

პირველი გვერდიდან



საქართველოს გავლით გადაზიდული ტვირთების დიდი ნაწილი ენერგოგადაზიდვებზე მოდის. აქ, ძირითადად, იგულისხმება როგორც სარკინიგზო, ისე მილსადენები, თუმცა პირველით გატარებული ენერგორესურსების რაოდენობა ცალსახად სჭარბობს მეორეს. თუმცა ადვილი შესაძლებელია, რომ შემდეგი წლიდან, ანუ როცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-თბილისი- ერზრუმის მილსადენები სრული დატვირთვით ამოქმედდება, ვითარება რადიკალურად შეიცვალოს. თუმცა ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საზოგადოების უმრავლესობისთვის უცნობია, თუ რა სატრანზიტო გადასახადი მობილიზდება სახელმწიფო ბიუჯეტში საქართველოს რკინიგზიდან, ან თუნდაც აღნიშნული მილსადენების ოპერატორი კომპანიებიდან.

კიდევ უფრო რთულად მოიძებნება ინფორმაცია და ინფორმაციის წყარო იმის შესახებ, თუ რამდენ მილიონ ლარს იღებს სახელმწიფო სხვადასხვა საკუთარი ბუნებრივი რესურსებიდან. შემოსავლების გარდა, ბევრი არაფერია ცნობილი, თუ რა მოცულობის სასარგებლო წიაღისეულს ფლობს სახელმწიფო.

ამ ტიპის შემოსავლების შესახებ ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა რიგ შემთხვევაში სახელმწიფო ბიუროკრატიით და ცალკეული ჩინოვნიკის ნება-სურვილით აიხსნება. თუმცა არის შემთხვევები, როცა ასეთი ტიპის გაუმჭვირვალობას მოქმედი კანონმდებლობა უზრუნველყოფს.

არადა, ამ ინფორმაციის საჯაროობა ძალიან მნიშვნელოვანია რამდენიმე მიზეზის გამო. როგორც ექსპერტები ირწმუნებიან, ამ ახალი ტიპის შემოსავლების შესახებ ინფორმაციაზე ადვილმა ხელმისაწვდომობამ ხელი უნდა შეუწყოს მის ეფექტურად გამოყენებას, ხარჯვას.

ამ შემთხვევაში ინფორმაციის დახურულობას კერძო სექტორის კომერციულ საიდუმლოებასთან მივყავართ. სახელმწიფოს მხრიდან არგუმენტი ასეთია - ინფორმაცია კომპანიის კომერციული საქმიანობის შესახებ (ამ კომპანიის ნებართვის გარეშე) საჯარო განხილვას არ ექვემდებარება.

თავისთავად, იმ ფაქტში, რომ ნებისმიერი კომპანიის ნებისმიერი კომერციული ინფორმაცია, მათ შორის, ამა თუ იმ პროდუქტის წარმოების მოცულობა და მისგან მიღებული შემოსავლები სხვებისთვის ხელმიუწვდომელი უნდა იყოს, უცნაური და გასაკვირი არაფერია. თუმცა ამ შემთხვევაში საუბარი იმ პროდუქტს (ბუნებრივ რესურსებს) ეხება, რომლის მესაკუთრე ჯერ კიდევ სახელმწიფოა.

სხვა საკითხია, რამდენად ხშირად არის კერძო სექტორი ასეთი ტიპის ინფორმაციის გაცემაზე თანახმა? შეიძლება ითქვას, რომ არსებობენ გამონაკლისები, რომლებიც გარკვეულ ინფორმაციას საკუთარი სურვილით ასაჯაროებენ. თუმცა უფრო ხშირად არის ისეთი შემთხვევებიც, როცა კერძო კომპანია საზოგადოების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციას სხვადასხვა მიზეზით ასაიდუმლოებს. ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი დავით დარჩიაშვილი, "24 საათთან" საუბრის დროს, ბიზნესსექტორის მხრიდან ინფორმაციის გაცემის თავშეკავების შემდეგ მიზეზებს ასახელებს: **"გასაგებია - ბიზნესს აქვს თავისი ინტერესები, მით უმეტეს, მაშინ, როცა ის თავს მაინცდამაინც დაცულად არ გრძნობს. აქვს შიშები - ზედმეტად დეტალიზებული ინფორმაცია ხომ არ არის საშუალება მათზე ზედმეტად ზეწოლის, მეტი თანხის ამოღების, თუნდაც, კრიმინალური სამყაროდან. ამაზეც ყოფილა მათი მხრიდან ხშირად საუბარი. თუმცა, მეორეს მხრივ, საზოგადოებამ მართლაც უნდა იცოდეს, რა წყაროდან რა შემოსავალი გააჩნია ქვეყანას. ამ შემთხვევაში საპოვნელია ოქროს შუალედი."**

ზემოთ ხსენებული საკითხებისა და სასურველი "ოქროს შუალედის" შესახებ მსჯელობდა სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ორი დღის (11-12 სექტემბერი) განმავლობაში საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიცია "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისთვის", რომელიც თავის მხრივ ხუთ არასამთავრობო ორგანიზაციას - "საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციას", "საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ცენტრს", "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას", ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" და "საერთაშორისო გამჭვირვალობას" აერთიანებს.

ამ კონფერენციაზე პრობლემის მოგვარების ერთ-ერთ ეფექტურ გზად საქართველოს "მოპოვებითი მრეწველობების გამჭვირვალობის საერთაშორისო ინიციატივაში" (EITI) გაწევრიანება დასახელდა. ეს ინიციატივა დაახლოებით 5 წლის წინ, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის ინიციატივით შეიქმნა და ის გამჭვირვალობის ადეკვატურ დონეს უზრუნველყოფს მის წევრ-სახელმწიფოებში. ჩვენი ქვეყანა ამ დრომდე არ არის გაწევრიანებული ამ ინიციატივაში, თუმცა საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოალიციამ "საჯარო ფინანსების გამჭვირვალობისათვის" მიმართა საერთაშორისო ინიციატივას წინადადებით, რომ გამჭვირვალობის მექანიზმში შესულიყო როგორც მოპოვებითი, ასევე სატრანზიტო საქმიანობა. ამ ორგანიზაციის მხრიდან საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა კოლიციის ამ ინიციატივას სრული მხარდაჭერა და საქართველოთი, როგორც სამაგალითო სატრანზიტო ქვეყნით, დაინტერესება მოჰყვა.

შარშან საქართველოს მთავრობამ საერთაშორისო ინიციატივის პრინციპების დანერგვის სურვილი ღიად გამოთქვა, და ამ ორგანიზაციაში გაწევრიანების განზრახვა საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის წარდგენილ ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკის მემორანდუმში ცალსახად დააფიქსირა. მიუხედავად ამისა, საქართველოს მთავრობას დღემდე არ გადაუდგამს ის ნაბიჯები, რაც ქვეყნის ინიციატივაში გაწევრიანებისათვისაა აუცილებელი.

## აუქციონი შელფის პრივატიზაციით მიზნით

დღეს, 12 აგვისტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსებისა და ეკონომიკის სამინისტრო სამშენებლო კომპანიის, შპს "შელფის" პრივატიზაციის მიზნით, აუქციონს გამართავს. კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს საზღვაო და ჰიდროტექნიკური მოწყობილებების მშენებლობა შეადგენს. ობიექტის საწყისი ფასი 153 ათას 750 აშშ დოლარია. 'შელფის" საწესდებო კაპიტალი 453 ათას 200 ლარია, სახელმწიფო წილი - 100 პროცენტი. კომპანიის დებიტორული დავალიანება 13 ათას 153 ლარს, ხოლო კრედიტორული დავალიანება 149 ათას 72 ლარს შეადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## უკრაინული ინვესტიცია საქართველოში

უკრაინამ საქართველოს ეკონომიკაში 2006 წლის 1 ივლისამდე 2,4 მილიონი დოლარის მოცულობის ინვესტიცია განახორციელა, - ინფორმაცია ამის შესახებ მეზობელი ქვეყნის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტმა გაავრცელა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა,. საქართველო იმ ქვეყნების ათეულშიც კი ვერ მოხვდა, სადაც უკრაინული წარმოშობის დოლარები გადაირიცხა. სტატკომის ინფორმაციით, უკრაინელ ბიზნესმენებს გული მაინც რუსეთისკენ მიუწევთ. იქ განხორციელებული ინვესტიციების მოცულობამ 107,9 მილიონი დოლარი (47,1 პროცენტი) შეადგინა. მას მკვეთრად ჩამორჩება პოლონეთი - 22,1 მილიონი დოლარი (9,7 პროცენტი), პანამა - 18,9 მილიონი დოლარი (8,3 პროცენტი) და ვიეტნამი - 15,9 მილიონი დოლარი (6,9 პროცენტი). აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, სადაც უკრაინული კაპიტალი შევიდა, დსთ-ს ქვეყნებში სომხეთი გამოირჩევა. იქ ზუსტად 2,4 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდა, რაც მთელი კაპიტალდაბანდებების 1,1 პროცენტია. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ნავთობპროდუქტებიდან შემოსავალმა 50 მილიონი ლარი შეადგინა

რეფორმის კოორდინაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილის ვახტანგ ლეჟავას ინფორმაციით, წელს ნავთობპროდუქტებიდან შემოსავალი 50 მილიონი ლარია, რაც 2007 წლისათვის, სავარაუდოდ, 55 მილიონამდე გაიზრდება. როგორც "ჯიეიჩ-ენთან" საუბარში ლეჟავამ აღნიშნა, საუბარია გაზისა და ნავთობის ტრანზიტიდან შემოსულ თანხებზე და, აგრეთვე, ზოგადად საქართველოში მოპოვებულ ნავთობსა და გაზზე. დღევანდელი მონაცემებით, საქართველოში 16 ნავთობისა და 2 გაზის საბადო ფუნქციონირებს. **ჯი-ეიჩ-ენი**

GALT & TAGGART SECURITIES

11 სექტემბერი 2006

### საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

| სსბ ვაჭრობის მოცულობა (ლარი) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 147,930 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 45,672,525 |

| 8-სექტემბერი-2006 | | | კვირის ცვლილება | ცვლილება წლის დას-დან |
|---|---|---|---|---|
| GEL/US$ | 1.745 | ▼ | -0.06% | 2.65% |
| G&T Blue Chip Index (US$) | 577.0 | ▲ | 0.39% | 63.47% |
| G&T Blue Chip Index (GEL) | 509.8 | ▲ | 0.44% | 59.14% |

GTBC ინდექსი (GEL) & სსბ ვაჭრობის მოცულობა (GEL mln)



საქართველოს ბანკის აქციის ფასი



გაცვლითი კურსი GEL/US



| თბსბ US$/GEL ვაჭრობის მოცულობა (US$ '000) | |
|---|---|
| კვირის ბრუნვა | 12,920 |
| ბრუნვა წლის დას-დან | 320,717 |

| მომავალ კვირას | |
|---|---|
| სსბ-ს სესია No. 73 | 12 სექ |
| სსბ-ს სესია No. 74 | 14 სექ |

საფონდო ბაზარი

**გასულ კვირას გალტ & თაგგარტის ძირითადი კომპანიების (ბლუ ჩიპ) აქციების ინდექსი (GTBCI) ლარში 0.44%-ით გაიზარდა 509.8-მდე, ხოლო ვაჭრობის მოცულობამ 147.9 ათასი ლარი შეადგინა.** გასულ კვირას გარიგებები რვა სხვადასხვა აქციაზე დაიდო, მათ შორის იყო ორი ბლუ ჩიპის აქცია: საქართველოს ბანკი (GEB, ფასი გაიზარდა 0.84%-ით) და გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია (UTC, ფლობა, ფასმა დაიკლო 0.96%-ით). საფონდო ბაზარზე ბლუ ჩიპ აქციები დომინირებდნენ და მათზე მთლიანი სავაჭრო მოცულობის 63.01% მოდიოდა.

**გასულ კვირას საქართველოს ბანკმა გამოაქვეყნა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ფიჩმა (Fitch Ratings) ბანკის რეიტინგის პროგნოზი სტაბილურიდან პოზიტიურზე შეცვალა.** სააგენტო ფიჩმა ამავდროულად დაადასტურა ბანკის მდგრადობის 'B-' (ბ მინუსი) რეიტინგი, მოკლე ვადიანი 'B', ინდივიდუალური 'D', ხოლო მხარდაჭერის '5' რეიტინგი.

ფიჩ რეიტინგის მიხედვით, ცვლილება რეიტინგის პროგნოზში განპირობებულია გაუმჯობესებული საოპერაციო გარემოთი, ბანკის გაფართოებული საქმიანობითა და გაუმჯობესებული დაფინანსებით. პოზიტიური პროგნოზი ასევე ასახავს აქტივების მაღალ ხარისხსა და მომგებიანობას ახალი მენეჯმენტის ხელში.

"ჩვენ მოხარულები ვართ, რომ ფიჩმა საქართველოს ბანკის რეიტინგის პროგნოზი პოზიტიურისკენ შეცვალა და მივესალმებით ბანკის წარმატებულ საქმიანობას საოპერაციო და ფინანსური კუთხით, რაც შეიძლება საწინდარი გახდეს ჩვენთვის უფრო მაღალი რეიტინგის მონიჭებისა, განაცხადა საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარემ ლადო გურგენიძემ.

ეკონომიკა

**მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) მიხედვით საქართველოში 2005-2006 წლებში საგრძნობლად გაადვილდა ბიზნესის წარმოება, რამაც განაპირობა საქართველოს გადანაცვლება 75 საფეხურით ზემოთ ქვეყნების მსოფლიო რეიტინგში.** განხორციელებული რეფორმების წყალობით საქართველომ მოახერხა ერთი ფანჯრის პრინციპების დამკვიდრება მშენებლობაზე ნებართვის გაცემის სფეროში, ჩამოაყალიბა სპეციალიზირებული კომერციული სექციები სასამართლოებში და მიიღო ახალი შრომის კოდექსი, რითაც საქართველო გახდა მსოფლიოში მე-6 ქვეყანა თანამშრომელთა დაქირავების სიმარტივით. გარდა ამისა, საქართველომ შეამცირა მინიმალური საწესდებო კაპიტალის მოთხოვნები საკუთარი ბიზნესის დასაწყებად, გაამარტივა საბაჟო, ლიცენზირებისა და სასამართლო პროცედურები და შეიმუშავა მოქნილი შრომითი კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ საკუთარი ბიზნესის რეგისტრაციის მაჩვენებელი 2005-დან 2006 წლამდე 55%-ით გაიზარდა, ხოლო უმუშევრობა აღნიშნულ პერიოდში 2%-ით შემცირდა.

**2006 წლის პირველ ნახევარში შემოსავლებმა საქართველოს ბიუჯეტში შეადგინეს 670.8 მილიონი ლარი, რითაც ბიუჯეტი 105.0% შესრულდა. ამ კუთხით გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 32.8%-იანი ზრდა აღინიშნა.** შემოსავლებმა გადასახადებიდან 2006 წლის 8 თვის განმავლობაში შეადგინეს 1,949.9 მილიონი ლარი (პროგნოზის 105.2%), რაშიც საგადასახადო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლები შეადგენს 837.6 მილიონ ლარს (106.2%), ხოლო საბაჟო დეპარტამენტიდან მიღებული შემოსავლები 1,112.4 მილიონ ლარს (104.4%).

სავალუტო ბაზარი

**გასულ კვირას ლარი/დოლარის კურსი 0.06%-ით დაეცა.** თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობამ 12.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა კვირასთან შედარებით 3.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. ეროვნულმა ბანკმა ჯამში 2.8 მლნ. აშშ დოლარი გაყიდა.

GALT & TAGGART SECURITIES

11 სექტემბერი 2006

### საფონდო ბაზრის კვირის მიმოხილვა

სსბ ვაჭრობის ჯამური მონაცემები

სესია No. 72, 7 სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 10 | 17.50 | 17.57 | 17.54 | 110.2 | 1,000 | 17,540 | 285,543,447 | - |
| UTC | 20 | 0.60 | 0.62 | 0.62 | 71.1 | 20,700 | 12,743 | 63,593,797 | ფლობა |
| MACN | 1 | 6.00 | 6.00 | 6.00 | 20.0 | 100 | 600 | 853,572 | რეკ. გარეშე |
| NINO | 1 | 0.40 | 0.40 | 0.40 | na | 10,590 | 4,236 | 100,908 | რეკ. გარეშე |
| SEM | 1 | 0.30 | 0.30 | 0.30 | na | 5,935 | 1,781 | 287,945 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 36,900 | | |

სესია No. 71, 5 სექტემბერი, 2006

| კოდი | გარიგებათა რაოდენობა | ფასი (ლარი) მინ. | ფასი (ლარი) მაქს. | ფასი (ლარი) საშ. | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბრუნვა (აქცია) | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| GEB | 19 | 17.48 | 17.50 | 17.49 | 109.6 | 3,189 | 55,767 | 284,680,631 | - |
| UTC | 10 | 0.60 | 0.62 | 0.62 | 70.8 | 11,650 | 7,165 | 63,490,561 | ფლობა |
| AMA | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 277 | 277 | 584,511 | რეკ. გარეშე |
| CHAR | 1 | 0.70 | 0.70 | 0.70 | na | 68,195 | 47,737 | 1,078,663 | რეკ. გარეშე |
| KTST | 1 | 1.00 | 1.00 | 1.00 | na | 84 | 84 | 146,849 | რეკ. გარეშე |
| სულ | | | | | | | 111,030 | | |

საერთაშორისო ბირჟებზე კოტირებადი ქართული კომპანიები

4 სექტემბერი, 2006 – 8 სექტემბერი, 2006

| კოდი | ბირჟის ვალუტა | ფასი (კვირის მანძილზე) წინა დახურვის | მინ. | მაქს. | დახურვის | კვირის ცვლილება (%) | კვირის ბრუნვა | კაპიტალიზაცია (მლნ) | რეკომენდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| CanArgo Energy | US$ | 1.43 | 1.33 | 1.59 | 1.40 | -2.1 | 11,127,000 | 313.8 | ყიდვა |
| Bolnisi Gold NL | A$ | 2.63 | 2.64 | 2.96 | 2.96 | 12.5 | 6,248,506 | 417.9 | ყიდვა |
| Metromedia Inc. | US$ | 1.80 | 1.66 | 1.81 | 1.72 | -4.4 | 124,600 | 161.7 | ყიდვა |

GALT & TAGGART BLUE CHIP ინდექსის შემადგენელი კომპანიები

| კომპანია | კოდი | რეკომენდაცია | ფასი (ლარი) | ცვლილება (%) კვირის | ცვლილება (%) წლის დას-დან | ბოლო ვაჭრობის თარიღი | ბრუნვა (ლარი) | კაპიტალიზაცია (ლარი) | თავისუფალი მიმოქცევის კოეფიც. (%) | GTBCI წონა (%) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | GEB | - | 17.54 | 0.84 | 110.19 | 7-სექ-06 | 73,307 | 285,543,447 | 17.4 | 61.9 |
| ეი-ი-ეს თელასი | AEST | გაყიდვა | 1.60 | 0.00 | 6.67 | 13-ივნ-06 | 0 | 129,836,618 | 0.1 | 0.1 |
| გაერთ. სატელეკომ. კომ | UTC | ფლობა | 0.62 | -0.96 | 71.11 | 7-სექ-06 | 19,908 | 63,593,797 | 9.4 | 7.4 |
| გაერთ. ქართული ბანკი | UGB | გაყიდვა | 2.79 | 0.00 | 140.43 | 18-ივლ-06 | 0 | 58,569,000 | 10.0 | 7.3 |
| უნივერმაღი თბილისი | UTB | გაყიდვა | 27.00 | 0.00 | 50.00 | 29-ივნ-06 | 0 | 26,172,909 | 35.5 | 11.6 |
| ყაზბეგი | KAZB | გაყიდვა | 7.00 | 0.00 | 180.00 | 18-ივლ-06 | 0 | 19,600,000 | 42.7 | 10.4 |
| ბაგრატიონი-1882 | BAGR | გაყიდვა | 2.30 | 0.00 | 15.00 | 28-მარ-06 | 0 | 17,051,246 | 5.2 | 1.1 |
| რუსთავცემენტი | RUCE | გაყიდვა | 1.10 | 0.00 | 54.93 | 17-იან-06 | 0 | 1,739,055 | 10.3 | 0.2 |
| სულ | | | | | | | 93,215 | 602,106,072 | | 100.0 |

საფონდო ბაზარზე ფიქსირებული შემოსავლის მქონე ინსტრუმენტებით ვაჭრობის შედეგები

4 სექტემბერი, 2006 – 8 სექტემბერი, 2006

| ემიტენტი | ემისიის მოცულობა (ლარი) | გადაფარვის თარიღი | საპროც. განაკვეთი (%) | ფასი ყიდ | ფასი გაყ | ფასი საშ | დღის ბრუნვა | YTM (%) | ცვლილება (ს.პ.) | სპრედი (აშშ სახაზინო ვალდებ-თან) | დურაცია | რეიტინგი Fitch /Moody's/S&P |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოს ბანკი | 1,707,300 | 02/09/07 | 11 | 105 | 105 | 105 | - | 11.00 | -3 | 621 | 0.85 | B-/ B3/ B+ |
| პროკრედიტ ბანკი | 5,926,000 | 06/11/06 | 0 | - | - | 94.2 | - | 15.10 | 1 | 1001 | 0.15 | B / - / - |

აქტიური ყიდვა: ფასის 20%-ზე მეტად მოსალოდნელი ზრდა ყიდვა: 10%-20% ზრდა ფლობა: 10% კლება ან 10% ზრდა, გაყიდვა: 10%-ზე მეტი კლება

სს გალტ & თაგგარტ სიქიურითის
საქართველო, 0162, თბილისი
ი. ჭავჭავაძის გამზირი 23,
ტელ:+ 995 32 235 800 ფაქსი:+ 995 32 235 804

ანალიტიკოსი
გოგა მელიქიძე
ტელ:+ 995 32 235 800
ელ-ფოსტა: research@galtandtaggart.ge

"გალტ & თაგგარტს" და/ან მასთან დაკავშირებულ პიროვნებებს შეუძლიათ განახორციელონ ან ჰქონდეთ განხორციელებული მათ საკუთარ ანგარიშზე ოპერაცია ან ოპერაციები იმ ინვესტიციებში, რომლებიც მოცემულია ზემოხსენებულ მასალაში ვიდრე შესაბამისი მასალა გამოქვეყნდება "გალტ ენდ თაგგარტ"-ის კლიენტებისათვის. ეს დოკუმენტი არ არის და არ უნდა იყოს გაგებული როგორც რომელიმე ფასიანი ქაღალდის გაყიდვის ან ყიდვის შეთავაზება. ინფორმაცია და შეხედულებები, რომლებსაც მოიცავს ეს დოკუმენტი, "გალტ ენდ თაგგარტი"-ს მიერ შედგენილია ან მიღებულია სარწმუნო წყაროებიდან კეთილსინდისიერების დაცვით, მაგრამ ეს არ ნიშნავს და არ იძლევა მათი სიზუსტის, სრულყოფილობისა და კორექტულობის გარანტიას. ამ დოკუმენტში მოცემული ყველა შეხედულება და შეფასება ეფუძნება "გალტ ენდ თაგგარტის" გადაწყვეტილებებს მოცემული კონკრეტული თარიღისათვის და ექვემდებარება შეტყობინების გარეშე შეცვლას. ამ დოკუმენტში გადმოცემული ინფორმაცია გამოქვეყნებულია მის სავარაუდო რეციპიენტთა (მკითხველთა) დასახმარებლად, მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ან მიღებულ იქნეს რომელიმე რეციპიენტის მიერ საკუთარი გადაწყვეტილების განხორციელებისათვის. "გალტ & თაგგარტი" არ ღებულობს პასუხისმგებლობას არანაირი, პირდაპირ თუ მოსალოდნელი, იმ დანაკარგებისათვის, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას ამ დოკუმენტის გამოყენების შედეგად ან მისი შინაარსიდან გამომდინარე. ეს დოკუმენტი არ შეიძლება იყოს გამრავლებული, გავრცელებული ან გამოქვეყნებული რაიმე მიზნისათვის მესამე პირის მიერ. დამატებითი ინფორმაცია შესაძლებელია მიღებულ იქნეს "გალტ & თაგგარტის" ზემოთმოცემულ მისამართზე.

# საბანკო კაპიტალი ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებშიც იზრდება

ამბროსი გრიშიკაშვილი
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

*ბოლო წლებში ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, და მათ შორის - საქართველოშიც, საგრძნობლად გაიზარდა საბანკო კაპიტალი. იგი განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა რუსეთში, უნგრეთში, რუმინეთში და სლოვენიაში. კერძოდ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში შემდეგი მსხვილი ბანკები ჩამოყალიბდნენ:*

*უმსხვილესი ბანკები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში (2005 წლის ბოლოსათვის)*

| ბანკები | ქვეყნები | კაპიტალი, მლრდ დოლარი |
|---|---|---|
| სბერბანკი | რუსეთი | 7.5 |
| ვნეშტორგბანკი | რუსეთი | 4.9 |
| OTR ბანკი | უნგრეთი | 2.2 |
| PKO BP | პოლონეთი | 2.1 |
| გაზპრომბანკი | რუსეთი | 1.8 |
| Banka Comerciala Romana | რუმინეთი | 1.2 |
| International industrial bank | რუსეთი | 1.1 |
| Nova Lublianska Banka | სლოვენია | 0.9 |
| ალფა ბანკი | რუსეთი | 0.8 |
| როსბანკი | რუსეთი | 0.7 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ათ უმსხვილეს ბანკს შორის ექვსს რუსული ბანკი წარმოადგენს; ათეულში მოხვდნენ ასევე უნგრეთის, პოლონეთის, რუმინეთის და სლოვენიის ბანკებიც.

აღსანიშნავია, რომ ამ რეგიონის 25 უმსხვილეს ბანკს შორის 17 - სწორედ რუსული ბანკია. ექსპერტები ელიან, რომ უახლოეს მომავალში მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება. ისეთი რუსული გიგანტი კი, როგორსაც "სბერბანკი" წარმოადგენს, მსოფლიოს უმსხვილესი ბანკების ათეულშიც კი არის შეყვანილი, სადაც 2005 წლის მონაცემებით 82-ე ადგილზე იყო (პრესტიჟული ინგლისური ჟურნალის "The Bankes"-ის რეიტინგი). რეგიონში ეს მართლაც უდიდესი ბანკია.

პოლონეთის ბანკების ლიდერი PKO (ყოფილი შემნახველი ბანკი) რეგიონში მეოთხე ბანკია, ხოლო ბანკების მსოფლიო რეიტინგში - 229-ე.

საყურადღებოა, რომ სულ რამდენიმე წლის წინ რუსული საბანკო კაპიტალი გაცილებით მცირე იყო, ვიდრე, მაგალითად, პოლონური. მაგრამ ბოლო წლებში ნედლეულის, განსაკუთრებით, ნავთობის გაყიდვიდან შემოსავლების წყალობით ამ ქვეყნის საბანკო სექტორი საკმაოდ დინამიურად განვითარდა. მისი ზრდა წელიწადში საშუალოდ 40 პროცენტს შეადგენს. ანალიტიკოსებს მიაჩნიათ, რომ ეს ტრენდი საკმაოდ დიდხანს გაგრძელდება. საწარმოებისა და ინდივიდუალური კლიენტების შემოსავლების ზრდა დიდ მოთხოვნას ბადებს საბანკო სექტორის გაძლიერების მიმართულებით, - აცხადებენ ანალიტიკოსები.

როგორც ქვემოთ მოტანილი გრაფიკიდან ჩანს, რუსულ საბანკო სივრცეში ყველაზე დიდ ადგილს იკავებენ მოსკოვის ბანკები (35 პროცენტი), შემდეგ მოდის "სბერბანკი" (28 პროცენტი), რეგიონალური და სხვა სახელმწიფო ბანკები (14-14 პროცენტი), და ბოლოს - უცხოური ბანკები (9 პროცენტი).

*ბანკების სტრუქტურა რუსეთში აქტივების მიხედვით, პროცენტებში*



რუსეთში რომ დიდი მოთხოვნილებაა საბანკო, განსაკუთრებით, ახალი საბანკო მომსახურების სახეებისადმი, ამაზე თუნდაც შემდეგი ფაქტიც მეტყველებს: თუ 2002 წელს ამ ქვეყანაში დაახლოებით 15 მლნ პლასტიკური ბარათი ბრუნავდა, 2005 წელს მათი რაოდენობა უკვე 55 მლნ-ს აღემატებოდა (თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ამ ბარათების უდიდესი უმრავლესობა, თითქმის 99 პროცენტი - დებეტური ბარათია, რომლებსაც მხოლოდ ხელფასის ასაღებად, ბანკომატებიდან ფულის გამოსატანად იყენებენ და არა მაღაზიებში მათი საშუალებით ფულის გადასახდელად).

ამ ქვეყანაში ამ მხრივ შექმნილ მდგომარეობას კარგად ახასიათებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაგალითად, სბერბანკი, თუმცა ლიდერი ბანკია რუსეთში, მაგრამ მასაც კი ჯერ არ გამოუშვია საკრედიტო ბარათები. თუმცა ეს ბანკი აპირებს მოკლე ხანში მათ გამოშვებას. შედარებისათვის: პოლონეთში პლასტიკური ბარათით სარგებლობს 21 მილიონი ადამიანი, რომელთაგან 5 მილიონს საკრედიტო ბარათი გააჩნია.

რუსები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით იღებენ კრედიტებს ბინათმშენებლობისათვის. მათი დავალიანება ამ სფეროში უკვე 4 მლრდ დოლარს აჭარბებს, რაც მშპ-ს 0,4 პროცენტს აღემატება. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ რეგიონის სხვა ქვეყნებში ამ მიზნით აღებული კრედიტების ხვედრითი წილი კიდევ უფრო მეტი მშპ-ში და იგი 3-დან 10 პროცენტამდე მერყეობს.

ახლა რაც შეეხება რუსეთის საბანკო აქტივებს. მათი 42 პროცენტზე მეტი კვლავაც სახელმწიფოს მიერ კონტროლდება. მათში ჯერჯერობით მხოლოდ 9 პროცენტი აქვთ უცხოურ საფინანსო დაწესებულებებს. გამოდის, რომ ამ მხრივ რუსეთში სრულიად საპირისპირო მდგომარეობაა, ვიდრე ჩეხეთში, პოლონეთში თუ უნგრეთში. ანალიტიკოსების შეფასებით, რუსეთში ამგვარი მდგომარეობა კიდევ დიდხანს შენარჩუნდება, თუმცა დასავლეთის ბანკების დიდი სიამოვნებით საუბრობენ აღმოსავლეთ ევროპაში ინვესტიციების შესახებ.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ დასავლეთელი ინვესტორი ფრთხილად ეკიდება რუსეთში კაპიტალდაბანდებებს, რადგან მათ აშინებთ აქ არსებული არასტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, საბანკო კანონმდებლობის ხშირი ცვლა, შავი ფულის რეცხვის პოტენციური შესაძლებლობა და ა. შ.

# "ფორდის" ზარალი იზრდება

პირველი გვერდიდან

კომპანიამ ასევე გამოაცხადა, რომ მეორე კვარტლის ზარალმა 123 მილიონი დოლარი შეადგინა, თუმცა მალე ეს მონაცემები შეიცვალა, რის შედეგადაც ზარალმა 254 მილიონ დოლარს მიაღწია. არადა, შარშან მეორე კვარტლის მოგება 946 მილიონი დოლარი იყო. მეორე კვარტალში გაყიდვებიდან მიღებულმა თანხამ 41.97 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც შარშანდელ ანალოგიურ პერიოდში მიღებულ შემოსავალთან შედარებით (44,55 მილიარდი), 6 პროცენტით ნაკლებია.

დირბორნელები ფინანსური მაჩვენებლების გაუარესების მთავარ მიზეზად იმ ფაქტს ასახელებენ, რომ საწვავის გაძვირებამ "ფორდის" უგზოობის ავტომობილებისა და პიკაპების გაყიდვების შემცირება გამოიწვია. არადა, კომპანია ჩრდილოეთ ამერიკის (მისთვის ძირითად) ბაზარზე ყველაზე მეტ მოგებას სწორედ ამ ორი კლასის ავტომობილების რეალიზაციით ნახულობს.

გარდა ამისა, "ცისფერმა ოვალმა" უკვე დაიწყო რესტრუქტურიზაცია, რასაც შედეგად მოჰყვება 14 ქარხნის დახურვა და 30 ათასი სამუშაო ადგილის შემცირება. თანამშრომლების კონტრაქტის დასრულებამდე დათხოვნას მოჰყვება მათთვის ერთჯერადი კომპენსაციების გადახდა, რაც მნიშვნელოვნად ზრდის გასავალს, თუმცა აღნიშნული ღონისძიების წყალობით, მომავალში დიდძალი თანხა დაიზოგება.

რესტრუქტურიზაციას შესაძლოა მოჰყვეს "ფორდის" პრემიუმ ჯგუფში შემავალი დივიზიონების გადაჯგუფება. გამორიცხული არაა, რომ დირბორნელებმა თავიდან მოიშორონ წამგებიანი კომპანია "იაგუარი", რომელიც 1989 წელს, 1,6 მილიარდ დოლარად შეიძინეს. პარალელურად, "ფორდის" ევროპული შტოს შეფი ჯონ ფლემინგი არ გამორიცხავს, რომ მისმა კომპანიამ შესაძლოა მონაწილეობა მიიღოს რუმინეთის მთავრობის მიერ ორგანიზებულ აუქციონში, რომელიც მიზნად ისახავს "დეუ აუტომობილ რომანიას" საკონტროლო პაკეტის გაყიდვას.

"ჩვენ ჯერ არ ვიცით, შევიძენთ თუ არა ამ ქარხანას, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ მისი შეძენით მნიშვნელოვნად გავზრდით გაყიდვებს ევროპულ კონტინენტზე," - განაცხადა ლონდონის საერთაშორისო მოტორშოუზე ჩატარებულ პრესკონფერენციაზე ფლემინგმა.

აღნიშნული ქარხნის საწარმოო სიმძლავრე წლიურად 100 000 ავტომობილია, თუმცა წელს მის კონვეიერს მხოლოდ 24 000 ავტომობილი დატოვებს. სხვათა შორის, "ფორდის" გარდა, რუმინული საწარმოს შეძენის სურვილი უკვე გამოთქვეს "რენომ", "ნისანმა" და "ჯენერალ მოტორსმა", რომელმაც თავის დროზე, როცა "დეუს" აქტივებს ყიდულობდა, უარი თქვა კორეული კომპანიის რუმინული ქარხნის შეძენაზე.



## თანაშემწე მთავარი აღმასრულებლისთვის

კრიზისის გაჭიანურების გამო, "ფორდის" დირექტორთა საბჭომ კომპანიის გარეთ დაიქირავა გამოცდილი ექსპერტი, რომელმაც რესტრუქტურიზაციის პროცესში, თანაშემწეობა უნდა გაუწიოს დირბორნული ავტოგიგანტის მთავარ აღმასრულებელ ბილ ფორდ უმცროსს. ამ ექსპერტის სახელია კენეტ ლიტი, ვისაც საქმიან სამყაროში სახელი აქვს განთქმული, როგორც დიდი კომპანიების გაერთიანებებისა და შესყიდვების სპეციალისტს.

ლიტი თავის დროზე "გოლდმენ საქსსა" და "ბენკ ოფ ამერიკაში" შესყიდვების სპეციალისტად მუშაობდა. ბილ ფორდი მისგან რჩევებს ელის და იმედოვნებს, რომ მათი წყალობით რადიკალური რესტრუქტურიზაციის ჩატარებას შეძლებს. ოღონდ, რჩევების გაცემამდე, ლიტი დაწვრილებით შეისწავლის "ფორდის" საქმიანობას, რათა ზუსტად გაერკვეს კრიზისის არსში და მისგან თავის დაღწევის გზები დასახოს.

ლონდონის მოტორშოუზე გამოსვლისას, ბილ ფორდმა განაცხადა, რომ სასიკეთო პროგნოზების მიუხედავად, მიმდინარე საფინანსო წელს წაგებით დაასრულებს "ფორდის" ევროპული პრემიერ-ჯგუფი, რომელში შემავალი კომპანიებიდანაც (ვოლვო, ლენდ როვერი, იაგუარი და ასტონ მარტინი) ყველაზე წამგებიანი "იაგუარია", მომგებიანი კი - "ვოლვო".

## რა ბედი ელის იაგუარს?

როიტერთან საუბრისას, ბილ ფორდმა განაცხადა, რომ "იაგუარის" მომგებიან საქმიანობაზე გადაყვანას გარკვეული დრო დასჭირდება, თუმცა სანამ ეს მოხდებოდეს, "ფორდი" არც ინგლისური მარკის გაყიდვას გამორიცხავს. უფრო მეტიც, ბევრი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში "იაგუარის" ყველაზე სასურველი მყიდველი შეიძლება იყოს რომელიმე რუსი ოლიგარქი, კონკრეტულად კი, ნიკოლაი სმოლენსკი, ვისაც უკვე ნაყიდი აქვს სპორტული ავტომობილების მწარმოებელი ბრიტანული ფირმა TVR-ი.

"ძალიან კარგი იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს სმოლენსკი იტყვის, რომ მას "იაგუარის" შეძენაც სურს. ის უკვე აწარმოებს სპორტულ ავტომობილებს. ჰოდა, შესანიშნავი იქნებოდა, თუ ლუქსის კლასის ავტომობილების მწარმოებელი ქარხანაც ექნება. ასე შეიძლება აღდგეს სრულფასოვანი სამოდელო გამის მქონე ბრიტანული ავტოკომპანია," - ამბობს კომპანია "გლოუბლ ინსაითის" ანალიტიკოსი კრისტოფ სტიუერმერი.

არსებობს მოსაზრება, რომ "იაგუარის" შეძენა შეიძლება ისურვოს გერმანულმა კომპანია "ბეემვემ", რომელიც უკვე ფლობს ორ ინგლისურ მარკას - "როლს როისს" და "მინი კუპერს". თუმცა, ბავარიელები ყოველთვის ხაზს უსვამენ ხოლმე, რომ მათი სამარკეტინგო პოლიტიკა ვერასოდეს ეგუება სამოდელო რიგში შემავალ ავტომობილებს შორის შიდა კონკურენციას. მიუნხენურმა ავტოგიგანტმა "იაგუარი" რომ შეიძინოს, მაშინ შიდა კონკურენცია გარდაუვალი იქნება - ინგლისური მარკის სამოდელო რიგში ზუსტად იმ კლასის ავტომობილები შედის, როგორებიც ბავარიელთა გაყიდვების მოცულობის დიდ ნაწილს უზრუნველყოფს.

ამასთან, "ბეემვეს" მთავარი აღმასრულებელი ჰელმუტ პანკე (ასაკის გამო მას მალე გადადგომა უწევს) ამბობს, რომ მის კომპანიას ჯერაც ბოლომდე არ ამოუწურავს როგორც საკუთრივ "ბეემვეს", ასევე "მინისა" და "როლს როისის" შესაძლებლობები.

უნდა ითქვას, რომ "ფორდმა" "იაგუარი" ვერ შეინარჩუნა, როგორც ლუქსის კლასის ექსკლუზიური ავტომობილების მწარმოებელი მარკა. დირბორნელებმა ასეთად "ასტონ მარტინი" დატოვეს, "იაგუარის" სამოდელო გამა კი გააფართოეს, რათა ეს კომპანია, ადრე თუ გვიან, მომგებიანი გამხდარიყო. თუმცა, არც ეს მოხერხდა, რადგან ვერ ხერხდება შესაბამისი რაოდენობით ავტომობილების რეალიზება. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე გაყიდვების კლების ტენდენცია შეინიშნება. მაგალითად, თუ შარშან "იაგუარმა" 89 802 ავტომობილის გაყიდვა შეძლო, წელს ანალოგიური მაჩვენებელი 85 000-მდე შემცირდება.

უნდა ითქვას, რომ დაახლოებით ამდენივე ავტომობილს ჰყიდის "პორშეც", თუმცა მისი კაპიტალიზაცია 8.6 მილიარდ დოლარს შეადგენს, როცა "იაგუარისა" ორ მილიარდსაც ვერ აღწევს.

და მაინც, თუ "ფორდი" გადაწყვეტს "იაგუარის" გაყიდვას, არაა გამორიცხული, რომ მისი შეძენის სურვილი გამოთქვან ფრანგულმა კომპანიებმა - "რენომ" და "PSA პეჟო/სიტროენმა". ორივეს სამოდელო რიგში ჯერჯერობით არ ფიგურირებს უმაღლესი კლასის მოდელები. სხვათა შორის, "რენოს" შეფი კარლოს გოსნი არ მალავს, რომ სურს თავისი კომპანიის მაღალ კლასში შეყვანა, თუმცა გამორიცხავს ამისათვის ახალი მარკის შეძენას.

P.S. "სანდი ტაიმსის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, "ფორდი", "იაგუარის" გარდა, "ლენდ როვერის" გაყიდვაზეც ფიქრობს. ამასთან, თითქმის გადაწყვეტილია, რომ თუ ორივე კომპანიის გაყიდვა მაინც გადაწყდება, ისინი ერთ ჯგუფში გაერთიანდება და მოხდება მათი აქციების საკონტროლო პაკეტის რეალიზება. ამასთან, აქციების გარკვეულ რაოდენობას "ფორდი" მაინც დაიტოვებს.

მაგრამ თუ "ცისფერი ოვალი" მაინც დაიტოვებს "იაგუარს", მაშინ მოხდება ინგლისური კომპანიის ძირეული რესტრუქტურიზაცია, რის შემდეგაც მისი საწარმო მხოლოდ ექსკლუზიური და, შესაბამისად, ძალიან ძვირი ავტომობილების წარმოებაზე გადავა.

# "იაფი" ძვირფასი ლითონი

*უკანასკნელ პერიოდში ძვირფასი ლითონების ფასმა ძალიან მოიმატა. გამონაკლისი არც მათგან ყველაზე "იაფი" ვერცხლი გახლავთ, რომლის ღირებულება 11,5-12,5 დოლარი/უნციის ფარგლებში მერყეობს. მართალია, ოქროსგან განსხვავებით, ვერცხლი სახელმწიფოთა კაპიტალის საფუძველი, პოლიტიკური იარაღი არ არის, მაგრამ მასზე საინვესტიციო მოთხოვნილება მაინც ძალიან მაღალია, რაც განსაკუთრებით ჰედჯერულ (მოგების ფიქსაციისა და დაზღვევის მიზნით განხორციელებულ) გარიგებებზე უნდა ითქვას.*

## რთულად პროგნოზირებადი

უკვე კარგა ხანია, ვერცხლის ღირებულება დიდადაა დამოკიდებული ოქროს ფასზე. ერთი ძვირფასი ლითონის ფასის ცვალებადობა

მეორისაზე აუცილებლად გავლენას ახდენს. ეს იმიტომ, რომ ოქრო მთავარი საინვესტიციო იარაღია, ვერცხლი ხშირად მასთან ერთად მოიპოვება და ორივეს ღირებულება დამოკიდებულია ნავთობის ფასზე, წამყვან ვალუტათა კურსების ურთიერთმიმართებასა და მსოფლიოში არსებულ გეოპოლიტიკურ ვითარებაზე.

გარდა ამისა, ვერცხლის ფასზე გავლენას ახდენს ფერადი ლითონების ბაზარზე არსებული ვითარებაც, რადგან ხშირად ვერცხლის მოპოვება, ოქროს გარდა, კიდევ ტყვიის, თუთიის, სპილენძის და ნიკელის მოპოვების თანმხლები გახლავთ.

ანალიტიკოსები კარგა ხანია შეთანხმდნენ, რომ ვერცხლი საბაზრო ანალიზის თვალსაზრისით ძალზე რთული საქონელია. გარდა იმისა, რომ მასზე გავლენას ძალიან ბევრი ფაქტორი ახდენს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი - ამ ლითონის მსხვილი მარაგის მფლობელთა გადაწყვეტილებები გახლავთ, რისი პროგნოზირებაც იოლი საქმე ნამდვილად არ არის.

ყოფილა შემთხვევები, როცა ვერცხლის ფასზე გავლენა საბირჟო თამაშებს მოუხდენია. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული 1979-1980 წლების გასაყარი გახდა, როცა ამერიკელმა მილიარდერებმა, ძმებმა ჰანტებმა თავიანთი სახსრების ინფლაციისაგან დასაცავად ვერცხლის შესყიდვა დაიწყეს, რადგან იმდროინდელი ამერიკული კანონები კერძო პირებს დიდი რაოდენობით ოქროს შეძენას უკრძალავდა. მალე მათ 200 მილიონ უნციამდე ვერცხლი შეიძინეს, რაც იმ დროს მსოფლიოს ბაზარზე მოძრავი ამ ლითონის საერთო მოცულობის თითქმის ნახევარი იყო. შედეგად, 1 უნცია ვერცხლის ფასმა 5-დან 50 დოლარამდე მოიმატა.

ამ დროისათვის მსოფლიოში არსებული ვერცხლის 55 პროცენტამდე საიუველირო ნაკეთობის სახითაა წარმოდგენილი, 25 პროცენტამდე მონეტებად არსებობს, 20 პროცენტი მრეწველობაში ტექნიკური და ტექნოლოგიური მიზნებისათვის გამოიყენება, დანარჩენი კი სახელმწიფო რეზერვებში გახლავთ თავმოყრილი.

გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან 90-ების შუამდე მსოფლიოში ვერცხლის მოპოვება გამუდმებით მაღალი ტემპით იზრდებოდა. შემდეგ ტემპმა თანდათანობით იკლო და წელიწადში 5-7 პროცენტით ფარგლებში შენარჩუნდა. გასულ წელს მსოფლიოში 5000 ტონამდე ვერცხლი მოიპოვეს. ანალიტიკოსთა აზრით, მიმდინარე წელს ეს მაჩვენებელი, დაახლოებით, 6 პროცენტით გაიზრდება.

## ბაზარი და მომპოვებლები

ვერცხლზე მოთხოვნილების ზრდას განსაკუთრებით ხელს უწყობს მაღალტექნოლოგიურ პროცესებში მისი გამოყენება და ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური ზრდა. ამ მხრივ, განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია და სხვა სწრაფად განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც ვერცხლის იმპორტს ერთობ

მაღალი ტემპებით ზრდიან.

ამ დროისათვის ვერცხლის უმსხვილესი იმპორტიორები არიან იაპონია, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი და სამხრეთ კორეა. მალე მათ შეუერთდება ინდოეთი და ბრაზილია. ძალიან ბევრ ვერცხლს მოიხმარენ აშშ და ჩინეთი, რომლებიც ამ ლითონს საკმაოდ დიდი რაოდენობით მოიპოვებენ და ექსპორტიორებიც არიან.

რაც შეეხება ექსპორტიორ და მომპოვებელ ქვეყნებს: განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ვერცხლი პოლონეთში მოიპოვება, შემდეგ მოდის აშშ, კანადა, მექსიკა, ჩინეთი, ავსტრალია, ყაზახეთი, სამხრეთ აფრიკა, პერუ და რუსეთი. აღსანიშნავია, რომ ამ ქვეყნებზე მსოფლიოში მოპოვებული ვერცხლის 70 პროცენტამდე მოდის. ბოლო დროს ახალი საბადოები აღმოაჩინეს და ვერცხლის მოპოვება დაიწყეს ბოლივიაში, ჩილეში, ტაჯიკეთში, ტაილანდში და ფილიპინებზე.

განსაკუთრებით საინტერესო ჩინური ფენომენია. 2000 წლამდე ამ ქვეყანაში ვერცხლი სპეციალიზირებულ საქონლად მიიჩნეოდა და მის მიმოქცევას ცენტრალური ხელისუფლება აკონტროლებდა. მხოლოდ 21-ე საუკუნის დასაწყისში გაიხსნა ჩინური ვერცხლის ბაზარი და ეს ლითონი მიმოქცევაში სხვა, ჩვეულებრივი საქონლის მსგავსად შევიდა. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ჩინეთში ვერცხლის ფართო გამოყენება ელექტრო და ფოტოსაქონლის, ქიმიური რეაქტივების წარმოებასა და სხვა მაღალტექნოლოგიურ პროცესებში, და მისი ექსპორტი.

მსოფლიოში ვერცხლის უმსხვილესი მწარმოებელი კომპანია გახლავთ მექსიკური Industrias penoles -ი, რომელიც მსოფლიო ბაზრის 12 პროცენტს აკონტროლებს და რომელსაც ეკუთვნის კიდეც ქალაქ ტორეონში მდებარე, მსოფლიოში უდიდესი ვერცხლისგადამამუშავებელი ქარხანა. მეორე ადგილზე, 9,3 პროცენტით, პოლონური KGHM Polska Miedz SA გახლავთ, მესამე - ავსტრალიური BHP Billiton-ი (8,5 პროცენტი), მეოთხე - 7,2 პროცენტით ჩინური Xinda Gold & Silver-ია, მეხუთე კი ყაზახური "ყაზახმისი" (6,4 პროცენტი). ბაზრის დანარჩენ ნაწილს უფრო წვრილი მწარმოებლები აკონტროლებენ.

ვერცხლის უმსხვილესი სავაჭრო ობიექტები ლონდონისა და ნიუ იორკის სასაქონლე ბირჟები გახლავთ, სადაც დგინდება კიდეც ამ ლითონის ფასი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უამრავ ფაქტორზეა დამოკიდებული.

## დღეიდან ნუმიზმატები "ოქროს საწმისის" მონეტებს შეიძენენ

"ოქროს საწმისის" გამოსახულებით პირველი ქართული საინვესტიციო ოქროს მონეტები დღეიდან გაყიდვაშია. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ დღეს ბანკში ახალი კოლექციის პრეზენტაციაზე იმედი გამოთქვა, რომ მონეტები საქართველოს და მსოფლიოს ნუმიზმატურ ბაზარზე მოწინავე პოზიციებს დაიკავებს და დიდი პოპულარობით ისარგებლებს. ავსტრიის ზარაფხანაში "ოქროს საწმისის" გამოსახულებით პირველი ქართული საინვესტიციო ოქროს მონეტები საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) დაკვეთით დამზადდა. გამოშვებულია სხვადასხვა ზომისა და წონის ექვსი საინვესტიციო მონეტა. ყველაზე მცირე იწონის 3,1 გრამს, ყველაზე დიდი - 311 გრამს. მათი ფასი 120 ლარიდან იწყება. მაქსიმალური ღირებულება კი 12 000 ლარს აღწევს.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის რომან გოცირიძის განცხადებით, საინვესტიციო მონეტა სრულიად ახალი მიმართულებაა ქართული ფულის ისტორიაში, როგორც ფულის დაბანდებისა და ქონების დაგროვების უნიკალური საშუალება მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასის პერმანენტულად ზრდის პირობებში.

"ამ მონეტით გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ საქართველო ოქროს მომპოვებელი და მწარმოებელი უძველესი ქვეყანაა. როგორც ქართული მითები "ოქროს საწმისსა" და "არგონავტებზე" შესულია მსოფლიო მითოლოგიის საგანძურში, ასევე ქართული მონეტა "ოქროს საწმისის" გამოსახულებით მსოფლიო საინვესტიციო, ნუმიზმატიკური მონეტების კოლექციის კუთვნილებად უნდა იქცეს," - აღნიშნა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა. მონეტების შეძენა შესაძლებელია საქართველოს ეროვნული ბანკის ფულის მუზეუმსა და ეროვნული ბანკის ფილიალებში და მსოფლიო ბაზარზე. ოქროს მონეტის სარეალიზაციო ფასი დადგინდება ყოველდღიურად, ლონდონის ლითონების ბირჟის ფასის მიხედვით.

## ართვინსა და აჭარას შორის ურთიერთობა ღრმავდება

ართვინისა და აჭარის მთავრობების წარმომადგენელთა შეხვედრისას გადაწყდა, რომ ართვინსა და აჭარის რეგიონებს შორის ურთიერთობები უფრო გაღრმავდება. კერძოდ, ართვინის საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარე გალიფ ოზჩელიქი დაინტერესდა აჭარაში აეროპორტის მშენებლობითა და იმ პროექტებით, რომელსაც რეგიონში თურქული მხარე ახორციელებს. როგორც გალიფ ოზჩელიქი აცხადებს, შეხვედრის დროს განიხილეს თანამშრომლობის პერსპექტივები, დაისახა ახალი პროექტები. "დაინტერესებულები ვართ, პირველ რიგში, საერთაშორისო აეროპორტის ერთობლივი გამოყენებით, შემდეგ მარადიდსა და მურადტყის გზის შეკეთებით. განვიხილავთ, ასევე, კულტურისა და ტურიზმის სფეროში თანამშრომლობას." აჭარის მთავრობის მეთაურის ლევან ვარშალომიძის ინფორმაციით, აჭარაში ტრანსსასაზღვრო ნაციონალური პარკი შეიქმნება. "ართვინის მეჯლისის თავმჯდომარე პირველად არის აჭარაში და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ხშირად გვეწვევა. პოტენციალი ერთია და აჭარა და ართვინი ერთად უნდა განვითარდეს. ერთ-ერთი პროექტი - ტრანსსასაზღვრო ნაციონალური პარკის შექმნა - მინიმუმ სამჯერ გაზრდის ტურისტების რაოდენობას ამ მიმართულებით. ასე რომ, ეს და სხვა მრავალი პროექტი, რომელიც ერთობლივად მიმდინარეობს, იმედი მაქვს, წარმატებით დამთავრდება და ეს ყველაფერი ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაკეთდება," - განაცხადა ლევან ვარშალომიძემ. ჯი-ეიჩ-ენი

## ევროპა-აზიის მორიგი სამიტი ფინლანდიაში

ევროპისა და აზიის 40 ქვეყნის წარმომადგენლები ორდღიანი ვიზიტით ფინლანდიაში შეიკრიბებიან. შეხვედრის ძირითადი მიზანი ევროპისა და აზიის ქვეყნების დაახლოებაა. ევროპელები გულწრფელად აღიარებენ, რომ მათი ინტერესის ძირითადი სამიზნე ჩინეთია. შეხვედრის მასპინძელია ევროკავშირის წარმომადგენელი ქვეყანა ამ სამიტზე ევროკავშირის წარმომადგენელი ქვეყანა ფინლანდია. როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მატი ვანჰანენი აცხადებს, სტაბილური ეკონომიკა, საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება და ენერგეტიკული უსაფრთხოება მნიშვნელოვანია მსოფლიოს ეკონომიკისთვის. "ათი წლის დიალოგის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის ურთიერთობა ახალ საფეხურზე ავიდა. უნდა ვისარგებლოთ იმ კარგი საბაზისო პირობებით, რაც უკვე არსებობს. ბედნიერი ვარ გაუწყოთ, დღეიდან ჩვენს რიგებში შედიან ინდოეთი, პაკისტანი და მონღოლეთი. ევროპის ქვეყნებიდან კი ბულგარეთი და რუმინეთი. ევროპა-აზიის სამიტი წელს მეექვსედ იმართება. პირველი შეხვედრა კი 1996 წელს ბანკოკში შედგა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ამინდი

| | 12/09 | 13/09 | 14/09 |
|---|---|---|---|
| კიევი | 22 | 23 | 25 |
| რიგა | 20 | 22 | 22 |
| ვილნიუსი | 21 | 22 | 21 |
| მოსკოვი | 17 | 19 | 21 |
| მინსკი | 22 | 23 | 22 |
| პარიზი | 23 | 21 | 18 |
| რომი | 23 | 23 | 26 |
| ლონდონი | 25 | 23 | 21 |
| მადრიდი | 25 | 25 | 21 |
| ბონი | 28 | 21 | 21 |
| ვარშავა | 24 | 23 | 23 |
| ათენა | 25 | 25 | 27 |
| ბერნი | 23 | 23 | 18 |
| ამსტერდამი | 25 | 23 | 23 |
| ოსლო | 21 | 21 | 21 |
| ანკარა | 23 | 25 | 25 |
| ვარნა | 22 | 23 | 22 |
| დელი | 48 | 48 | 41 |
| ტოკიო | 26 | 24 | 25 |
| კოპენჰაგენი | 22 | 24 | 25 |
| ბაქო | 20 | 18 | 22 |
| ერევანი | 27 | 26 | 28 |
| ასტანა | 20 | 17 | 8 |
| ჰელსინკი | 19 | 20 | 22 |
| დუბლინი | 19 | 17 | 15 |
| ლისაბონი | 20 | 22 | 20 |
| პრაღა | 22 | 22 | 23 |
| სოფია | 23 | 25 | 25 |
| ბუდაპეშტი | 26 | 26 | 26 |
| ბუხარესტი | 25 | 24 | 26 |

# ბენზინის ფასი დაიწევს

### საქართველოს ბაზრის 60 პროცენტი აზერბაიჯანულ საწვავს უკავია

ნინო ნატროშვილი




ათ დღეში საქართველოში აზერბაიჯანიდან და თურქმენეთიდან იმპორტირებული A-91 რეგულარის ტიპის ბენზინის ფასი 10-15 თეთრით დაიკლებს და საშუალოდ 1,35-1,40 ლარი ეღირება. ასეთ ოპტიმისტურ პროგნოზს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის თავმჯდომარე ვანო მთვრალაშვილი აკეთებს.

მისი თქმით, საწვავზე ფასის შემცირება ნავთობის მსოფლიო ბაზარზე ფასების კლებითაა განპირობებული. ერთი ტონა ბენზინის საერთაშორისო ფასი 30 აგვისტოს შემდეგ 600 დოლარზე ნაკლებია, მაშინ, როდესაც 3 აგვისტოს 1 ტონაზე მაქსიმუმს მიაღწია და 798 დოლარი დაფიქსირდა. A-91 რეგულარის ტიპის ბენზინის წილი საქართველოს ბაზარზე დაახლოებით 60 %--ს შეადგენს და, მთვრალაშვილის პროგნოზით, მძაფრი კონკურენციის პირობებში იმპორტიორები ფასების ხელოვნურად შენარჩუნებას მაღალ დონეზე ვერ შეძლებენ.

რაც შეეხება ამავე ქვეყნებიდან იმპორტირებულ დიზელის საწვავს, მისი ფასი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა და, სავარაუდოდ, კვლავ 1,35-1,40 ლარი ეღირება. რაც შეეხება ევროპიდან იმპორტირებულ საწვავს, მისი ფასი შედარებით მაღალი იქნება. საწვავზე ფასების დაწევა უახლოეს 7-10 დღის მანძილზეა მოსალოდნელი, სწორედ ამ დროს მოხდება იაფად შეძენილი ბენზინის საწვავით საქართველოს ბაზრის გაჯერება."ივლისისა და აგვისტოს თვეებში ნავთობის საერთაშორისო ბაზარზე მაღალი ფასები ფიქსირდებოდა, რაც გამოწვეული იყო ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა: ლიბანის ტერიტორიაზე ისრაელის მიერ განხორციელებული სამხარი მოქმედებები; ირანის გარშემო ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებული საკითხი; ნიგერიიდან და ვენესუელადან ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მიწოდების შეფერხება; BP-ს მიერ ალიასკაზე მდებარე ერთ-ერთ უმსხვილეს პრიუდო-ბეის ნავთობსაბადოზე ნავთობის მოპოვების შეჩერება. თუმცა ამ დროისთვის პრობლემათა უმრავლესობა განეიტრალდა," - ამბობს მთვრალაშვილი.

ნავთობპროდუქტების იმპორტის ბაზრის ხელახლა გადანაწილების შემდეგ ამ სფეროს, ძირითადად, მსხვილი იმპორტიორები შემორჩნენ. დღეს საქართველოს ბაზარზე 50-მდე იმპორტიორია, თუმცა ამინდს მსხვილი კომპანიები "ლუკოილი", "ვისოლი", "ოპტიუმი", "ქსანი", და "ეკო ჯორჯია" ქმნიან. ახლახან საქართველოს ბაზარზე რუმინული კომპანია "რომპეტროლი" გამოჩნდა, რომელსაც ევროპული საწვავი, ძირითადად, რუმინეთიდან შემოაქვს. "ეკო ჯორჯიას" საწვავი საბერძნეთიდან, ხოლო "ვისოლს" - ბულგარეთიდან და რუმინეთიდან შემოაქვს. ეს საწვავი გაცილებით ხარისხიანია, მაგრამ, აზერბაიჯანულ საწვავთან შედარებით, მაღალი ფასის გამო მოსახლეობის მცირე ნაწილი მოიხმარს. აღნიშნული კომპანიები მხოლოდ იმპორტით არ არიან დაკავებულნი, მათ ქვეყნის მასშტაბით ბენზინგასამართი სადგურების კარგად გამართული ქსელიც გააჩნიათ. აქვთ რეზერვუარებიც, სადაც საწვავის აკუმულირება ხდება და მსოფლიო ბაზარზე ნავთობპროდუქტების ფასების ცვლილების შემთხვევაში საქართველოში ფასის შენარჩუნება 10 დღის განმავლობაშია შესაძლებელი.

იმპორტირებული ბენზინის და დიზელის ძირითადი წილი საქართველოში მსხვილ კომპანიებს შემოაქვთ. "ლუკოილი", "ვისოლი", "რომპეტროლი" და "ეკო ჯორჯია", ძირითადად, ევროპული საწვავით ვაჭრობენ. რაც შეეხება სხვა კომპანიებს, ისინი საწვავის იმპორტს აზერბაიჯანიდან ახორციელებენ. აზერბაიჯანი საქართველოს არასტანდარტულ საწვავს აწვდის, რომელშიც ბენზოლის შემცველობა 2,5%-ია. ბაქო დაბალი ხარისხის საწვავს, მსოფლიო ფასებთან შედარებით, 12%-იანი ფასდაკლებით ყიდის. ამდენად, საქართველოს ბაზარი იაფი და უხარისხო საწვავითაა გაჯერებული. ეს ტენდენცია 2006 წელსაც შენარჩუნდა, რადგან იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებზე ახალი, ევროსტანდარტის შემოღება, რომლის თანახმადაც საწვავში ბენზოლის შემცველობა 1%-ია, გაურკვეველი დროით გადაიდო.

საქართველოს ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ინფორმაციით, საწვავზე ახალი სტანდარტის შემოღება აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებში გადაიარაღების პროცესის შეფერხების გამო შეჩერდა. მთვრალაშვილის განმარტებით, საწვავის იმპორტი, ძირითადად, ამ ქვეყნიდან ხორციელდება. აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები ახალი სტანდარტის საწვავის წარმოებას მოძველებული ტექნიკური დანადგარებით ვერ ახერხებენ. ეს ქარხნები ამ ეტაპზე რეაბილიტაციის რეჟიმში მუშაობენ. სარემონტო სამუშაოების დასრულების მიუხედავად, აზერბაიჯანულ საწვავში ბენზოლის შემცველობა არ შეცვლილა, ხოლო არომატული ნახშირწყლები სტანდარტს პასუხობს და ერთ ლიტრ საწვავში 42 ერთეულია.

საქართველოს ნავთობპროდუქტების იმპორტის ბაზარზე მომხდარი ცვლილებების შემდეგ, დიზელის და ბენზინის კონტრაბანდის წილი საგრძნობლად შემცირდა. ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის ხელმძღვანელი ვანო მთვრალაშვილი კონტრაბანდის შემცირების ტენდენციას იმპორტიორების გამსხვილებას და ხელისუფლების მიერ სანქციების გამკაცრებას უკავშირებს. ამ სფეროს ლეგალიზაცია მაინც მოხდა, თუმცა არცთუ შორეულ წარსულში იმპორტიორები კონტრაბანდის არსებობას მაღალ სატარიფო განაკვეთებს უკავშირებდნენ. აქციზის გადასახადი ნავთობპროდუქტებზე არ შეცვლილა - 1 ტონა ბენზინზე აქციზი 250 ლარია, დიზელზე კი - 150 ლარი.

ნავთობპროდუქტების იმპორტის დეკლარირებული სტატისტიკური მონაცემებით,

2003 წელს საქართველოში 262 200 ტონა ბენზინი, 97 700 ტონა დიზელი განბაჟდა. 2004 წელს იმპორტირებული ბენზინის მაჩვენებელმა 321 959 ტონა, ხოლო დიზელის მაჩვენებელმა - 174 812 ტონა შეადგინა. 2005 წელს საქართველოში იმპორტიორებმა ლეგალურად 338 344 ტონა ბენზინი და 251 557 ტონა დიზელი შემოიტანეს. ამ მონაცემების თანახმად, მკვეთრადაა გამოხატული იმპორტის მატებისა და ლეგალიზების ტენდენცია. 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით, 2004 წელს ბენზინის იმპორტი 59 759 ტონით - 18,5%-ით, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი კი უფრო მეტით, 77 112 ტონით ანუ 44,1%-ით გაიზარდა. 2005 წელს რაც შეეხება, ბენზინის იმპორტი გასულ წელთან შედარებით 16 385 ტონით, 5%-ითაა გაზრდილი, ხოლო დიზელის საწვავის იმპორტი კი შესაბამისად, 76 745 ტონით და 30 %-ით.

"ჩვენი გათვლებით ქვეყანა ყოველთვიურად, სულ მცირე, 35 000 ტონა ბენზინის საწვავს მოიხმარს, შესაბამისად, წელიწადში ეს მაჩვენებელი 420 000 ტონას შეადგენს. რაც შეეხება დიზელის საწვავს, მოხმარება თვეში მინიმუმ 25 000 ათასი ტონაა, რაც წელიწადში 300 000 ტონას უტოლდება," - განაცხადა "24 საათთან" საუბარში ვანო მთვრალაშვილმა.

ექსპერტული გათვლებით, 2005 წელს კონტრაბანდამ ბენზინზე 82 000 ტონა, ანუ 20%, ხოლო დიზელზე 49 000 ტონა ანუ 15% შეადგინა. 2006 წელს ეს მაჩვენებელი კვლავ 20-პროცენტიან ნიშნულს ინარჩუნებს.

## ქართული ღვინო საბაჟო პრეფერენციით თურქეთში მომავალ წელს ისარგებლებს

ქართული ღვინო საბაჟო პრეფერენციით თურქეთში, სავარაუდოდ, მხოლოდ მომავალ წელს ისარგებლებს. როგორც საინფორმაციო სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილემ თამარ კოვზირიძემ განუცხადა, აღნიშნულ საკითხზე მეზობელ ქვეყანასთან ჯერ კიდევ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. "შეთანხმების მისაღწევად რამდენიმე შეხვედრაა საჭირო, შემდეგ კი ორივე ქვეყანაში მისი რატიფიკაცია უნდა მოხდეს. შეთანხმება ძალაში, სავარაუდოდ, გაისად შევა," - დასძინა მან. მინისტრის მოადგილის თქმით, ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, თურქული მხარე ღვინის სანაცვლოდ რომელ საქონელზე მოითხოვს საბაჟო შეღავათების დაწესებას. წინასწარი ინფორმაციით, ეს ძირითადად, ფქვილს, მაკარონს, შოკოლადსა და სხვა საკონდიტრო ნაწარმს, ასევე სალეჭ რეზინას შეეხება. აღსანიშნავია, რომ სამიოდე თვის წინ საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ თურქეთი მზად არის, 500 ლიტრი ქართული ღვინო ნულოვანი საბაჟო ტარიფებით დაბეგროს, ხოლო 250 ლიტრზე კი 50-პროცენტიანი შეღავათი დააწესოს. **ჯი-ეიჩ-ენი**

## კოდორის ხეობის გზის მშენებლობა 7 მილიონი ლარი დაჯდება

კოდორის ხეობის 42-კილომეტრიანი გზის მშენებლობა 7 მილიონი ლარი დაჯდება. როგორც სააგენტო "ჯი-ეიჩ-ენს" საგზაო დეპარტამენტში განუცხადეს, მშენებლობა უკვე დაწყებულია და ის ზამთრის დადგომამდე დასრულდება. სამშენებლო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები ფორს-მაჟორულ ვითარებაში მიმდინარეობს. სიძნელეების მიუხედავად, დეპარტამენტში მიაჩნიათ, რომ სამუშაოები დროულად და ხარისხიანად შესრულდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## "გაზპრომზე" სახელმწიფო კონტროლს შეინარჩუნებს

სახელმწიფო "გაზპრომის" ინფრასტრუქტურულ კომპანიებად პრივატიზირებას არ გეგმავს. ამის შესახებ რუსეთის ვაჭრობისა და ეკონომიკის მინისტრმა გერმან გრეფმა განაცხადა. "გაზპრომზე" სახელმწიფო კონტროლს შეინარჩუნებს, თუმცა ეკონომიკის სხვა სექტორებში პრივატიზების სტრატეგიული ხაზი არ შეიცვლება," - აღნიშნა მინისტრმა.

გრეფი არ გამორიცხავს, რომ დიდმა სახელმწიფო კომპანიებმა შიდა ბაზარზე ექსპანსია განაგრძონ. "მსხვილ სახელმწიფო კომპანიებს სურვილი აქვთ, გააფართოონ თავიანთი ბაზრები," - დასძინა გრეფმა. **ჯი-ეიჩ-ენ**

# დაუსრულებელი აკრძალვების ქრონიკა

### ონიშჩენკოს კანტორა უკრაინას და ბელორუსსაც ემუქრება

ანა შარვაშიძე

*რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმის გენადი ონიშჩენკოს განცხადებით, უახლოეს მომავალში სამხრეთ ამერიკიდან, ბელორუსიდან, უკრაინიდან და კორეის სახალხო რესპუბლიკიდან ღვინის იმპორტი აიკრძალება. რუსული ბაზრის მოთამაშეებმა ეს ნაბიჯი შურისძიებად შეაფასეს იმის გამო, რომ იქაურმა მწარმოებლებმა ღვინის წარმოება მოლდოვური ღვინომასალებით დაიწყეს.*

რუსეთის მთავარ სანიტარულ ექიმს არ ჰყოფნის, რომ რუსეთის მაღაზიებსა და რესტორნებში იმპორტული ალკოჰოლის დეფიციტია, - წერს რუსული მედია.

შეგახსენებთ, რომ ქართული და მოლდოვური ღვინობი გენადი ონიშჩენკომ თავად აკრძალა, დარჩენილი ალკოჰოლური ნაწარმი კი, ახალი ერთიანი სახელმწიფო ავტომატიზირებული საინფორმაციო სისტემის გაუმართაობის გამო, დეფიციტური გახდა. შედეგად, რუსი ჟურნალისტების შეფასებით, სანიტარული ექიმის ქმედებების და მთავრობის არასრულყოფილი მუშაობის გამო, უამრავი საშუალო და წვრილი იმპორტიორი გაკოტრდა.

ონიშჩენკოს ლოგიკა მარტივია: ქართული და მოლდოვური ღვინოების ნაცვლად რუსულ ბაზარზე სხვა ქვეყნების ღვინოები მოზღვავდა. მისი თქმით, უახლოეს მომავალში მისი უწყების ერთ-ერთი ამოცანა ღვინის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფა იქნება. როგორც აღმოჩნდა, ეს განსაკუთრებით ევროპის და სამხრეთ ამერიკის ღვინოებს ეხება. **"ამასთან, "როსპოტრებნადზორის" ყურადღების ცენტრში კიდევ ჩინური და უკრაინული ღვინოებია, რომელთა ხვედრითი წილი რუსულ ბაზარზე მნიშვნელოვნად გაიზარდა,"** - აღნიშნა ონიშჩენკომ.

ყველაზე მეტად ამ შემთხვევაში ბელორუსი დაზარალდა. ამ ქვეყნიდან ალკოჰოლური ნაწარმის იმპორტი რუსეთში ჩილეს, ესპანურ და ფრანგულ ღვინოებთან შედარებით საკმაოდ მცირეა. **"თუ უკრაინის მაკონტროლებელ ორგანოებთან ჩვენ შეუთანხმებლობა გვაქვს, სამაგიეროდ უკრაინული პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით ვთანხმდებით. ასეთ შემთხვევაში ბელორუსის შესაბამისი სამსახურის რეალობას მოკლებული ჭარბი ოპტიმიზმი გაკვირვებას იწვევს,"** - განუცხადა ონიშჩენკომ საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსს". სანიტარული ექიმის შეფასებით, ბელორუსის შემთხვევაში პრობლემა ის არის, რომ **"ბელორუსული ღვინოების 80 პროცენტი მოლდოვური ნედლეულისგან მზადდება."**

რუსული ბაზრის მოთამაშეები ირწმუნებიან, რომ ონიშჩენკოს ეს მუქარები არანაირად არ უკავშირდება პროდუქციის ხარისხს და, **"ფაქტობრივად, მოლდოვასთან თანამშრომლობისთვის შურისძიებას წარმოადგენს..."**

რუსული ალკოჰოლური ბაზრის ერთ-ერთი წარმომადგენლის განცხადებით, რომელმაც "გაზეტა რუს"-თვის მიცემულ ინტერვიუში ანონიმად დარჩენა ისურვა, ონიშჩენკოს ბოლო განცხადებები ასე ახსნა: **"ბელორუსში საკუთარი ყურძენი არ აქვთ. ამიტომაც წარმოებისას გამოყენებული ღვინომასალების 90 პროცენტი იმპორტირებულია. შეიძლება ითქვას, რომ ბელორუსული ღვინო არც არსებობს. ამიტომაც, მოლდაველებმა აქტიურად დაიწყეს ამ ბაზრის ათვისება, შემდეგ იგივე საქართველომაც გააკეთა. მას შემდეგ, რაც ონიშჩენკომ განაცხადა, რომ ქართულ და მოლდოვურ ღვინოებში პესტიციდებია, ბელორუსებმა პროდუქციის შემოწმება დაიწყეს. დაახლოებით სამი კვირის წინ ლაბორატორიებმა ამ პროდუქციის შემოწმება დაასრულეს და დაადგინეს, რომ ამ ღვინოებში არანაირი პესტიციდები არ არსებობს, ყოველ შემთხვევაში იმათში, რომლებიც ბელორუსის ტერიტორიაზეა. ბუნებრივიც იყო, რომ ბელორუსის ასეთ განცხადებას ონიშჩენკოს კანტორის მხრიდან საპასუხო ნაბიჯი მოჰყვა. ბელორუსი ხომ თავად ონიშჩენკოს კომპეტენტურობაში დაეჭვდა..."**

როგორც ირკვევა, დაახლოებით ასეთივე მიზეზები ჰქონია რუსეთს უკრაინის შემთხვევაშიც. კიდევ ერთი მწარმოებლის განცხადებით, **"უკრაინამ მოლდოვური ღვინომასალების შესყიდვა იმ მარტივი მიზეზის გამო დაიწყო, რომ ქვეყანაში წელს ცუდი მოსავალი იყო. ონიშჩენკოს უწყების რეაქცია სწორედ ამით იყო გამოწვეული..."**

უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთში ბელორუსიდან და უკრაინიდან ღვინის იმპორტი უმნიშვნელოა. თუმცა იმის გამო, რომ ბელორუსი-რუსეთის საზღვარი არ კონტროლირდება, ბოლო პერიოდში ამ ქვეყნიდან ღვინის იმპორტი გაიზარდა.

რუსმა მეღვინეებმა რუსეთში ჩინური ღვინოების აკრძალვასაც მოუძებნეს ახსნა. როგორც აღმოჩნდა, ჩინელმა მეწარმეებმა იგივე ხერხი გამოიყენეს რაც ბელორუსებმა - მოლდოვადან ღვინომასალების იმპორტი დაიწყეს. მეტიც, როგორც რუსული მედია წერს, ჩინელებმა ღვინის წარმოება პირდაპირ მოლდოვას ტერიტორიაზე დაიწყეს, ზედ თავისი ეტიკეტები დააკრეს და ჩინური ღვინოების სახელით მათი რუსეთში გასაღება წამოიწყეს.

რუსი მეწარმეები აღიარებენ, რომ უხარისხო პროდუქციის წინააღმდეგ ბრძოლა აუცილებელია, თუმცა იმასაც აღნიშნავენ, რომ მხოლოდ ამ აკრძალვებით არაფერი გამოვა. ამიტომაც, მათი პროგნოზით, რუსეთში ალკოჰოლური კრიზისი გაგრძელდება.